



საქართველოს იურიისტთა კავშირი

სახელმწიფო და სამართალი

7'90

საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობა



ღია წიკილი ბ-ნ ფედერიკო მაიორ სარაგოსას



ფაკულტატური ტყმი ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ

CIVITAS AC IUS

სარედაქციო საბჭო:

ვახტანგ აბაშაძე, ლევან ალექსიძე, ანზორ ბაბიანი, ოთარ გონაძე,
შოთა გორგოძე, გივი ინჟიკიშვილი, აკაკი კარანაძე, ოთარ კაციტაძე,
თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, დურმიშხან ლორია,
გიორგი ნაღარეიშვილი, ნოდარ ნეზიერაძე, ვახტანგ რაჭმაძე, ზურაბ კატიანი,
ბრიგოლ როინიშვილი, გიორგი ტყეშელაძე, მინდრა უზრეხელიძე,
აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ ფუტკარაძე, რევაზ ყიფიანი, თამაზ შავგულიძე,
ვიქტორ შარაშინიძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, რამზეს ჩალაშვილი,
ირაკლი ჩიქოვანი, სერგო ჯორჯიანი.

მთავარი რედაქტორი
თევდორე ნინია

სარედაქციო კოლეგია:

ანზორ არსენაშვილი (მეცნიერ-რედაქტორი), გელა ბერძენიშვილი (პახუხისმგებელი
მდივანი), ოთარ ბაჩქალიძე, როლანდ ბილიბაშვილი, ავთანდილ დემეტრაშვილი,
ვალერიან ედიშარაშვილი, მიხეილ კეკელია, შილა ლეკვიშვილი,
ალექსი კაკაბაშვილი, თეიმურაზ სიღამონიძე, ალექსანდრე ტალიაშვილი,
ჯონი ხეცურიანი, რუსუდან შველიძე, ჯონი ჯალალანი.

მორიბე რედაქტორი ზაირა მარტიაშვილი

სახელმწიფო და სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

7 ივლისი
1990

საძიებელი

სუვერენიტეტისათვის

რეჟინალდ დეკანოზიშვილი — საქართველოს საერთაშორისო სამართალუბიექტობა 3

დენიზა სუმბაძე — ღია წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იუნესკოს გენერალურ დირექტორს ბ-ნ ფედერიკო მაიორ სარაგოსას 19

ქართული იურიდიული აზროვნების ისტორიიდან

ვახტანგ აბაშაძე — კოლხეთის აკადემიის სწავლული იურისტების სამართალგაგება 27

ბაბაძე — 150

ვახტანგ სიღამონიძე — ერთი კმათის ისტორია 44

სიხლენი კანონმდებლობაში

ვალერი ლორია — ნოემბრიდან—მისამდე 46

DE LEGE FERENDA

ვაჟა ჭაოშვილი — სასამართლო ექსპერტიზის პროცესუალური ინსტიტუტის სრულყოფისათვის 56

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

გიორგი ხუბუა — სამართალი და კანონი 60

თემურ კოდოშვილი — ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის სოციალური კონტროლი და მისი ადგილი დანაშაულებრივი რეციდივის აღკვეთაში 67

ოფიციალური მასალა

ფაკულტეტური ოქმი საერთაშორისო პაქტთან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 69

წერილები რედაქციას

ზაურ ამილახვარი — მილიცია რომ თავად იყოს დაცული 73

მერაბ დარბაიძე — სოფლის მეურნეობაში საარენდო იჯარის წევრების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხისათვის 77

უცხოური იურიდიული პრესა

ხულხან გამყრელიძე — ერთიანი გერმანიის კონსტიტუცია 79

К суверенитету

Реджинальд Деканошвили — Международная правосубъектность Грузии	3
Дениза Сумбадзе — Открытое письмо Генеральному директору ЮНЕСКО г-ну Федерико Майор Сарагоса	19

Из истории грузинской юридической мысли

Вахтанг Абашмадзе — Правопонимание ученых юристов Колхидской академии	27
---	----

Акакий Церетели — 150

Вахтанг Сидамонидзе — История одного спора	44
--	----

Новости в законодательстве

Валерий Лория — С ноября по май	46
---------------------------------	----

DE LEGE FERENDA

Важа Джаошвили — К совершенствованию процессуального института судебной экспертизы	56
--	----

Первые шаги в науке

Георгий Хубуа — Право и закон	60
Темур Чогошвили — Социальный контроль административно-правового характера и его место в пресечении преступного рецидива	67

Официальный материал

Факультативный протокол к Международному пакту о гражданских и политических правах	69
--	----

Письма в редакцию

Заур Амилахвари — Чтобы сама милиция была защищена	73
Мераб Дарбаидзе — К вопросу об уголовной ответственности арендаторов в сельском хозяйстве	77

Зарубежная юридическая пресса

Сулхан Гамкрелидзе — Конституция единой Германии	79
--	----



© „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ.

გადაეცა წარმოებას 18.06.90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.07.90 წ.
ფორმატი 70×108^{1/16}, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. № 1359.

ტირაჟი 24.000

უე 04070

რეჯინალდ ლიპანოვიჩივილი

სამართლებრივ საერთაშორისო სამართალსუბიექტობა

19.5.61

საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ცნება. საერთაშორისო სამართალსუბიექტობა არის თვისება იყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ანუ საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი მონაწილე, რომელსაც გააჩნია უფლებები და მოვალეობები საერთაშორისო სამართლით დადგენილ ფარგლებში.

შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ტერმინებით რომ ვთქვათ, საერთაშორისო სამართლის სუბიექტს უნდა გააჩნდეს უფლებათუნარიანობა (უნარი იქონიოს უფლებები და მოვალეობები) და ქმედუნარიანობა (უნარი, საკუთარი მოქმედებით შეიძინოს უფლებები და იკისროს მოვალეობები, ესე იგი განაჩორციელოს საკუთარი უფლებათუნარიანობა); თუმცა ქმედუნარიანობის ცნება მოცემულ შემთხვევაში იხმარება პირობით, იგი არ არის ქმედუნარიანობის იმ ცნების იდენტური, რომელიც გამოიყენება შიდასახელმწიფოებრივ სამართალში.

საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად ჩვეულებრივ მიიჩნევიან: სახელმწიფოები, ერები, რომლებიც ახორციელებენ თვითგამორკვევის უფლებას; საერთაშორისო ორგანიზაციები. საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს განაკუთვნიან აგრეთვე ზოგიერთი ფედერაციის წევრებს; არცთუ იშვიათად — ფიზიკურ პირებსაც (ინდივიდებს)¹.

უნდა ითქვას, რომ ხსენებული სუბიექტების საერთაშორისო უფლებათუნარიანობის შინაარსი სხვადასხვაა. შედარებით მეტი უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ სახელმწიფოებს, რის გამოც ისინი საერთაშორისო სამართლის უნივერსალურ სუბიექტებს წარმოადგენენ. ნაკლები უფლებამოსილებები აქვთ ისეთ სუბიექტებს, როგორცაა ზოგიერთი ფედერაციის წევრები (საუბარი არ არის საბჭოთა კავშირზე) და ფიზიკური პირები.

ყოველი ფედერაციის წევრებს როდი აქვთ საერთაშორისო არენაზე განმოსვლის უფლება. ეს უფლება მნიშვნელოვანწილად შეზღუდულია. მაგალითად, 1787 წლის აშშ-ის კონსტიტუციაში განმტკიცებულია ზოგადი დებულება იმის შესახებ, რომ „არცერთ შტატს არ შეუძლია შევიდეს ხელშეკრულებებში, კავშირებში ან კონფედერაციებში“. თუმცა დაშვებულია განსაზღვრული გამონაკლისიც — „არცერთ შტატს არ შეუძლია კონგრესის თანხმობის

¹ საბჭოთა საერთაშორისო სამართალმცოდნეების უმრავლესობა ჭარბობით უარყოფითად ეკიდება ფიზიკური პირის საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარების შესაძლებლობას.

სამართლებრივ
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარეშე... შევიდეს შეთანხმებებში ან დადოს ხელშეკრულებები სხვა შტატებთან უცხოეთის სახელმწიფოსთან“ (მუხლი 1. ნაწილი 10).

გამონაკლისი. მართალია, უფრო დეტალიზებული, გათვალისწინებულია 1874 წლის შევიცარიის კონსტიტუციაშიც: „კანტონი ინარჩუნებს, როგორც გამონაკლისი, უფლებას დადოს უცხოეთის სახელმწიფოებთან ხელშეკრულებები სახალხო მეურნეობის, სამეზობლო ურთიერთობების და პოლიციის საკითხებზე. მაგრამ ეს ხელშეკრულებები არ უნდა შეიცავდეს კავშირის ან სხვა კანტონების უფლებების რაიმე საწინააღმდეგოს“ (მუხლი 5). მე-10 მუხლში ნათქვამია: ოფიციალური ურთიერთობები კანტონებსა და უცხოეთის სახელმწიფოებს შორის ზორციელდება საკავშირო საბჭოს (მთავრობის — რ. დ.) მეშვეობით.

ამასთან, იმ საკითხებზე, რომლებიც გათვალისწინებულია მე-9 მუხლით, კანტონებს შეუძლიათ უშუალო ურთიერთობებში შევიდნენ უცხოეთის სახელმწიფოს ქვემდგომ ხელისუფლებებთან და ჩინოვნიკებთან (მე-10 მუხლი).

1949 წლის გფრ-ს კონსტიტუციის 32-ე მუხლში ვკითხულობთ: „1. უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობების წარმართვა განეკუთვნება ფედერაციას; 2. იმ ხელშეკრულების დადების წინ, რომელიც ამა თუ იმ მხარის განსაკუთრებულ მდგომარეობას შეეხება, უნდა დროულად მოსმენილ იქნას ეს მხარე; 3. იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მხარეებს საკანონმდებლო კომპეტენცია გააჩნიათ, მათ შეუძლიათ ფედერალური მთავრობის თანხმობით დადონ ხელშეკრულებები უცხოეთის სახელმწიფოებთან“.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, 1955 წლის ავსტრიის კონსტიტუციაში და 1831 წლის ბელგიის კონსტიტუციაში, შეიტანეს ცვლილებები, რომლებიც ავსტრიის პროვინციებს და ბელგიის რეგიონებს საერთაშორისო ურთიერთობებში განსაზღვრულ უფლებებს ანიჭებენ. კერძოდ, ავსტრიის კონსტიტუციის თანახმად, ფედერაციის ამჟამინდელი სუბიექტი — პროვინცია აღჭურვილია უფლებით — ხელშეკრულებები დადოს სახელმწიფოებთან ან მეზობელი სახელმწიფოების ხელისუფლებებთან იმ საკითხებზე, რომლებიც პროვინციის იურისდიქციას განეკუთვნება².

ზოგიერთი უფლებამოსილებანი გააჩნიათ კანადის ფედერაციის პროვინციებს, მაგრამ უკვე იმ კონსტიტუციური ჩვეულების საფუძველზე, რომელიც ბოლო, თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ჩამოყალიბდა³ ისინი, კერძოდ, სხვა სახელმწიფოებთან დებენ საერთაშორისო შეთანხმებებს, სხვადასხვა ქვეყნების დედაქალაქებსა და ქალაქებში ქმნიან გენერალურ წარმომადგენლობებს, ბიუროებს, სააგენტოებს და სხვა. განსაკუთრებით მჭიდრო კავშირები დამყარდა კვებეკის პროვინციასა და საფრანგეთს შორის.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი გულისხმობს, რომ ფედერაციის წევრების სამართალსუბიექტობის, მისი რეალიზაციის წესებისა და ფორმების საკითხი წყდება ფედერაციის კონსტიტუციებით და მათი გამოყენების პრაქტიკის მიხედვით. ამან დადასტურება ჰპოვა 1962 წელს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ კონვენციის პროექტის შემუშავებისას, გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ წარმოდგენილ შემდეგ

² იხ. ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციები (რუსული გამოცემა, 1984 წ.)

³ კონსტიტუციის შესახებ 1867 წლის აქტში მკვეთრად არ არის გამოჩენილი ფედერალური მთავრობისა და პროვინციების უფლებამოსილებანი.

წინადადებაში: „ფედერაციული კავშირის წევრებს შეუძლიათ ჰქონდეთ ხელშეკრულების დადების უფლება, თუ ასეთი უფლება დაშვებულია ფედერაციის კონსტიტუციით და არ გადის იმ ფარგლებიდან, რომლებსაც იგი აღგანს“⁴.

საქართველო და სხვა მოკავშირე რესპუბლიკები, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტები. სსრ კავშირი განიხილება როგორც ფედერაციული სახელმწიფო და ბუნებრივია, იბადება კითხვა — წარმოადგენენ თუ არა ამ ფედერაციის სუბიექტები საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს?

ამთავითვე ზაზგასმით უნდა ითქვას, რომ სსრ კავშირი, სხვა ფედერაციებისაგან განსხვავებით, ეროვნული სახელმწიფოებისაგან შედგება; ბევრი მათგანი საუკუნეების მანძილზე დამოუკიდებელი სახელმწიფო, რაც იგივეა, საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილე იყო.

ეს მთლიანად ეხება საქართველოს, რომელიც მე-12 საუკუნისათვის ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა და ფართო საერთაშორისო კავშირები ჰქონდა. 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთმა, როგორც ცნობილია, საქართველოზე პროტექტორატი დააწესა და საქართველოს საგარეო საქმეების წარმართვა თვითონ იკისრა. 1801 წელს საქართველოს წაერთვა საშინაო ავტონომიაც და არსებითად რუსეთის იმპერიის კოლონიად იქცა. 1918 წელს საქართველომ ისევ მოიპოვა დამოუკიდებლობა, — შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც ზანმოკლე არსებობის მანძილზე, 1921 წლის 25 თებერვლამდე მოასწრო დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარება ბევრ სახელმწიფოსთან. საქართველოში თხუთმეტზე მეტი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო იმყოფებოდა, მათ შორის — სპარსეთის, თურქეთის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, ბელგიის, შვეიციის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის და სხვან, განიხილებოდა ერთა ლიგაში საქართველოს მიღების საკითხი. მაგრამ ისტორიამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მეტისმეტად მცირე დრო დაუთმო. რსფსრ-ს სამხედრო ჩარევის შედეგად, რითაც 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება დაირღვა. 1921 წლის თებერვლის ბოლოს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. მაგრამ გასაბჭოებული საქართველოც — საქართველოს სსრ დარჩა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, თუმცა სახელმწიფოთა წრე, ვისთანაც მას დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები ჰქონდა, შევიწროვდა. საქართველოს სსრ პირველ კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულ იქნა 1922 წლის 2 მარტს, ჩამოყალიბდა მისი საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. საქართველოს სსრ მთელ საგარეო პოლიტიკაზე ხელმძღვანელობას ახორციელებდა სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა. ყრილობებს შორის პერიოდში სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. საკითხები, რომლებიც შეეხებოდა უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობებს, ომის გამოცხადებას, ზა-

⁴ თუ ეს დებულება არ შევიდა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ 1969 წლის კონვენციის ტექსტში, მხოლოდ იმითმ, რომ ვენის კონფერენციის მონაწილეთა აზრით (ვინც აღნიშნული კონვენცია მიიღო) მსგავსი პრობლემები უნდა წყდებოდეს არა საერთაშორისო, არამედ სახელმწიფო დონეზე, ე. ი. ფედერალური კონსტიტუციით.

⁵ Мерквиладзе В. Н. Создание и укрепление советской государственности в Грузии (1921—1936) — Тбилиси, Сабчота Сакарთველო, 1969, с. 274.

ვის დადებას და სამშვიდობო ხელშეკრულებების რატიფიკაციას, მხოლოდ სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობის გამგებლობას ექვემდებარებოდნენ, შეიქმნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომელიც უშუალოდ საქართველოს სსრ საგარეო პოლიტიკას ახორციელებდა. 1922 წლის აპრილში საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაამტკიცა — დებულება უცხოეთის სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლების შესახებ და დებულება უცხოეთის სახელმწიფოების საქართველოს სსრ მთავრობასთან აკრედიტებული საკონსულო წარმომადგენლების შესახებ. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს — აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის 1922 წლის 12 მარტს ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიქმნა ფედერაციის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი, ამასთანავე ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში შენარჩუნებული იქნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატები (თუმცა თავდაპირველად ეს კომისარიატები გააუქმეს). ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, როგორც ერთობლივად, ისე ცალ-ცალკე, საკმაოდ აქტიურ საგარეო პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ. მაგალითად, 1921 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ისინი რსფსრ-სთან ერთად ყარსში მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ თურქეთთან. ეს მოლაპარაკებები 1921 წლის 12 ოქტომბერს დამთავრდა ერთი მხრივ, საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს და მეორე მხრივ, თურქეთს შორის ყარსის ზავის დადებით. ამ ზავით სხვა საკითხებთან ერთად განმტკიცდა საქართველოს სუვერენიტეტი ბათუმის პორტსა და ქალაქზე და მასთან მიმდებარე ტერიტორიებზე. 1922 წლის 20 მარტს ტფილისში საქართველოს და თურქეთს შორის ხელმოწერილი იქნა კონვენცია საზღვრის მიმდებარე საძოვრების გამოყენების შესახებ, აგრეთვე კონვენცია საზღვრის გადალახვის შესახებ; 1922 წლის 9 ივლისს ტფილისში რსფსრ-ს, ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის ხელმოწერილი იქნა კონვენციები, მათ შორის, საკონსულო კონვენცია იურიდიული დახმარების შესახებ. საქართველო, ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან ერთად შედიოდა საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში გენუის კონფერენციაზე (1922 წლის 10 აპრილი — 19 მაისი); საქართველოს სსრ რსფსრ-სთან და უკრაინის სსრ-სთან ერთად საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში მონაწილეობდა ლოზანის კონფერენციაზე (1922 წლის 20 ნოემბერი — 1923 წლის 24 ივნისი). ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებელი საგარეო საქმიანობა შემდეგაც გაგრძელდა, კერძოდ, რაც ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად გარდაიქმნა; ასევე მოხდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი შეიქმნა და ამ კავშირში რსფსრ, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ-სთან ერთად ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა შევიდა.

აუცილებელია ითქვას, რომ რსფსრ-საგან განსხვავებით, რომელიც ავტონომიის პრინციპზე იყო აგებული, ასფსრ-ს შექმნა ემყარებოდა სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების ხელშეკრულებას. ამიტომ ასფსრ-ს თითოეული სუბიექტი სახელშეკრულებო რესპუბლიკას წარმოადგენდა.

სსრკ-ს შექმნის შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებდა საგარეო საქმეების გადაცემას კავშირისათვის. ეს დებულება განმტკიცდა ჯერ 1924 წლის

სსრ კავშირის კონსტიტუციაში, შემდეგ 1936 წლის კონსტიტუციაშიც. კერძოდ 1924 წლის კონსტიტუციაში ნათქვამია: 1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობას, მისი უმაღლესი ორგანოების სახით, განეკუთვნება: ა) კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობებში, ვველა დიპლომატიური ურთიერთობების წარმართვა, პოლიტიკური და სხვა ხელშეკრულებების დადება სხვა სახელმწიფოებთან;... გ) ომის გამოცხადება და ზავის დადება;... ე) საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაცია“.

ამავე დროს მოკავშირე რესპუბლიკებს მიეცათ საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა საკუთარი ინტერესების დასაცავად, ჯერ კიდევ 1922 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ რკპ (ბ) ცკ რეზოლუციის მე-4 პუნქტის შენიშვნაში მითითებული იყო: „საჭიროდ ჩაითვალოს დაინტერესებული რესპუბლიკების წარმომადგენელთა შეყვანა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შესაბამის საზღვარგარეთის წარმომადგენლობაში“. ამ მითითებამ განვითარება ჰპოვა 1923 წლის 12 ნოემბერს მიღებულ დებულებაში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შესახებ, სადაც მე-17 მუხლის შენიშვნაში ნათქვამი იყო „სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობებში იმ პუნქტებში რომ იმყოფებიან, რომლებიც ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკების განსაკუთრებული ინტერესის საგანს შეადგენენ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი ნიშნავს მრჩეველს და მდივნებს დაინტერესებული რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით“. ეს მოთხოვნა ოციან წლებში კარგა ხანს სრულდებოდა.

მოკავშირე რესპუბლიკებმა საერთაშორისო სამართალსუბიექტობა ისევ შეიძინეს 1944 წლის 1 თებერვალს, როცა მიღებული იქნა კანონი „საგარეო ურთიერთობათა სფეროში მოკავშირე რესპუბლიკებისათვის უფლებამოსილებათა მიცემის და ამის გამო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშიროდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად გარდაქმნის შესახებ“.

კანონმა სსრ კავშირის კონსტიტუცია შეავსო შემდეგი შინაარსის 18-ა მუხლით: „ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს უშუალო ურთიერთობები დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დადოს მათთან შეთანხმებები და გაცვალონ დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები“. ხოლო მე-60 მუხლი, რომელშიაც ლაპარაკი იყო მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეროგატივებზე, შეივსო „დ“ პუნქტით: „ადგენს მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლობას საერთაშორისო ურთიერთობებში“. კავშირის უფლებამოსილება, კერძოდ კი „კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობებში, ხელშეკრულებების დადება და რატიფიკაცია“ შეივსო სიტყვებით „საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან მოკავშირე რესპუბლიკების ურთიერთობების ზოგადი წესების დადგენა“.

როგორც პრეამბულაში იყო ნათქვამი, კანონი მიღებული იქნა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო კავშირების გაფართოებისა და თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მიერ საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან უშუალო ურთიერთობების დამყარების გაზრდილი მოთხოვნის გათვალისწინებით“.

ცხადია, კანონში მისი მიღების ყველა მოტივი, მითითებული არ ყოფილა. იმ მომენტში ძირითადი პოლიტიკური მოტივი ის იყო, რომ უზრუნველყოთ

მოკავშირე რესპუბლიკების (ან ზოგიერთი მათგანის მაინც) მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომლის შექმნა მაშინ იგეგმებოდა, და სხვა საერთაშორისო ფორუმებში, რათა გაეძლიერებინათ საბჭოთა კავშირის პოზიციები. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ კანონის დებულებები რადიწარმოდგენდნენ რალაც ხელოვნურ და უსაფუძვლო სიახლეებს, რომლებსაც მარტოდენ ვიწრო უტილიტარული მიზნები ჰქონდათ. 1944 წლის 1 თებერვლის კანონში არსებითად საუბარი იყო მოკავშირე რესპუბლიკების, კერძოდ საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის აღდგენაზე, თუმცა კანონმდებელი ამ გამოთქმას არ ხმარობდა. მართალია, მოკავშირე რესპუბლიკების საერთაშორისო უფლებათუნარიანობა მკვეთრად უპირისპირდებოდა მათსავე ქმედუნარიანობას, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი იყო, საერთაშორისო სამართალსუბიექტობის, თუნდა ფორმალურის, აღდგენის ფაქტი. შემთხვევითი არც ისაა, რომ საერთაშორისო სამართალსუბიექტობის აღდგენასთან ერთად, სხვა კანონით, რომელიც ასევე 1944 წლის 1 თებერვალს მიიღეს, მოკავშირე რესპუბლიკებს კვლავ დაუბრუნდათ თავიანთი უფლებები ეროვნული საჯარისო ფორშირებების შექმნის სფეროში (ეს უფლებები მათ ისევ ჩამოერთვათ ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში).

აღნიშნული საკანონმდებლო დებულებები პასუხობდნენ ეროვნული სუვერენული სახელმწიფოების ობიექტურ მოთხოვნებს. თუმცა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური, პარტიულ-სახელმწიფოებრივი სისტემა მთლიანად აცარიელებდა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს, თავისთავად, ამ უფლებების აღიარების ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ის ქმნიდა კანონიერ ბაზას წინსვლისათვის მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების რეალიზაციის გზაზე.

ამასობაში, დრო გადიოდა, მართალია იმისთვის, რაც ჩვენ საზოგადოებრივ განვითარებას შეეხება, ძალიან ნელა, მაგრამ მაინც გადიოდა. დადგა „უძრავობის წლები“ და გადაიდგა ერთი პატარა ნაბიჯი მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების (ძირითადად დეკლარაციული) გზაზე. 1977 წლის კონსტიტუციაში დაზუსტდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები: „მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დაუდოს მათ ხელშეკრულებანი და გაუცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები, მონაწილეობდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში“ (მუხ. 80). როგორც ვხედავთ, აქ დამატებულია ფრაზა საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ, გარდა ამისა, სიტყვა „შეთანხმების ნაცვლად ნაზმარია სიტყვა „ხელშეკრულება“. ეს თითქოს ამალღებდა მოკავშირე რესპუბლიკების მდგომარეობას. არის კიდევ სტილისტური ხასიათის ცვლილებებიც: „უშუალო კავშირის“ ნაცვლად — „ურთიერთობა“.

არ შეიძლება გვერდი ავუქციოთ იმასაც, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის 77-ე მუხლის და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისი მუხლების მიხედვით (საქართველოს სსრ კონსტიტუციის 74-ე მუხლით) მოკავშირე რესპუბლიკები სსრ კავშირის სახალხო დემუტატთა ყრილობაზე, სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში, ფედერაციის საბჭოში, სსრ კავშირის მთავრობაში და სსრ კავშირის სხვა ორგანოებში მონაწილეობენ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც სსრ კავ-

შორის გამგებლობას განეკუთვნება (მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებისა).

რაც შეეხება კავშირის უფლებამოსილებებს, აქაც დაზუსტებები შევიდა მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ. კავშირის უფლებებშია უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოკავშირე რესპუბლიკების ურთიერთობების არა მარტო ზოგადი წესის დადგენა, არამედ კოორდინაცია (სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-10 პუნქტი). თუმცა, ეს ბოლო დებულება არ შედის 1990 წლის 26 აპრილის კანონში „სსრ კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ (იხ. მე-8 მუხლის მე-9 პუნქტი).

ფართოვდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლებამოსილებანი. თუ 1936 წლის კონსტიტუციაში მოკლედ იყო ნათქვამი: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო „ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობების სფეროში“ (68-ე მუხლის „გ“ პუნქტი), 1977 წლის კონსტიტუციის 131-ე მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულია, რომ „თავისი უფლებამოსილების ფარგლებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო... ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობების, საზღვარგარეთის ქვეყნებთან სსრ კავშირის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის დარგში; იღებს ზომებს სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველსაყოფად; ამტკიცებს მთავრობათა შორის საერთაშორისო ხელშეკრულებებს და ახდენს მათ დენონსაციას“.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს დებულებას, რომლის თანახმად „მოკავშირე რესპუბლიკა არის, სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო“ (76-ე მუხლი, ხაზგასმა ჩემია — რ. დ.).

შესაბამისი ცვლილებები და დამატებები შევიდა რესპუბლიკების ახალ კონსტიტუციებშიც, მათ შორის 1978 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციაში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში შეტანილი ახალი დებულებები ზოგადი ხასიათისაა; მარტოდენ ზოგადი დებულებები საკმარისი როდია. საჭიროა მათი კონკრეტიზაცია საგარეო პოლიტიკის სფეროში უფლებამოსილებათა რეალიზაციისათვის. ეს პროცესი სულ ახლახან დაიწყო. საზოგადოების გარდაქმნის მეოთხე წელიწადს, ობიექტურ გარემოებათა ძლიერი ზეგავლენით, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების ნაწილობრივი გადასინჯვის მეშვეობით, აღნიშნული პროცესი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. რადგან მოკავშირე რესპუბლიკების უფლებამოსილებათა კონკრეტიზაციასთან ერთად, მათ შორის საგარეო პოლიტიკის სფეროშიაც, ხელისუფლების თავმოყრა ხდება ცენტრში (უწინარეს ყოვლისა, პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნით, რომელიც ჯეროვნად შეზღუდული არ არის შეკავებისა და წინააღმდეგობის გაწევის სისტემით), რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებებზე.

სსრ კავშირის კანონში „სსრ კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ საგარეო საქმეებში მოკავშირე რესპუბლიკის უფლებამოსილებებზე მიუთითებს მე-5 მუხლი, რომელიც მთლიანად იმეორებს სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-80 მუხლს და მასში ზოგიერთი ახალი ნიუანსი შეაქვს. იგი მოკავშირე რესპუბლიკის უფლებათა წრეს

განაკუთვნებს საგარეო ეკონომიკური კავშირების განხორციელების უფლებას. ეს, ცხადია, არსებითი ხასიათის დაზუსტებაა, მაგრამ იგი ბევრად ილახება საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაზე სსრ კავშირის საერთო ზელმძღვანელობის უფლებით (იმავე კანონის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტი).

საგარეო ურთიერთობების სფეროში მოკავშირე რესპუბლიკის უფლება შეზღუდულია გარკვეული ჩარჩოებით: მე-5 მუხლში მითითებულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკის ეს უფლება არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სსრ კავშირის კანონებს და სსრ კავშირის საერთაშორისო ვალდებულებებს.

უფლებამოსილებათა გამოჭვნის შესახებ კანონის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით სსრ კავშირის განსაკუთრებულ კომპეტენციას წარმოადგენს „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა“, თუმცა, აღბათ უფრო სწორი იქნებოდა ამ საკითხის გადატანა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკის ერთობლივ კომპეტენციაში. სსრ კავშირის კონსტიტუცია, შეიძლება ითქვას, არ შეიცავს დებულებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა მხოლოდ სსრ კავშირის უფლებამოსილებაა.

სხვათა შორის, კანონში არის ერთობ საგულისხმო მე-9 მუხლი, რომლის მიხედვით სსრ კავშირს შეუძლია, მოკავშირე რესპუბლიკასთან შეთანხმების დადების გზით, გადასცეს მას სსრ კავშირის ცალკეულ უფლებამოსილებათა განხორციელება მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მოკავშირე რესპუბლიკას, სსრ კავშირთან შეთანხმების დადების გზით, შეუძლია გადასცეს კავშირის კომპეტენციაში ცალკეული საკუთარი უფლებამოსილებანი.

ცხადია, უფრო მართებული იქნებოდა თქმულიყო, რომ სსრ კავშირი უკან უბრუნებს და არა გადასცემს უფლებამოსილებებს, რადგან სუვერენული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი უფლებამოსილებების, ასე ვთქვათ, პირველადი მატარებელი, სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკაა და მხოლოდ მას შეუძლია საკუთარი უფლებამოსილების ნაწილი სსრ კავშირს გადასცეს (აქ, ისე როგორც სხვა შემთხვევებში, შეიმჩნევა აშკარა უნიტარისტული მიდგომა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკებისა უფლებამოსილებებისადმი). სსრ კავშირის უფლებამოსილებები კი, შესაბამისად, წარმოებულნი უფლებამოსილებებია. ზემოთხმობილი დებულებები ცალკეული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ინტერესების შეთანხმების საფუძველია, თუ რაიმე მიზეზით მოკავშირე რესპუბლიკა საჭიროდ არ ჩათვლის უარი თქვას თავისი უფლებამოსილებების დამოუკიდებლად განხორციელებებზე, და, პირიქით, თუ რომელიმე რესპუბლიკა გადაწყვეტს, რომ მისთვის ხელსაყრელია ზოგიერთი უფლებამოსილებანი კავშირს გადასცეს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთხმობილი დებულებები დიდ მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ შეიძენენ, თუ ისინი პრაქტიკულად განხორციელდებიან და ფორმალური ხასიათისა არ იქნებიან.

მაინც რაში გამოიხატება მოკავშირე რესპუბლიკების უფლებამოსილებათა კონკრეტიზაცია საგარეო პოლიტიკის სფეროში ამ რესპუბლიკების კონსტიტუციებში? აღნიშნულთან დაკავშირებით შეეჩერდებით საქართველოს სსრ 1989 წლის 18 ნოემბრის კანონზე „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებების და დამატებების შესახებ“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, კონსტიტუციის 104-ე მუხლის თანახმად „2) იხილავს საქართველოს სსრ საზღვრებთან დაკავშირებულ საკითხებს;... 6) აყალიბებს საქართველოს სსრ საშინაო და საგარეო პოლიტიკის

ძირითად მიმართულებებს;... 28) ახდენს საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას და დენონსაციას“ (ეს ბოლო უფლებამოსილება ფიგურირებდა 1978 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციის თავდაპირველ ტექსტშიც, მაგრამ ანორციელებდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში).

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს 113-ე მუხლის შესაბამისად დარჩა ისეთი უფლებები, როგორცაა უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნა და მათი იქიდან გამოწვევა (მე-12 პუნქტი), მასთან აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებულებისა და გაწვევის სიგელების მიღება (მე-13 პუნქტი).

სიახლეს წარმოადგენს 114-ე და 115-ე მუხლებით გათვალისწინებული დებულებები. საქართველოს სსრ უმაღლეს თანამდებობის პირს, 114-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც რესპუბლიკას წარმოადგენს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. 115-ე მუხლი კი ამბობს: „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე: 1) ანორციელებს საერთო ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში განსახილველი საკითხების მომზადებაზე;... 4) წარუდგენს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს მოხსენებებს რესპუბლიკის მდგომარეობის და საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ; 5) წარმართავს მოლაპარაკებებს და ხელს აწერს საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებებს“.

სსრ კავშირის პრეზიდენტის ინსტიტუტზე სპეციალურად არ შეგჩერდები, მხოლოდ ვიტყვი, რომ პრეზიდენტის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში მოკავშირე რესპუბლიკების (მათი წარმომადგენლების) როლი მაინცდამაინც დიდი არაა. როგორც ცნობილია, პრეზიდენტი ხელმძღვანელობს ორ საბჭოს — ფედერაციის საბჭოს და სსრ კავშირის პრეზიდენტის საბჭოს. თუ ფედერაციის საბჭო (რომელშიც შედის მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირები და უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს თანამდებობის პირებსაც) უმთავრესად განიხილავს რესპუბლიკათაშორისი, ერთაშორისი ურთიერთობების პრობლემებს (სსრ კავშირის კონსტიტუციის 127-4 მუხლი), პრეზიდენტის საბჭოს (რომლის წევრებსაც პრეზიდენტი ნიშნავს) ამოცანას შეადგენს სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების რეალიზაციისათვის ღონისძიებათა შემუშავება, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა (მუხლი 127-5). თუმცა პრეზიდენტი ატარებს ფედერაციის საბჭოსა და პრეზიდენტის საბჭოს ერთობლივ სხდომებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად (მუხლი 127-6). ცხადია, რომ კონსტიტუციის ახალი დებულებების მიხედვით, პრეზიდენტის საბჭოს უფრო მეტად, ვიდრე ფედერაციის საბჭოს შეუძლია გავლენა მოახდინოს პრეზიდენტის პოლიტიკის გატარებაზე.

როგორ ხორციელდება საქართველოს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საერთაშორისო უფლებათუარიაანობა. ამრიგად, უკვე განვიხილეთ საქართველოს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საერთაშორისო სამართალსუბიექტობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, მათი საერთაშორისო უფლებათუარიაანობის შესახებ ზოგადი კონსტიტუციური დებულებები და ამ დებულებათა შემდგომი კონკრეტიზაცია სსრ კავშირის და საქართველოს კონსტიტუციებში.

ისლა დაგვრჩენია განვიხილოთ, თუ როგორ ხორციელდება აღნიშნული დეკლარაციის პუნქტები სინამდვილეში.

მოკავშირე რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოს, თუმცა, კონსტიტუციის მიხედვით საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ყველა უფლება გააჩნდა, მაგრამ არსებითად ბოლო დრომდე საერთოდ არა ჰქონდა ამ უფლებების განხორციელების შესაძლებლობა. საერთაშორისო არენაზე გამოდიოდნენ მხოლოდ უკრაინა და ბელორუსია, რომლებიც გაერო-ს წევრებია; ისინიც კი დამოუკიდებელი როდი იყვნენ თავიანთ მოქმედებებში. საგარეო საქმეთა სამინისტროები, რომლებიც ყველა რესპუბლიკაში შეიქმნა, დეკორატიულ ხასიათს უფრო ატარებდნენ. სულ ცოტა ზანია, რაც ერთგვარი ძვრები შეიმჩნევა. მოკავშირე რესპუბლიკებს მოუხმობენ საერთაშორისო ურთიერთობებში უფრო აქტიური საქმიანობისაკენ. უწინარეს ყოვლისა, საკონსულო დონეზე. ამ მიზნით ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები (მაგალითად, მოსკოვში, კიევში) სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სამინისტროების პრაქტიკოსების, მეცნიერების ქმედითი მონაწილეობით, იძლევიან წინადადებებს, რეკომენდაციებს. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში შექმნილია ახალი განყოფილება მოკავშირე რესპუბლიკებთან ურთიერთობების საკითხებზე. განყოფილების როლი, როგორც ჩანს, გამოიხატება მოკავშირე რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სამინისტროებთან არა მხოლოდ ქმედით კავშირებში, არამედ მათი საქმიანობის აქტივიზაციასა და კოორდინაციაში.

ბევრი მოკავშირე რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოდის ძილ-ბურანის მდგომარეობიდან. ამის მაგალითი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროა, რომლის სტრუქტურა და საქმიანობა მნიშვნელოვნად შეიცვალა: მიღებულია ახალი დებულება, რომლის მიხედვით განისაზღვრა სამინისტროს საქმიანობის საერთო მიმართულებები, ასევე ამოცანები, ფუნქციები. მუშაობის ორგანიზაცია და სტრუქტურა. გაიზარდა სამინისტროს შტაბები, შეიქმნა ახალი ქვედანაყოფები. სამინისტროს ფუნქციებს შორის შეიძლება გამოვყოთ: უცხოეთის სახელმწიფოებთან რესპუბლიკის პოლიტიკური და დიპლომატიური კავშირების უზრუნველყოფა ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის, განათლების, ჯანდაცვის, სპორტის, ტურიზმის და სხვა სფეროებში. უნდა ითქვას, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიწყო მოქმედება ამ მიმართულებით. შეიქმნა ახალი სამმართველო. რომელიც ახორციელებს რესპუბლიკის ყველა საგარეო კავშირების კოორდინაციას ისე, რომ არ ზღუდავს სამინისტროების. უწყებებისა და ცალკეული სამამულო ფირმების ინიციატივას; სამმართველო ახდენს მათი დაქსაქსული ძალების ინტეგრაციას, მთელი მუშაობის კოორდინაციას.

რესპუბლიკაში იქმნება საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქმიანი თანამშრომლობის ასოციაცია, სადაც შევა ყველა დაინტერესებული სამინისტრო და უწყება. ასოციაციას უფლება აქვს დააფინანსოს ყოველგვარი ერთობლივი საწარმოები.

საქართველომ იწყო კავშირების დამყარება არა მარტო უცხოეთის კომპანიებთან, ქალაქებთან, რეგიონებთან, არამედ ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც. შეიქმნა იუნესკოს საქმეებზე საქართველოს რესპუბლიკური საბჭო. ეს არის მნიშვნელოვანი საფეხური იმისათვის, რომ საქართველო გახ-

დეს ამ ორგანიზაციის ოფიციალური წევრი. თუმცა, ამჟამადაც კი, საქართველოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს იუნესკოს ბევრ აქციაში, რადგან საქართველო შეიძლება მის ასოცირებულ წევრადაც ჩაითვალოს. საქართველოში გაეროს სხვა ორგანიზაციის, კერძოდ, სამრეწველო განვითარების გაეროს ორგანიზაციის ეგიდით ტარდება საერთაშორისო სიმპოზიუმებიც, თათბირები, კონფერენციები. მაგალითად, 1989 წლის სექტემბერში საქართველოს, მეცნიერებისა და ტექნიკის სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტის და სამრეწველო გაერთიანების გაეროს ორგანიზაციის შეთანხმებით მოწვეულ იქნა გლობალური საკონსულტაციო თათბირი კვების მრეწველობის საკითხებზე. თბილისში დაგეგმილია იუნესკოს საქართველოს ბიუროს გახსნა. იგი შესაძლებლობას მისცემს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს კავშირი იქონიონ ამ ორგანიზაციასთან და საქართველოსა და განვითარებად ქვეყნებს შორის საქმიანი ურთიერთობების გარანტია გახდება.

1989 წლის ნოემბერში საქართველო გახდა რეგიონების ევროპული ასამბლეის წევრი (მისი შტაბ-ბინა საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგშია). ეს ასამბლეა აერთიანებს კანტონებს, მხარეებს, რესპუბლიკებს, რეგიონებს და ფედერაციული თუ უნიტარული სახელმწიფოების შემადგენელ ნაწილებს. მისი ამოცანაა კაცობრიობის შენარჩუნებისათვის საერთო ძალისხმევის მიზნით საერთო ევროპული სახლის შექმნა. რეგიონების ევროპული ასოციაცია დაკავებულია ტურიზმის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოწინავე ტექნოლოგიის განვითარებით, სტუდენტების გაცვლით, ურთიერთგაცნობის მიზნით ახალგაზრდობის მოგზაურობებით. საქართველო რეგიონების ევროპული ასამბლეის პირველი და ჭერჭერობით ერთადერთი წევრია საბჭოთა კავშირიდან.

საქართველომ დაიწყო სხვადასხვა შეთანხმებების დადება რეგიონებთან, სახელმწიფოებთან. 1990 წლის 9 თებერვალს ბრიუსელში ბელგიის სამეფოს ვალონიის რეგიონის მთავრობასა და საქართველოს სსრ მთავრობას შორის დაიდო შეთანხმება თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების შესახებ. ეყრდნობიან რა 1989 წლის 14 სექტემბერს თბილისში ხელმოწერილ დეკლარაციას თანამშრომლობის და პარტნიორული ურთიერთობების შესახებ, პარტნიორები შეთანხმდნენ გააძლიერონ თანამშრომლობის განვითარების მიზნით ერთობლივი მოქმედებანი ისეთ სფეროებში, როგორცაა ენერჯის ათვისება, კერძოდ, წარმოება და მოხმარება, ენერჯის ახალი სახეები და ენერჯის ეკონომია, გარემოს დაცვა, ნარჩენების მეორადი გადამუშავება, გამოყენება ენერგეტიკული მიზნებისათვის; სოფლის მეურნეობა ბიოტექნოლოგიის ჩათვლით, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისაგან შემდგარი მეორადი ნედლეული, დეტოქსაცია. თანამშრომლობა განხორციელდება პუბლიკაციებისა და სპეციალისტების გაცვლის, სემინარების ჩატარების, ერთობლივი საწარმოების შექმნის, სხვადასხვა დარგებში თანამშრომლობის შესახებ ოქმების ხელმოწერის გზით. იქმნება მუდმივი, შერეული საქართველო-ვალონიის კომისია, რომელიც რიგრიგობით შეიკრიბება საქართველოსა და ვალონაში.

1989 წლის ბოლოს ანკარაში საქართველოს სსრ და თურქეთის რესპუბლიკას შორის მოხდა ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერა ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესახებ. საუბარია საქართველოსა და თურქეთის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე სსრ კავშირის და თურქეთის მთავრობებს შორის სასაზღვრო და სანაპირო ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, ამჟამად ძირითადი ყურადღება მიექცევა სხვადასხვა სამრეწველო

და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთობლივი წარმოების ორგანიზაციები (მაგალითად, ისეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადაამუშავებას როგორცაა სოიო, ციტრუსები, ხილი, ჩაი, სხვადასხვა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენები), დასახულია თანამშრომლობის კონკრეტული გზები მსუხუქტი მრეწველობის, სამშენებლო საწარმოების მოდერნიზაციის დარგში. აღიარებულია ისეთი ერთობლივი ღონისძიებების მიღების აუცილებლობა, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოს, შავი ზღვის სანაპიროს დაცვას, ენერგეტიკული და წყლის რესურსების დარგში თანამშრომლობის განვითარების თაობაზე, აგრეთვე, იმის შესახებ, რომ სანაპირო და სასაზღვრო ვაჭრობის ძირითადი პუნქტები საქართველოში იქნება ბათუმი, ფოთი, სარფი, თურქეთში — ტრაპიზონის, სამსუნის და ართვინის პორტები, ქალაქი ერზურუმი.

შეიძლება ითქვას აგრეთვე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო და ბულგარეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის 1990 წლის მარტში სოფიაში ხელმოწერილი შეთანხმების შესახებ. შეთანხმებაში ნათქვამია, რომ ავითარებენ რა საგარეო-სავაჭრო საქმიანობის სტიმულირების ყველა ფორმას, ორივე პალატა მიზნად ისახავს საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთკავშირების ეფექტურობის ამაღლებას. საქართველოსა და ბულგარეთის დაინტერესებული სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ერთობლივი საწარმოების შექმნას.

ამდენად, თამამად შეიძლება ლაპარაკი საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის რეალიზაციის საკითხებში ერთგვარი ბიძგის შესახებ, მაგრამ ეს ნაბიჯები სინამდვილეში უმნიშვნელოა. ავიღოთ, თუნდაც საქართველოს მიერ დადებული ზემოთხსენებული შეთანხმებები. ერთ შემთხვევაში საქართველომ შეთანხმება დადო არა სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, არამედ ბელგიის ვალონურ რეგიონთან. ამგვარად, საქართველო, რომელიც კონსტიტუციის მიხედვით, სუვერენული სახელმწიფოა, თითქოს გათანაბრებულია არასუვერენულ ვალონიის რეგიონთან. აქ შეიძლება ვინმე შემოგვედავოს: სუვერენულ სახელმწიფოს ხომ საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ სუბიექტთან შეუძლია ხელშეკრულების დადება. ავიღოთ სხვა ფაქტი; საქართველო გახდა რეგიონების ევროპული ასამბლეის ასოცირებული წევრი. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებს სწორედ რეგიონები, ესე იგი სახელმწიფოების ცალკეული ნაწილები წარმოადგენენ. ან კიდევ სხვა მაგალითი — საქართველოს სსრ და თურქეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთგავების მემორანდუმი. აქ თითქოს ყველაფერი სახეზეა — საქართველომ ხელი მოაწერა მემორანდუმს სრულიად დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოსთან. მაგრამ მემორანდუმი შეეხება ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებს სასაზღვრო და სანაპირო ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ სსრ კავშირისა და თურქეთს შორის დადებული შეთანხმების ფარგლებში. კიდევ ერთი დეტალი: მემორანდუმი ხელმოწერილია საქართველოს მხრივ — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ხოლო თურქეთის მხრივ — ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მინისტრის მოადგილის მიერ.

აქამდე „არ ამუშავებულა“ კონსტიტუციური დებულება იმის შესახებ, რომ მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს უცხოეთის სახელმწიფოებთან გაცვალოს დიპლომატიური და ხაკონსულო წარმომადგენლები. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჯერჯერობით პალიატიური ღონისძიებებით იფარგლება, როგორც საკავშირო-რესპუბლიკურ კონფერენციაზე — „საერთო ევროპული თანამშრომლობა და მოკავშირე რესპუბლიკები“ (კიევი, 1990 წლის

27 თებერვალი — 2 მარტი) — აღინიშნა, გამოყოფილია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების საკითხებზე მუშაობენ. ფიქრობენ აგრეთვე არსებითად ძველი პრაქტიკის აღდგენას. მოკავშირე რესპუბლიკებისათვის გამოყონ ე. წ. ქვოტები (ესე იგი მათი მუშაკების განსაზღვრული ოდენობა) უცხოეთში სსრ კავშირის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებში. მეტად შეზღუდულია საქართველოს და ბევრი სხვა რესპუბლიკის მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებში. „არ ამუშავებულა“ საქართველოს სსრ კონსტიტუციის ისეთი დებულებები, რომლებიც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეროგატივებს შეეხება საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ფორმირების, საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციის და დენონსაციის საკითხებზე, არ ხორციელდება აგრეთვე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლება, რომელიც გამოიხატება უცხოეთის სახელმწიფოებში და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნასა და მათი იქიდან გამოწვევაში, მასთან აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების რწმუნებულებისა და გაწვევის სიგელების მიღებაში, იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებებზე, რომლებიც გამოიხატება უზენაესი საბჭოსადმი საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებზე მოხსენების წარდგენაში. მოლაპარაკებების წარმართვასა და საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელმოწერაში.

საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კვშმარიტი რეალიზაციის აუცილებელი პირობები. საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კვშმარიტი რეალიზაციისათვის ორი გზა არსებობს: ერთია სსრ კავშირიდან გასვლა და სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება. მეორე — ამჟამად არსებული კავშირის ნაცვლად სახელმწიფოთა ისეთი გაერთიანების შექმნა, რომელიც მართლაც უზრუნველყოფდა მათ სუვერენულ უფლებებს. შევჩერდეთ ამ პრობლემაზე დაწვრილებით.

ლაპარაკი „ფედერაციის განახლებაზე“ მთლად მართებული არ უნდა იყოს. ჯერ ერთი, შეუძლებელია იმის განახლება, რაც სინამდვილეში არ ყოფილა — ფედერაციის წევრების უფლებები ძირითადად მხოლოდ დეკლარირებული იყო. მეორე, წინათ და ამჟამად არსებულ ფედერაციებში წევრები არ ყოფილან და არც ახლა წარმოადგენენ სუვერენულ ეროვნულ სახელმწიფოებს; „განახლებული ფედერაციის“ დამფუძნებლები, რამდენადაც მესმის, არ ფიქრობენ უარი თქვან ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის დებულებაზე მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულობის შესახებ. მესამე, ისტორიაში ცნობილ არცერთ ფედერაციაში მათ სუბიექტებს არ გააჩნდათ თავისუფალი გასვლის უფლება. სსრ კავშირში ეს უფლება ფიქსირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით; 1990 წლის 3 აპრილის კანონი „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტის წესის შესახებ“, გასვლის შესაძლებლობას თუმცა ფაქტობრივად ფრიად პრობლემატურს ჩლის, მაგრამ თავად უფლებას არსებითი ხასიათი აქვს.

აქედან გამომდინარე, სსრ კავშირის სახელმწიფო წყობილების აღნიშნული ნიშნების (თუნდაც მეტწილად ფორმალურის) მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, მას, ალბათ, ვერ მივაკუთვნებთ კლასიკურ ფედერაციებს. სსრ კავშირის სახელმწიფო წყობილებაში არის როგორც უნიტარული, ისე ფედერაციული და

კონფედერაციული ნიშნები. ამასთანავე უნიტარული ნიშნები სინამდვილეში აშკარად ჰარბობენ და ხორციელდებიან, ფედერაციულ და კონფედერაციულ ნიშნებს ჭერჭერობით ძირითადად ფორმალური ხასიათი აქვთ.

თანამედროვე მსოფლიოში საერთოდ მიმდინარეობს „ფედერაციის“ და „კონფედერაციის“ კლასიკური ცნებების შინაარსის ტრანსფორმაცია. ერთი მხრივ, მიმდინარეობს დამოუკიდებელი სახელმწიფოების ამა თუ იმ გაერთიანებებად შეკავშირება (ამის ნათელი მაგალითია ევროპული გაერთიანება); მეორე მხრივ, უნიტარული სახელმწიფოების „ფედერალიზაცია“ ისეთი სტრუქტურებით, რომლებიც წინათ უცნობი იყო (მაგალითად, ბელგია), აგრეთვე მისწრაფება ფედერაციის სუბიექტების უფლებების გაფართოებისაკენ (მაგალითად, სლოვენია და ხორვატია იუგოსლავიაში).

ამიტომ, ჩემი აზრით, მიზანშეუწყონელია და უსაფუძვლოც, ფედერაცია ან კონფედერაცია ვუწოდოთ სახელმწიფოების იმ გაერთიანებას, რომლის შექმნაც გვწადია და რომელიც ეროვნული რესპუბლიკების განვითარების რეალურ მოთხოვნებს უპასუხებდა.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ რესპუბლიკები წარსულში დიდხანს რუსეთის იმპერიის კოლონიების მდგომარეობაში იყვნენ. შემდეგ კი, უკვე საბჭოთა პერიოდში, სულ უფრო აშკარად იჩენდა თავს ცენტრის მმართველობის იმპერიული მეთოდები, მძიმე წნეხით აწევებოდა ეროვნულ შეგნებას და ცხადია, შეუძლებელიცაა არ მისულიყო (ამას ძალიან შეუწყო ხელი საზოგადოებაში დაწყებულმა გარდაქმნამ) ეროვნულ მოძრაობებამდე, რაც გამოიხატა დამოუკიდებლობისაკენ, სუვერენული, რეალური უფლებებისაკენ მისწრაფებებში და თუ საგნებს ფიზიკლად შევხედავთ, არ შეიძლება არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ კავშირის შენარჩუნების ერთადერთი გზა მისთვის ახალი სახის, ახალი თვისების მინიჭებაა. იგი შეიძლება იწოდოს გაერთიანებად, თანამეგობრად, კავშირად — საქმე ტერმინში როდია, მთავარია, რომ რესპუბლიკები, რომლებიც მართლაც ნებაყოფლობით სახელშეკრულებო საწყისებზე იქნებიან შესული სახელმწიფოთა ამ გაერთიანებაში (პირობით მას გაერთიანება ვუწოდოთ), სინამდვილეში დამოუკიდებელი და სუვერენული იყვნენ. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ რესპუბლიკები ერთმანეთთან მოილაპარაკებენ თავიანთი ზოგიერთი უფლებამოსილების გაერთიანებისადმი გადაცემის თაობაზე, სხვა მხრივ ისინი სრულიად დამოუკიდებლები არიან, სრული შესაძლებელია, რომ ზოგიერთი რესპუბლიკა მოისურვებს ცალკეული ხელშეკრულებების დადებას გაერთიანებასთან.

საყურადღებოა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის ს. სტანკევიჩის მოსაზრება, იგი მიიჩნევს, რომ ალბათ შეიქმნება თანასწორუფლებიანი სუვერენული სახელმწიფოების კავშირი, რომლებიც გაერთიანებულნი იქნებიან ხელშეკრულებების ისეთი სისტემით, რომლებიც ხელსაყრელი იქნება ხელშეკრულებების ყველა მონაწილისათვის და თითოეული რესპუბლიკა დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკავშირო ცენტრისათვის დელეგირებულ უფლებამოსილებებს. ამასთან ერთად, არ იქნება ამ ხელშეკრულებების დადებისათვის რაიმე ერთიანი უნივერსალური სქემა. მაგალითად, სამ სლავიანურ რესპუბლიკას — რუსეთს, უკრაინასა და ბელორუსიას შესაძლებლობა ექნებათ ურთიერთშორის ჰქონდეთ ხელშეკრულებანი, რომლებიც გაითვალისწინებენ უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირს, რადგან ასეთი კავშირის სასარგებლოდ ლაპარაკობს კულტურის ერთიანობა, ენა და ამ ხალხების ნათესაური არსებობის გარკვე-

ული ისტორიული ტრადიცია, რაც შეეხება სხვა რესპუბლიკებს, ისინი ამჟობინებენ ფედერაციულ კავშირებს, რაც მოლაპარაკებების საფუძველი გახდება. თუ ისინი კავშირთან ურთიერთობის სხვა ფორმას ამჟობინებენ, წინადადების ავტორი ამაშიაც არ ხედავს დიდ უბედურებას⁶.

იმის შესახებ, რომ „საჭიროა ფედერაციული კავშირების დიფერენციაცია თითოეული რესპუბლიკის პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით“ ლაპარაკობს სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. გორბაჩოვიც. ამის განსაზღვრულ სამართლებრივ საფუძველს უკვე იძლევა „სსრ კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-9 მუხლის დებულებები.

თანასწორუფლებიანი სუვერენული სახელმწიფოების მომავალ გაერთიანებაში ხელისუფლების და მმართველობის ყველა ორგანო (ისინი კი მინიმალური ოდენობის იქნება) პარიტეტულ საწყისებზე უნდა აიგოს, ესე იგი მათში ყველა რესპუბლიკა წარმოდგენილი იქნება თანასწორ საფუძველზე, ეს შეეხება პარლამენტსაც და მთავრობასაც, კერძოდ იმ ორგანოს, რომელიც საგარეო პოლიტიკას წარმართავს. პარლამენტში საკითხების განსაზღვრული წრის მიმართ შეიძლება ემოქმედა საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ კონსენსუსის პრინციპს. ზომლის მიხედვით სუვერენული რესპუბლიკების — პარლამენტის წევრების პრინციპების შეთანხმება მოხდებოდა კენჭისყრის გარეშე და მისაღები გადაწყვეტილებისადმი ფორმალური წინადადებების გარეშე. საერთაშორისო ურთიერთობების დარგში გაერთიანებათა ორგანოების უფლებამოსილებანი უნდა შეეხოს მხოლოდ ზოგად საწყისებს. საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას, რესპუბლიკების საქმიანობის კოორდინაციას; თუ რესპუბლიკა ან რესპუბლიკები გაერთიანებასთან დადებენ ცალკეულ ხელშეკრულებებს, მასში შეიძლება დათქმული იყოს სხვა პირობებიც. ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს ანალოგიურად გაერთიანების დონეზე შეიძლება შეიქმნას ადამიანის უფლებათა სასამართლო.

ვიდრე გაერთიანება შეიქმნებოდეს, ალბათ, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას გარდამავალი პერიოდი. ამ დროის განმავლობაში ძირითადად შენარჩუნდება (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) არსებული სტრუქტურები, ამასთანავე სრულად უნდა განხორციელდეს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები საერთაშორისო ურთიერთობებში.

ამ მიზნით, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების რეალიზაციის საკითხებში ფედერაციის საბჭო და საპრეზიდენტო საბჭო ან უნდა უფლებრივად გათანაბრდნენ ან უნდა გარდაიქმნან ერთ ორგანოდ.

საქართველოს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს უნდა გააჩნდეთ თავიანთი დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები უცხოეთის სახელმწიფოებში. საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასეთი წარმომადგენლობების აუცილებლობა განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების მიერ ეკონომიკური, პოლიტიკური, ჰუმანიტარული ინტერესებით და შესაბამისობაშია მათ ბიუჯეტურ შესაძლებლობებთან. ეს სრულიადაც არ გამორიცხავს რესპუბლიკებისათვის საკავშირო დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებში ქვოტის პრაქტიკის გამოყენებას. ზოგიერთ შემთხვევაში.

19.5.84

⁶ Правда, 16 марта 1990 г

საქართველოს
საინტელექტუალური
პროპრტის დეპარტამენტი



რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკის დიპლომატიურ თუ საკონსულო მადგენლობას შეუძლია წარმოადგინოს სსრ კავშირი ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკები მათივე თხოვნით. ამჟამად, მაგალითად, მიზანშეწონილი იქნებოდა დაარსდეს საქართველოს საკონსულო ისრაელში. რომელიც ამასთანავე წარმოადგენდა სსრ კავშირსაც ან შესაძლოა სხვა რომელიმე რესპუბლიკასაც.

მოკავშირე რესპუბლიკების საგარეო საქმეთა მინისტრები უნდა იყვნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა კოლეგიის წევრები (ამჟამად ასეთი უფლებით მხოლოდ რსფსრ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი სარგებლობს, ისიც მნიშვნელოვანწილად ფორმალურად). ამასთანავე მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებს შეეხება. მათი მონაწილეობის გარეშე ასეთი საკითხები არ უნდა განიხილონ და მითუმეტეს, არ უნდა გადაწყვიტონ.

ყოველგვარი მოლაპარაკება, რომელიც ამა თუ იმ რესპუბლიკის ინტერესებს შეეხება და სსრ კავშირის წარმომადგენლების მიერ წარიმართება, შეიძლება შედგეს მხოლოდ მოცემული რესპუბლიკის წარმომადგენლების მონაწილეობით, სავალალოა, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე (1988 წლამდე) არც საქართველო, არც უკრაინა საკავშირო მთავრობის მიერ არ ყოფილა საქმის კურსში ჩაუყენებელი შავი ზღვისპირა სახელმწიფოების მოლაპარაკების გამო შავი ზღვის გარემოს დაცვის შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ისინი ამ მოლაპარაკებებზე არც მიუწვევიათ, თუმცა პირველ რიგში სწორედ ეს რესპუბლიკები იყვნენ დაინტერესებულნი მოლაპარაკებით.

მოკავშირე რესპუბლიკებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით ერთმანეთთან შექმნან თავიანთი წარმომადგენლობები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი ამასთანავე მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარსაც წარმოადგენს, ამიტომაც მისი განსაზღვრა უნდა შევიდეს არა მხოლოდ სსრ კავშირის (როგორც ამჟამადაა), არამედ მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაშიც.

რაც შეეხება საქართველოს, აქ აღნიშნულის გარდა უნდა ითქვას შემდეგი: მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ან გადასცემოდა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლებამოსილებანი, რაც დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნას და გამოწვევას, რწმუნებულებისა და გაწვევის სიგელების მიღებას შეეხება, ან შექმნილიყო საქართველოს სსრ პრეზიდენტის პოსტი უფლებამოსილებათა დაახლოებით იგივე წრით, როგორც სსრ კავშირის პრეზიდენტია, ცხადია, საქართველოს მიმართ.

საქართველო სუვერენული უნდა იყოს თავისი მოქალაქეობის საკითხებში, ესე იგი მოქალაქეობის საკითხები თვითონ უნდა გადაწყვიტოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიული, ჰუმანიტარული ინტერესების შესაბამისად, გაერთიანების, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესების გათვალისწინებით საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად. საჭიროა მოცემულ ეტაპზე გადაიდგას აქტიური ნაბიჯები პირველ რიგში, ისეთ რეგიონალურ ორგანიზაციებში მონაწილეობის მისაღებად, რომლებსაც უშუალო ურთიერთობა აქვთ საქართველოსთან, მაგალითად, შავი ზღვის გამოყენების გარემოს დაცვის ორგანიზაციებში (ან ხელი უნდა შეეწყოს ახალი მსგავსი ორგანიზაციების შექმნას, თუ მათი ობიექტური აუცილებლობა არის), გაეროს, იუნეოს, ფაუს სპეციალიზებულ ორგანიზაციებში, ზოგიერთ ევროპულ საერთაშორისო ორგანიზაციებში (მაგალითად, ევროპის საბჭოში).

ლია ნაილი

იუნესკოს გენერალურ დირექტორს გატონ ფადრიკო მაიორ სარაგოსას

რედაქციისათვის: ახას წინათ შურნალზე „კურიერ იუნესკომ“ გამო-
აქვეყნა ბ-ნ ფადრიკო მაიორ სარაგოსას ინტერვიუ, სადაც იგი
შურნალის გრავალფილიონიან მკითხველს უზიარებს საკუთარ
შეხედულებებს **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის
შესახებ თანამედროვე მსოფლიოში.** ფილოსოფიის მეცნიერებათა კან-
დიდატის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის არეოკვაზიტული სამეცნიერო ცენტრის თავმჯდომარის,
ბ-ნ დენიზა სუმბაძის ღია წერილი ხსენებული ინტერვიუს გამოხედაუ-
რებაა.

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ფედერიკო მაიორ!

დიდი ინტერესით წავიკითხე თქვენი ინტერვიუ ჟურნალ „Курьер ЮНЕСКО“-ს რუსულ გამოცემაში (№ 1, 1990 წ.), დიდად გმადლობთ ამ ძალზედ საჭირო და დღეისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი საუბრისათვის.

ჟურნალისტის შეკითხვაზე: „თვლით თუ არა, რომ მართლაც აუცილებე-
ლია ისეთი ორგანიზაცია, როგორც არის „გაერო“, თქვენი პირველივე სიტყ-
ვა: „ახლა იგი საჭიროა ისე, როგორც არასდროს“ — ძალზედ შევებისმომგვ-
რელი სიმტკიცით არის წარმოთქმული. რაღა თქმა უნდა, მართალი ბრძანდე-
ბით. თუმცა, არ შემიძლია, არ გითხათ, და ძალიან დიდი ხანია, უკვე, მე,
როგორც ჩემი ერის წარმომადგენელს, დამეუფლა უკმარისობის საშინელი
გრძნობა ისეთი აუცილებლად საჭირო მსოფლიო ორგანიზაციის მიმართ, რო-
გორც არის „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“ („გაერო“).

დიახ! დღეს, როგორც არასდროს, კაცობრიობას, მთელი დედამიწის სი-
ცოცხლეს, არც ერთი ბოლიტიკური ორგანიზაცია არ ესაჭიროება ისე, როგორც
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რადგან დღეს არცერთი ერისა და არც-
ერთი ქვეყნის მმართველობა არ შეიძლება დამოუკიდებლად და იზოლირე-
ბულად მსოფლიოსაგან, რადგან დღეს ყოველი ერისა და ქვეყნის მმართვე-
ლობა და მომავალი შეიძლება წარიმართოს და გადაწყდეს მხოლოდ გაერთი-
ანებული ერების ორგანიზაციის მასშტაბით, ალბათ უფრო ზუსტი იქნებოდა
გვეთქვა: არა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ მასშტაბით, არამედ
იმ ორგანიზაციისა, რომელიც იქნება მსოფლიო ერებისა და ქვეყნების ერთი-
ანი ცხოვრების სამართლიანი პოლიტიკური საორგანიზაციო რეგულატორი.
მთელი დღევანდელი მსოფლიოს ცხოვრება მოითხოვს ამგვარი სულ უფრო და
უფრო მაღალხარისხიანი რეგულატორის არსებობას, და ეს სიმწვავე საჭი-

როებისა, სულ უფრო და უფრო ამაღლებს და ამძაფრებს ამგვარი ორგანიზაციის მნიშვნელობას.

დღეს ვერც ერთი ქვეყანა ვერ გადაწყვეტს თავის ბედს პლანეტარული ინტერესების გათვალისწინების გარეშე. ვერც გადაწყვეტს თავის საკუთარ ბედს მსოფლიოს ყველა ერის ბედის გარეშე, რადგან დღეს პლანეტა ერთიანია თავისი დიდი პლანეტარული სატკივრებით. ერთიანია იმ დიდი კატასტროფის საშიშროებით, რომელსაც ჰქვია დედამიწის მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფა, ანუ ჩვენი პლანეტის მიმართ უკვე ჩადენილი ერთიანი პლანეტარული დანაშაულების წყალობით არსებული საშიშროება, რის გამოც საფრთხეშია მთელი დედამიწის სიცოცხლე. ის დიდი მადლი, რომელიც ღმერთმა მოგვცა და რომელიც ადამიანმა მიიყვანა უფსკრულთან და შეიძლება დაიკარგოს.

დღეს აღარა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვინ არის დამნაშავე, ვისი ბრალია, თუ სამყაროში მიმცურავ „ხომალდს“ — პლანეტა დედამიწას — ჩაძირვის კატასტროფა, ან საფრთხე ელის. საფრთხე ეხება თანაბრად ყველას, დამნაშავესაც და უდანაშაულოსაც. საქმე ეხება დანაშაულის ზოგადობას და ე. ი. მის საყოველთაო ბუნებას. ნებისმიერი ერთი ადამიანის ცოდვა ყველას ჩადენილი ცოდვაა, რადგან იმ ყველამ ვერ აიცდინა ის ცოდვა ერთისა. ამიტომ დღეს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, თუ როგორ ავიცილოთ კატასტროფა. ჩვენ ხელში შეგვრჩა ფიზიკურად და მორალურად დაავადებული პლანეტა, კაცობრიული სიცოცხლის ღვთისაგან განჩინებული უწმიდესი სადგური სამყაროში, მადლის ბუდე.

თუ ატომური რეაქტორის მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი კატასტროფული აფეთქებით ჩერნობილში, სკანდინავიის წყლებში იხოცებიან თევზები და ატმოსფეროში მომხდარი ცვლილებების შედეგად საქართველოში, როგორც სპეციალისტები წერენ, მრავლდებიან ექსტრასენსები, როდესაც სრულიად აშკარაა, რომ ადამიანის გონების მონაპოვარზე დამოკიდებულია მთელი ადამიანეთი და არა თვითონ ერთი მომპოვებელი, სრულიად ნათელია, რომ, როგორც არასდროს, დღეს შეუძლებელია ადამიანთა გონების ურთიერთშეუთანხმებელი მოქმედება.

ღმერთმა ქნას, რომ ეს შეთანხმება მაინც აღმოჩნდეს ძალმოსილი სიცოცხლის გადარჩენისათვის, რადგან კაცობრიობის ისტორიამ იცის დიდი კოსმიური მასშტაბის ღვთის რისხვები ადამიანთა ცოდვების პასუხად და სასჯელად, როგორც კაცობრიული წმინდა წიგნების ჭეშმარიტებანი. მათი პრინციპული რეალობა გვამცნობს, რომ დღევანდელი პლანეტის რელიგიური კრიზისები და მონუმენტური სულიერი მშფოთვარებანი სხვა არაფერია, თუ არა პლანეტარული მასშტაბის მორალური კრიზისები ამავდროულად.

ჩვენს წინაშეა მრავალგვარი მიზეზით ამბოხებული, სიმშვიდედაკარგული და ღვთიურ მორჩილებაზე გაგულისებული მსოფლიო, პოლიტიკურად აბოპოქრებული და ფაქტიურად რაღაც სულიერ ხანძარში გახვეული მთელი პლანეტა.

ხომ არ არის დამარხული თვითმკვლელობის თვითგანჩინებაში, კაცობრიობისა, შესაძლებლობა ღვთისაგან მოსალოდნელი სასჯელისა, რომელიც ადამიანმა თავისივე ხელით უნდა მოიპოვოს?!

როგორც თავადაც ბრძანებთ: „თუ მეორე მსოფლიო ომის ორი ატომური ბომბის აფეთქებამ აჩვენა, რომ კაცობრიობამ გამოიგონა საკუთარი თავის

მოსპობის საშუალება, მესამე მსოფლიო ომს შეუძლია მიგვიყვანოს კაცობრიობის მოდგმის გაქრობასთან“.

ბ-ნო ფედერაციო მაიორ! სრულიად სწორად იქცევა თქვენთან მოსაუბრე ჟურნალისტი, როდესაც ინტერვიუს თქვენთან იწყებს წინამძღვრით: „მართალია, არსებობს გაერთიანებული ერების მსოფლიო ორგანიზაცია. მაგრამ ყველა ერს როდი აქვს სრული ცოდნა ამ ორგანიზაციის შესახებ“.

თქვენ, როგორც იუნესკოს გენერალურ დირექტორს და მეოცე საუკუნის დიდ მოქალაქეს, მინდა გკითხოთ, მე, როგორც მსოფლიოს ერთი პატარა ერის შვილმა: — აქვს თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას „ერის“ ცნების თანამედროვეობისათვის კომპეტენტური განმარტება და სრული ნუსხა მსოფლიოს თანამედროვე ეროვნული ვითარებისა. გვაქვს თუ არა საერთოდ ყველას თქვენი წყალობით, დღევანდელი კაცობრიობის ეროვნული სტრუქტურის ამსახველი ზუსტი „რუკა“, და გვყავს თუ არა ერთმაცოდნეობის დარგში გაწაფული პოლიტოლოგები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა? ერთი სიტყვით, აქვს თუ არა იუნესკოს ერთმაცოდნეობის ინსტიტუტი?!

დამეთანხმებით ალბათ, რომ დიდი ხალხებისა და პატარა ხალხების ცნება ჭერ კიდევ არ ნიშნავს ერის ცნებას. ხალხის სიმრავლე ჭერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ხალხი არის ერი, ისევე, როგორც სიმცირე ხალხისა არ ნიშნავს იმას, რომ ეს ხალხი არ არის ერი. შესაძლოა პატარა ხალხი უფრო იყოს ერი, ვინემ დიდგ ხალხი, ანუ ბევრი ხალხი, არც პოლიტიკური ძლიერება არ ნიშნავს ძლიერებას ერისას. მაცხოვარი იესო ქრისტე, მხსნელი კაცობრიობისა მოვიდა პოლიტიკურ პროვინციაში და არა იმპერიის, ანუ მპყრობელი ქვეყნის დედაქალაქში, მაცხოვარი მოვიდა იმ ერში, რომელსაც წილად ჰქონდა ღვთისაგან თავად იმპერიის ხალხთა მორალური ხსნა.

მე მაინტერესებს და თავს ნებას ვაძლევ განვაზოგადო თქვენი მოსაუბრე და გკითხოთ, როგორ მუშაობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არა როგორც მხოლოდ პლანეტარული პოლიტიკური აპარატი, არამედ, როგორც პლანეტარული ინტელექტუალურ-პოლიტიკური აპარატი?! როგორ ესმის მას „ერი“ და როგორ „ხალხი“, შემეცნების დღევანდელ ეტაპზე?!

აქვს თუ არა მისთვის რაიმე მნიშვნელობა სხვაობას ამ ორ ცნებას შორის? ზოლო თუ აქვს, რატომ არ ეწოდება მას მსოფლიოს გაერთიანებული ერებისა და ხალხების ორგანიზაცია?

თქვენი ინტერვიუ მიმოიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიას მისი დაარსებიდან დღემდე, იძლევა მის სქემას.

როდესაც შეიქმნა პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია — ერთა ლიგა — პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, როგორც ბრძანებთ, მთელი რიგი საზოგადო მოღვაწეებისა ფიქრობდნენ, რომ პოლიტიკური საკითხების პარალელურად საჭიროა ინტელექტუალური და კულტურული თანამშრომლობის, ანუ სა-ერთა-შორისო ინტელექტუალური თანამშრომლობის ინსტიტუტის არსებობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი დღევანდელი ორგანიზაცია გაერთიანებული ერებისა კი, როგორც ბრძანებთ, თავისში ითავსებს და შეიცავს ორივე ფუნქციას: პოლიტიკურსაც და ინტელექტუალურსაც, კერძოდ, იუნესკო წარმოადგენს იმ შესაძლებელი სა-ერთა-შორისო ინტელექტუალური თანამშრომლობის ინსტიტუტის ახალ ფორმას.

საგულისხმოა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დასკირების მოღვაწეობის სწორი წარმართვისათვის მოწვეული ყოფილიყო საერთაშორისო საზოგადოებრიობისმიერი ხელისუფლებათშორისი კონფერენციები, რათა ორგანიზაცია შეთანხმებულიყო მსოფლიოსთან იმაში, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ცნებაში „კულტურა“ საერთაშორისო ცივილიზაციების მრავალფეროვანი ლანდშაფტების ფონზე, მათსავე მასშტაბში.

ჩემს წინაშე ისმის კითხვა: თუ მოწვეულა, ასევე. „კულტური“, ცნების დამაზუსტებელი საერთაშორისო კონფერენციების ანალოგიური სესიები იმისათვის, რომ შევთანხმებულიყავით ცნებაში: „ერი“. რა იგულისხმება ამ სიტყვაში და ვის ეწოდება ერი? ნებისმიერი დარგი თუ დაწესებულება მეცნიერებისა უწინარეს ყოვლისა ხომ განსაზღვრავს ჭერ თავის საგნის რაობას.

ყველასათვის ცნობილია, დღეისათვის სიტყვა და ცნება „სინდისისა“, მაგრამ მხოლოდ მეოცე საუკუნის მეცნიერება აღმოჩნდა პრობლემის წინაშე, ჰქონდათ თუ არა ეს ცნება ევროპული ცივილიზაციის ფუძემდებელ ბერძენს რადგან ამ სიტყვის მნიშვნელობით ისინი გულისხმობდნენ იმავე სიტყვის არა დღევანდელი მნიშვნელობით დატვირთულ შინაარსს. სიტყვა „სინდისი“, როგორც დღევანდელი ცნება, მსოფლიოს სამეცნიერო კვლევითი დასკვნებით ყალიბდება მთელ რიგ ქრისტიანულ ენებში იესო ქრისტეს მოვლინებასთან ერთდროულად. იგი ასახავს ადამიანის სიცოცხლის კოსმიური ევოლუციის ეტაპს.

ერთი სიტყვით: კაცობრიული დონე „მე“-ს დიდი კოსმიური იმპულსისა, მე-20 საუკუნის მეცნიერებისათვის, თანხდება იესო ქრისტეს მოვლინების დროს. მაცხოვარმა დაამკვიდრა მიწაზე მთლიანობა პიროვნულობისა და სინდისის, ადამიანის მეობისა და ადამიანური სინდისის, იმის, რომ დიდი პიროვნება ეს არის დიდი სინდისი.

ამ საკითხზე საქართველოს რადიო-გამოსვლებით, ჩვენ საშუალება გვქონდა და საგანგებოდ ვისაუბრეთ ჩვენი რელიგიური რადიო-ციკლის ერთ-ერთ საუბარში. რაც შეეხება სინდისისა და პიროვნების ევროპული ევოლუციის პრობლემას...

ოიდიპოს მეფეს აქვს დიდი შეგნება ზნეობისა, მაგრამ არა აქვს ძალა საკუთარი თავის მართვისა ამ შეგნებით. ამიტომ იგი სცოდავს საშინლად. მას მართავენ მისი პიროვნების გარეშე არსებული ძალები. მართავს ბედისწერა. პიროვნება კი, რომელიც იმართება გარეშე ძალით, კარგავს პიროვნებად ყოფნის უფლებას. ის ვეღარ არის პიროვნება, ხოლო სინდისი კი ჭერ კიდევ არ არის იქ, სადაც არ არის პიროვნება. მაცხოვარი იესო ქრისტე ის პიროვნებაა ქვეყანაზე მოსული, რომელსაც ვერავითარი გარეშე ძალა ვეღარ მართავს. პირიქით, იგი ამარცხებს ყველა გარეშე ძალას, მრისხანებს მასზე, მაცდუნებელ ძალაზე, და აღარ სცოდავს. აღარ არსებობს სამყაროში ძალა, რომელიც მას შეიყვანს შეცდომაში. ამიტომ, მან იცის ყველა საიდუმლო ცოდვაში ჩავარდნისა და არჩავარდნისა; და აქედან გამომდინარე, ცოდვათაგან ხსნისაც, იცის გზა მათი გადარჩენის, ვინც ჩავარდა ცოდვაში. იცის წამალი გადარჩენის.

იესო ქრისტე რჩება უცოდველი, რადგან იგი მთლიანი და ერთარსია სამყაროს კეთილშემოქმედ ღვთაებრივ ძალასთან — მამაზეციერთან. იესო ქრისტე ახალი ეტაპია კაცობრიული პიროვნული ევოლუციის, ამიტომ ოიდიპოსის ტრადიკულ პიროვნებას ჭერ კიდევ არა აქვს ის, რასაც ეწოდება ნამ-

ღვილი პიროვნება. მაგრამ რამდენადაც იგი თავად განიცდის ამ საშინელ ტრაგედიას და თავად უცხადებს ამბოხს ამ გარეშე ძალების გამარჯვებას მასში, იგი ჭედავს კიდევ ადამიანში პიროვნებას, საკუთარ მეობას. ამიტომ კაცობრიული მორალური კულტურის ევოლუციაში ოდიზოსი არის გზა როგორც პიროვნულობის მოპოვებისაკენ, ასევე ზნეობრივი შეგნების სინდისის ხარისხში აყვანისაკენ, ისევე, როგორც მთელი ბერძნული ცივილიზაცია არის გზა და ნიადაგი ქრისტიანული ცივილიზაციის დაფუძნებისა და ქრისტიანული მორალის გამარჯვების.

ამრიგად, თუ ქრისტიანული ორიათასწლეულის საწყისები, ე. ი. ადამიანის სიცოცხლის კოსმიური ევოლუციის ქრისტიანული ეტაპის დასაბამი ეთმობა პიროვნული სინდისის კოსმიურ დაფუძნებას დედამიწაზე, ორიათასწლეულის მისადგომებთან ჩვენს თვალწინ აშკარად ბორგავს ეროვნული სინდისების ახალორგიული მოვლენები, წარსული რელიგიური სახალხო ორგიების მისადარი რაღაც საყოველთაო პოლიტიკური ორგიები — ერთა მეობრივი ჩამოყალიბებისა და ეროვნული სინდისის თვითშემეცნებისათვის ღელვა და ჭიდილი, რადგან პოლიტიკური მსოფლიოს მთელში პიროვნება უძღვურია გაერთიანდეს ამ ეროვნული ხიდის, ამ ეროვნული მოქალაქეობრივი სტატუსის გარეშე. კაცობრიობა კი ესწრაფვის ამ ერთად ყოფნას, ერთიან პლანეტარულ მოქალაქეობრიობას.

არსებობენ და არსებობდნენ ხალხები, რომელთაც ვერ შესძლეს თავიანთი ერთიანი ეროვნული სინდისის შემეცნება და დადგინება, თავიანთი გენეტიკურ-მორალური, ღმერთთან და ყოფიერებასთან მაერთიანებელი ძარღვის გამოკვეთა, თავიანთი ეროვნული ინდივიდუალობის მახასიათებელი სულიერი საყრდენების გამოკვეთა, ვერ შექმნეს ამ საყრდენზე აღმოცენებული და გატოტვილი, საკუთარი სინდისით გამსჭვალული თავიანთი ეროვნული სულის ერთიანი ისტორია. ამიტომ ისინი ვერც ჩამოყალიბდნენ ერებად. მათი ეროვნული ინდივიდუალობის კონტური განიფანტა. გაბნევალი აღმოჩნდა, ისინი ხალხებად დარჩნენ.

საოცარია, ასეთად მესახება ისეთი დიდი ქვეყანა ქრისტიანობისა, როგორც იყო ბიზანტია. ბიზანტიელები, ეროვნული სიჭრელე ბიზანტიისა, ვერ იქცა ერად, იგი დარჩა ხალხად, მაგრამ არა ერად, უმნიშვნელოვანესი მისიის ხალხად, შესაძლოა. ეს საკამათო იყოს, მაგრამ შორიდან ასეთად მესახება ეროვნულობა ამერიკელებისა, ამერიკელი ერი ჩემთვის არ არსებობს. არსებობს ამერიკული ცივილიზაცია და დიდი ამერიკელი ხალხი: ევროპული კონტინენტალური ყოფის ახალი სახესხვაობა. ბრწყინვალე და თავისუფალი, მაგრამ „ხალხი“ და არა „ერი“. ერად არსებობისათვის რაღაც აუცილებელი აკლია ამერიკელობას, ჩემს განცდაში, ჯერ კიდევ თვალში საცემი და ცოცხალი სიჭრელე ევროპული წარმომავლობის გენეტიკური სინთეზისა, მაშინ, როდესაც „ერი“ ჩემთვის არის ერთიანი მოდგმა რაღაც ერთი შორეული ძირისა. შესაძლოა ამერიკელობა რაღაც ერობაზე მეტია, მაგრამ ერობაში, ერად ყოფნაში ვერ თავსდება. მაშინ როდესაც არავინ არ იღავებს იმაზე, რომ თქვას: ებრაელი ერი, ან ინგლისელი ერი, ან ესპანელი, ან იტალიელი და ა. შ.

ბ-ნო დირექტორო! დამეთანხმებით ალბათ, რომ არამც და არამც არ ნიშნავს იგივეობას სტატუსები სახელმწიფოებრიობისა და ეროვნულობის, ერთი და იგივე სახელმწიფოები შეიცავენ უამრავ ერებს და შესაძლოა ამა თუ იმ ერს, ან ხალხს არ ჰქონდეს თავისი სახელმწიფო, ყოველ შემთხვევაში.

ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე მიიწი. განსაცდელი შესაძლოა მრავალი ფორმით მოველინოს ქვეყანას. ერთ-ერთი სახე განსაცდელისა, ჩემის ფიქრით, ესეც არის: სახელმწიფოებრიობის დაკარგვა. არავინ არ ვიცი ვის სახელმწიფოში „იძვრის მიწა“.

ასე რომ, ხომ არ დადგა აუცილებლობა, ამასთან გადაუდებელი აუცილებლობა, რომ მოვიწვიოთ ერთამეცოდნეობითი საერთაშორისო სემინარი „ერის“ ცნების საერთაშორისო პოლიტიკური განსაზღვრებისა და დაზუსტებისათვის. ერის ფილოსოფია, როგორც თანაარსი ენის ფილოსოფიისა, ხომ არ ჩაეყენოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამსახურში. ხომ არ დადგა დრო „ერის“ წოდების საერთაშორისო აღიარებისათვის მსოფლიო საზოგადოებრიობის მასშტაბით რაღაც კრიტერიუმის, რაღაც ერთიანი დოგმატის შემუშავებისა და მოძიების ყველა იმ ხალხების მიმართ, რომელნიც ისადაგებენ ამ წოდებას.

თავს ნებას ვაძლევ შევნიშნო, რომ ჩვენი სამეცნიერო ცენტრი ამჟამად ამზადებს საერთაშორისო სამეცნიერო სესიას — ქართულ-ქართველოლოგიურს. ჩვენი ეროვნული განსაზღვრულობის ისტორიული ეტაპობრიობის თემაზე. ხომ არ დადგა აუცილებლობა გადამოწმებულ იქნას „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ წოდებრივი (ე. ი. ტიტულებრივი) და ფუნქციონალური სტატუსების ურთიერთმისადაგისობა!

ხომ არ დადგა გადაუდებელი აუცილებლობა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციას“ ყოველი ერის წილში ჰქონდეს მის მიერვე დაფუძნებული თავისი პირველადი უჯრედი, რომელიც იქნება ძირითადში მიმწოდებელი ეროვნული პრობლემური ინფორმაციისა, რომლითაც იხელმძღვანელებს თავად, როგორც მთელი მსოფლიო ერების გაერთიანებული ორგანიზაცია, და აქედან გამომდინარე, ხომ არ დადგა გადაუდებელი აუცილებლობა ხელახლა დაისვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საკითხი: მისი დღევანდელი საჭიროებით შემუშავების საკითხი, ამ ორგანიზაციის სტრუქტურისა და მისიის თანამედროვე მოვლენებთან შესაბამისობის გარდაუვალი საკითხი.

თქვენ ბრძანებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმატებები დიდად არის დამოკიდებული დიდი სახელმწიფოების ურთიერთობაზე: ფაქტია, თანამედროვე დიდი სახელმწიფოები თავისთავად წარმოადგენენ განსხვავებული თვისობრიობის „გაერთიანებული ერების ორგანიზაციებს“ — ცალკეულ ერთა კავშირებს (ასეთია ამერიკის შეერთებული შტატებიცა და საბჭოთა კავშირიც), საჭიროდ გესახებათ თუ არა, აუცილებლობით დაისვას საკითხი „გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში“ ეროვნებითი წარმომადგენლობის პრინციპის არსებობისა და არა სახელმწიფოებრიობის პრინციპის? წინააღმდეგ შემთხვევაში, „გაერო“ — არის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სამართლიანობისა და ჭეშმარიტების თვალსაზრისით თავისი ფუნდამენტური მნიშვნელობის ცნების, „ერის“ ცნების არსებითი განსაზღვრების მოლაღატე ორგანიზაცია, თავისი არსის მოლაღატე, რომელიც ძლიერის უპირატესობის ეთიკით მუშაობს. ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როგორც ასეთი, ან უნდა დაარსდეს ხელახლა, ან არსებულმა უნდა უპასუხოს თავის მისიას.

რამდენადაც უკვე არსებობს საერთაშორისო კანონიზაცია ჰელსინკის დღევანდლების სახით პიროვნების უფლებათა და ღირსებათა დაცვის, კანონიზაცია, რომელიც ამჟღავნებს მე-20 საუკუნის საერთაშორისო სამართლებრივ

მორალის ნორმებსა და დონეს, საჭიროდ მესახება და დიდად მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი: არსებობდეს საერთაშორისო კანონიზაცია ერის მეობრივი უფლებებისა და ღირსების დაცვის, რაც შინაარსობრივად, ვფიქრობ, ფორმულირდება, როგორც „კანონი ეროვნული სინდისის თავისუფლებისა და ღირსების დაცვის“, რადგან ნებისმიერი ერის პიროვნული და ინდივიდუალური არსებობის უფლებისა და ღირსების დაცვა, მისი ეროვნული სინდისის თავისუფლებისა და ღირსების დაცვად მესახება: უნდა გამოიყენოს ჰელსინკის დადგენილების ანალოგიური, მსოფლიო, თუ გნებავთ, საერთაშორისო კონსტიტუციური კანონი ეროვნული სინდისის, ანუ ერის პიროვნული ინდივიდუალობის ხელშეუხებლობისა, ანუ კანონი ერთა უფლებებისა და ღირსებების დაცვის.

თავს ნებას ვაძლევ, გავიხსენო მე-20 საუკუნის კაცობრიობისა და ახალი კაცობრიული საზოგადოების წინასწარმეტყველი და ქადაგი: ჯიდუ კრიშნამურტი, რომელმაც ესოდენ წამოსწია წინ მე-20 საუკუნის აზროვნებაში თავისუფალი კაცობრიობისა და საერთოდ ახალი კაცობრიობის საკითხი.

— სანამ ადამიანის პიროვნული პრობლემები არ იქნება გადაწყვეტილი. — ბრძანა მან. — კაცობრიული პრობლემები ვერ შესძლებენო გადაწყვეტას.

ნებისმიერი პიროვნების არსებითი პიროვნული პრობლემაა ამქვეყნად მისი ეროვნული მოქალაქეობის საკითხი. ამიტომ, თავისუფალი კაცობრიობის ამოცანა გარდუვალ იერთებს თავისთან ნებისმიერი ერის ეროვნული სინდისის თავისუფლებისა და ეროვნული ღირსებების დაცვის გარანტიას, ამ გარანტიის პრობლემას თუ კი რამ ქვეყანაზე, ეროვნული სინდისები წარმოადგენენ კაცობრიობის ყველაზე დიდსა და წმინდა საგანძურს, რომლის დამცველი საერთაშორისო კანონიც კაცობრიობას შემუშავებული და იურიდიულ სტატუსში აყვანილი, დღემდე არა აქვს. ამიტომ, სადღეისო პოლიტიკურ ვითარებაში სრულიად მიზანშეწონილად და შეიძლება ითქვას, გადაუდებელ ამოცანად მესახება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, კერძოდ, მისმა კულტურულ-ინტელექტუალურმა ინსტიტუტმა, რომელსაც თქვენი მაღალკეთილშობილება განაგებს და დირექტორობს, იუნესკომ, დააყენოს სათანადო აღმასრულებელი ინსტანციების წინაშე საკითხი ჰელსინკის დადგენილების ანალოგიური საერთაშორისო ნორმების შემუშავებისა და გამოცემისათვის ეროვნულ ინდივიდუალობათა მისამართით.

და საერთოდ, იმისათვის, რომ იუნესკომ დააყენოს ამგვარი საკითხები და მოამზადოს პოლიტიკისათვის მეცნიერული წინამძღვრები ამა თუ იმ პრობლემებისა, მაპატიეთ, მაგრამ ზომ არ არის ისევ საჭიროება იუნესკოში თანაარსებობდეს თქვენს მიერ ინტერვიუში გახსენებული იმ პირველი ინტელექტუალური თანამშრომლობის ინსტიტუტის ფუნქციონალური ახალსახეობა: მაგალითად, პლანეტარული სამეცნიერო საბჭოს სახის, რომელიც სწორედ ამდგავარ პრობლემებს გააშუქებს და მოამზადებს სათანადო საერთაშორისო ინტელექტუალურ დონეზე.

დიდად პატივცემულო ბ-ნი ფედერიკო მაიორ! შესაძლოა, სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ალბათ მომიტყვებთ, ბუნებრივია, თქვენთვის, როგორც იუნესკოს გენერალური დირექტორისათვის, ჩემი წერილის ქვეტექსტებიც ზედმეტად ცახდი და გამუღავნებელი იქნება. ამიტომ, ბრძანდებით რა დაინტერესებული მსოფლიოს ერთა თანამშრომლობით და მივაჩნიათ რა, რომ გაერთიან-

ნებული ერების ორგანიზაციის წარმატებები დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა ერთა საზოგადოებრიობების გონითგანწყობილებებზე (От умонастроенный сообщества нации...), ჩემი ერის ერთ-ერთი სამეცნიერო ცენტრის სახელით (რომელიც პავლე მოციქულის მოწაფის, წმინდა დიონისე არეოპაგელთან დაკავშირებული პრობლემების ველს შეისწავლის), გთხოვთ, უწინარეს ყოვლისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშივე, ე. ი. „მალლიდან“ დაიხვედეთ, რომ ერთა კუთვნილი ორგანო ჟურნალი „კურიერ იუნესკო“ გამოვიდეს ჩემს მშობლიურ ენაზედაც; რაც ჩემთვის იგივეს ნიშნავს, რომ საერთა-შორისო ორგანო გამოდიოდეს მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ერის ენაზე.

ნება მომეცით, ჩემი ერის სახელით, პირადად თქვენ და ასევე ჟურნალ „კურიერ იუნესკოს“ რედაქციას კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ დიდი მადლობა თქვენი ინტერვიუსათვის, რომელსაც დღევანდელი ერთაშორისი ურთიერთობებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის მორალური პასუხისმგებლობის ამალგებისათვის უდაოდ, საგანგებო მნიშვნელობა აქვს.

ღმერთმა მოგვცეს ქვეყანაზე მშვიდობა, ყველაზე დიდი მადლი, რაც დღეს სჭირდება ქვეყანას და მთელ კაცობრიობას.

ყოველივე ღვთიური სიკეთის სურვილითა და ლოცვით, მოკრძალებით

დენიზა სუმბაძე,

იბერთა ღვთისმშობლის სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს საპატრიარქოს პატროლოგი.

თბილისი, 1990 წლის 14 მაისი.

პანტანა აბაშმაძე

კოლხეთის აკადემიის სნაკლავი იურისგების სამართალგაგება

მ. ანონიმი კოლხი სწავლული იურისტები

კოლხეთის სახელმწიფოს სახალხო კრებაზე აღძრული საკითხი, გუბაზ ნეფის მკვლელთა საქმის გამოძიება, დამნაშავეთა გასამართლება და დასჯა იმპერატორმა იუსტინიანემ თავის დიდმოხელის ათანასის თავმჯდომარეობით სასამართლოს დაავალა. დანაშაული ბერძენმა სარდლებმა ჩაიდინეს კოლხეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სასამართლოც კოლხეთში მოეწყო, მაგრამ იგი ჩატარდა რომაული სამართლის მიხედვით. აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, ბარბაროსთა ქვეყნების და მაშასადამე, კოლხეთის სამართლით დამნაშავეთა საქმეების სასამართლო წესით განხილვა და სასჯელის აღსრულება არა საჯაროდ, არამედ საიდუმლოდ ხდებოდა. იუსტინიანეს ბრძანება გუბაზის მკვლელთა სასამართლო პროცესის რომაული სამართლის მიხედვით ჩატარების შესახებ მიზნად ისახავდა არა მარტო იმას, რომ სასამართლო სხდომაზე „მყოფ ბარბაროსებისათვის კვებით ეჩვენებინა რომაული წესები და გაეკვირვებინა ისინი ამით, რათა ისინი უფრო მეტად შეჩვეოდნენ რომაელთა მმართველობას, არამედ იმიტომაც, რომ თუ დამტკიცდებოდა, რომ გუბაზი სამართლიანად იქნა მოკლული, როგორც სპარსელების მომხრე, კოლხებს თავი დაენებებინათ მწუხარებისათვის და აღარ ყოფილიყვნენ აღელვებულნი... ხოლო თუ აღმოჩნდებოდა, რომ მკვლევებმა... უსამართლოდ ჩაიდინეს მკვლელობა და, ამრიგად, ისინი გამტყუნებელი იქნებოდნენ, მათ შუა ჯარში ჩაატარებდნენ მათუწყებლის თანხლებით, შემდეგ ყველას თანდასწრებით თავებს მოკვეთდნენ სასიკვდილო მახვილით და მაშინ ბარბაროსებს საქმის დასასრულიც უფრო მნიშვნელოვნად მოეჩვენებოდათ და სასჯელიც გაორკეცდებოდა“. აგათია სქოლასტიკოსს დაწვრილებით არ აქვს დახასიათებული ძველი ქართული სასამართლო პროცესი, მაგრამ ბიზანტიის სახელმწიფოში არსებული სამართლის მიხედვით მოწყობილ სასამართლო პროცესს იგი აშკარად უპირისპირებს ბარბაროსულს და მიუთითებს, რომ ბიზანტიაში სასამართლო საქმეების განხილვა ხდება საჯაროდ, პროცესი შეჯიბრებითია, მიმდინარეობს კამათი მხარეებს შორის, სასამართლო მოხელეები წესრიგს იცავენ და სასამართლო პროცესის მონაწილეთა მჭევრმეტყველური სიტყვების მოსმენის შესაძლებლობა აქვს ყველას, ვინც ესწრება საქმის განხილვას, კოლხეთში გაბატონებული არსებული წესის თანახმად კი, სასამართლო სხდომა ტარდებოდა საიდუმლოდ და ბარბაროსები ბიზანტიაში მოქმედ სასამართლო პროცესის ჩატარების წესებს „ჩვეული არ იყვნენ“.

დახასრული: დახაწევის იხ. უფრ., „სახელმწიფო და სამართალი“, 1890, № 6.

აგათია სქოლასტიკოსის მიერ ბიზანტიური სამართლით დადგენილ სებების დახასიათებაში აშკარად მოსჩანს ქედმაღლობა. ბიზანტიური კულტურის განდიდების და არაბერძნულის, ბარბაროსულის, როგორც ამას ბერძნები უწოდებდნენ ყველა დანარჩენ ხალხს, დამცირების ცდა. აგათია სქოლასტიკოსი, მართალია, ძველ ქართულ და ბიზანტიურ სამართალს და სასამართლო პროცესს ანსხვავებს ერთმანეთისაგან, მაგრამ ამ განსხვავების სრულად წარმოდგენისათვის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართული სასამართლო პროცესი ჰუმანისტურ საწყისებს ემყარებოდა, ბერძნული სამართლის თანახმად კი საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას მიმართავდნენ წამებას, ე. ი. სასამართლო პროცესში ინკვიზიციური ელემენტებიც იყო. ბერძნულ და ძველ ქართულ სასამართლო პროცესს შორის ამ განსხვავებაზე აგათია არაფერს ლაპარაკობს, მაგრამ მისი თხზულების კითხვისას მკითხველი ადვილად შეამჩნევს, კერძოდ, აგათია სქოლასტიკოსი მიუთითებს, რომ იმპერატორ იუსტინიანეს მიერ გუბაზის მკვლელთა საქმის გამოსაძიებლად და გასასამართლებლად დანიშნული მოსამართლე ათანასი „თავისი ღირსების შეგნებით დაჯდა ერთ მაღალ სავარძელზე, ქლამიდში გამოწყობილი, როგორც ეს სჩვევიათ ბრწყინვალე მთავრებს. მასთანვე იყვნენ კაცნი, რომელთაც იცოდნენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხაპა-სხუპით, იყვნენ აგრეთვე სხვა მოსამსახურეებიც; მკაცრნი და ამაყნი, და სასამართლოს ხლართების საუკეთესო მცოდნენი, ბოხხმიანი მაუწყებელნი და გამმართახებელნი. ესენი ყველანი ბიზანტიიდან იყვნენ მთავრობის მიერ გამოგზავნილნი. იმათ, ვისაც ეს დავალებული ჰქონდათ, მოიტანეს რკინის ჯაჭვები, კისერზე დასადები, აგრეთვე ბადესაკრავები და ბორკილები და სხვა იარაღები საწამებლად“. კოლხები აღზრდილნი იყვნენ ჰუმანისტური სამართალშეგნებით და მათთვის მართლაც უცხო იყო ბერძნული ინკვიზიციური სასამართლო პროცესი. ბერძნებისა და კოლხების მართლშეგნებას შორის ამ პრინციპულმა განსხვავებამ აშკარად იჩინა თავი ამ სასამართლო პროცესზე დამნაშავეთა მიმართ მოსამართლის მიერ გამოტანილი სასჯელის, კერძოდ, სიკვდილით დასჯის აღსრულებისას. აგათია სქოლასტიკოსი წერს, რომ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის აღსრულება „უდიდეს“ და ამავე დროს შიშის მომგვრელ სანახაობას წარმოადგენდა კოლხებისათვის. განცვიფრებაში მოიყვანა ისინი გმირმაც, რომელიც შემზარავი ზმით ვაკეოდა და რჩევას იძლეოდა: „გეშინოდეთ კანონებისა და თავი შეიკავეთ უსამართლო მკვლევლობათა გამო. როდესაც მათ ყელები გადასჭრეს, მაშინ ყველანი სიბრალულით აღივსნენ და ბრაზობას თავი დაანებეს“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გუბაზ მეფის მკვლელთა საქმე იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით და კოლხთა თანხმობით ჩატარდა კოლხეთში რომაული კანონების მიხედვით. მხარეებს, რომელთა შორის პაექრობა მიმდინარეობდა სასამართლო პროცესზე, წარმოადგენდნენ ერთი მხრივ, ბრალდებულები (ბერძენი სამხედრო პირები) და მეორე მხრივ, ბრალმდებლები (კოლხი სწავლული იურისტები). „რუსტიკე და იოანე მოიყვანეს სატუსალოდან და დააყენეს მარცხნივ, როგორც ბრალდებულნი, მეორე მხარეზე დადგნენ ბრალმდებლები, დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელლინთა ენა“.

სასამართლო სხდომაზე კოლხი ბრალმდებლების ყველა შუამდგომლობა საქმის განხილვის თანმიმდევრობის თაობაზე ბიზანტიელთა მოსამართლემ ათა-

ნასიმ დააკმაყოფილა. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სასამართლო სხდომის ობიექტურობის, ჩადენილი დანაშაულის შინაარსის და ბრალდებულთა ბრალის დადგენისათვის, არამედ ბრალმდებლების, ე. ი. კოლხი სწავლული იურისტების სამართლებრივი ცოდნის შეფასებისათვის. ნათლად ჩანს, რომ კოლხი იურისტები შესანიშნავად ფლობენ სამართლებრივ მეცნიერებასა და პრაქტიკას, კარგად ხედავენ სასამართლო პროცესის არსებით და არა არსებით მხარეებს და პროცესის დაწყებისთანავე მოსამართლის ყურადღებას მიაპყრობენ იმ არსებით მხარეებს, რომელთა თავიდანვე წარმოუჩენლად საქმის სასამართლო განხილვა შეიძლება ასცდეს სწორ გზას. კოლხი ბრალმდებლების მტკიცებით, გუბაზის მკვლელობის იურიდიული კვალიფიკაციისათვის არსებით და სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს იმპერატორ იუსტინიანეს წერილი, რომელიც ამ უკანასკნელმა გამოუგზავნა იოანეს ხელით ბერძენ სარდლებს. ეს წერილი შეიცავს მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ მოექცნენ იმპერატორთან მოდალატეობის ბრალდებით დაბეზღებულ გუბაზ მეფეს.

თავისი სარდლების ბეზღობა იმის შესახებ, რომ გუბაზი ღალატობს „მა-მა-პაპის ადათს“, ერთმორწმუნე, რომაელებს და მას განზრახული აქვს გადავიდეს უცხო და სრულიად სხვა სარწმუნოების მიმდევარ სპარსელთა მხარეზე, იმპერატორ იუსტინიანეს აშკარა საეჭვოდ და დაუჯერებლად მიაჩნია, რადგან გუბაზს ბერძენებისაგან უსიამოვნო არაფერი შეხვედრია, მაგრამ ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან აცილების მიზნით, წერს იუსტინიანე, „გავალბებთ გამოგზავნოთ ის, რაც შეიძლება მალე, ნებით ან ძალით, მაგრამ თუ კი ის განზრახვას მიგიზღვებათ. წინააღმდეგობას გაგიწევთ და წამოსვლაზე უარს განაცხადებს, შეიპყარით და წამოათრიეთ (ამის ნებასაც გაძლევთ მე თქვენ ამ შემთხვევაში), ხოლო თუ ის გაგისზღტებათ და თქვენზე იერიშს მოიტანს და, მაშასადამე, ამა თუ იმ სახით ხელს აღმართავს თქვენ წინააღმდეგ, მაშინ ჩვენ აშკარა საბუთები გვექნება მის განზრახვათა შესახებ და ამიერიდან შეგვიძლია ჩავთვალოთ მტრად, ისე რომ, თუ მას, ასე გათავხედებულს, ვინმე კიდევაც მოჰკლავს, ამას უკანონო საქციელად არ ჩავთვლით, ამ საქმისათვის არა თუ დასჯილი არ იქნება ის, როგორც მკვლელობის ჩამდენი, არამედ ქების ღირსიც იქნება, როგორც ტირანის მომსპობი“.

კოლხი სწავლული იურისტების მოთხოვნით სასამართლო სხდომაზე იუსტინიანეს წერილის საჯაროდ წაკითხვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ბერძენი სარდლების მიერ ჩადენილი დანაშაული ნათელი გახდა, ამიტომ საგანგებოდ ბრალმდებლად დანიშნულ კოლხ სწავლულ იურისტებს მოსამართლემ თხოვა პასუხისგებაში მიცემული ბერძენი სარდლების მიმართ, თუ კი ამის სურვილი ჰქონდათ, ჩამოეყალიბებინათ თავიანთი ბრალდებები. მიუხედავად იმისა, რომ კოლხ ბრალმდებლებს მთავარი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდათ, კერძოდ, მათი მოთხოვნით ყველამ, ვინც სასამართლო პროცესს ესწრებოდა, მოისმინა იმპერატორ იუსტინიანეს წერილი, რომელმაც ნათელი მოჰფინა ბერძენ სარდალთა ჩადენილ დანაშაულს, ამიტომ თავიანთი პოზიციის გასამტკიცებლად, ეს შესაძლებლობაც მათ ხელიდან არ გაუშვიათ და სასამართლოს განუცხადეს, რომ მკვლელები, რომლებმაც ეს საშინელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს, მკაცრად უნდა დაისჯონ, ამის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია. ამასთან ერთად, კოლხი სწავლული იურისტები ამკლავებენ ფართო იურიდიულ განათლებას. ისინი ღრმად არიან დაუფლებული არა მარტო

ეროვნულ, კოლხეთის სახელმწიფოს სამართლის მეცნიერებას, არამედ სხვა ქვეყნების და პირველ რიგში ბიზანტიაში მოქმედ ბერძნულ (რომაულ) სამართალს. ისინი მიუთითებენ, რომ რადგანაც სასამართლო დამნაშავეთა საქმეს იხილავს არა კოლხეთის, არამედ ბიზანტიური კანონების მიხედვით, თავს მოვალედ თვლიან პატივი სცენ და დაემორჩილონ ამ კანონების მოთხოვნებს. კოლხი ბრალდებლები მიმართავენ მოსამართლეს: „თქვენი კანონების მიხედვით თვით აშკარა და უდიდეს უკანონო მოქმედებათა შესახებაც კი მიღებულია, რომ განაჩენი არ იქნეს გამოტანილი, სანამ საქმე არ იქნება გარჩეული სიტყვიერი პაექრობის საშუალებით, და ამიტომ ჩვენ შევუდგებით საქმის ვითარების განმარტებას. ამრიგად, ჩვენ მიერ შესრულებული იქნება კანონით დაწესებული“. კოლხი სწავლული იურისტები პასუხისგებაში მიცემულ ბერძენი სარღლების შესახებ სასამართლოს მოახსენებენ შემდეგ ბრალდებებს: ბერძენმა სტრატეგოსებმა მოკლეს ბიზანტიის მეგობარი და მოკეთე, მოკავშირე ომიანობის და ზავის დროს, უზენაესის შესახებაც თქვენაირად მოაზროვნე და თქვენი წესების მიმდევარი; გუბაზის მკვლელებმა ჩადენილი დანაშაულით ბიზანტიის მიმართ მტრობა გამოამჟღავნეს და მის მტრებს სამსახური გაუწიეს. მკვლელებმა ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს მეფე და არა დაბალი გვარიშვილობის წარმომადგენელი, რომელიც რომაელთა ინტერესების ერთგული იყო ბრალდებულებზე უფრო მეტად ყოველთვის. ამ საშინელი დანაშაულის გამო „უკუღმა დატრიალდა კოლხთა საქმეები და დაინგრა, განსაკუთრებით სახელმწიფო საქმეები, თუმცა ჩვენ ქვეშევრდომი სახელმწიფოს ერთ, არა უმნიშვნელო ნაწილს შევადგენთ. თქვენც აღარა გაქვთ თავისუფალი და ურყევი მდგომარეობა და საგრძნობლად დავისუსტდათ საკუთარი ძალღონე“.

ზემოაღნიშნული ბრალდებები კოლხ სწავლულ იურისტებს განმტკიცებელი აქვთ თეორიული დებულებებით. ისინი მიუთითებენ, რომ ბიზანტიასთან დადებული ხელშეკრულებით კოლხეთი თუმცა მისი მოკავშირეა, მაგრამ მაინც ბიზანტიის სახელმწიფოს ანგარიშგასაწევი ქვეშევრდომია, რომლის დასუსტებაც ზიანს აყენებს არა მარტო კოლხებს, არამედ არყევს თვით ბიზანტიის თავისუფალ და მტკიცე მდგომარეობას, ასუსტებს მის ძლიერებას. რადგან კოლხეთი სამოკავშირეო ხელშეკრულებით ქვეშევრდომი ქვეყანაა, იგი ქმნის ბიზანტიის სახელმწიფოს მთლიანობას, რომლის განმტკიცებაზე უნდა ზრუნავდნენ არა მარტო კოლხები, არამედ პირველყოვლისა ბერძნები. სახელმწიფოს უმთავრეს ნიშანს, რომელიც განსაზღვრავს მის სახელწოდებას, წარმოადგენს მისი თავისუფალი მდგომარეობა და მთლიანობა. კოლხი სწავლული იურისტები აღნიშნავენ: „თუ სახელმწიფო ყოველმხრივ არ არის გამაგრებული და ერთს რომელსავე ნაწილში მოდუნებულია, ვეღარ იარსებებს წესიერად; პირიქით, ის თავის სახელწოდებასაც ტყუილად ატარებს, ვინაიდან ის მოკლებულია თავისუფალი არსებობის საშუალებას“.

გარდა ამისა, კოლხი სწავლული იურისტების მოსაზრებით, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთსულოვნებასა და აზრთა ერთიანობას, რომელიც მუდამ უნდა არსებობდეს. მათ შორის, როგორც ომის, ასევე მშვიდობიანობის დროს. მოკავშირეთა შორის შეხედულებათა ერთიანობის უმთავრესი საფუძველია მათი სარწმუნოებრივი მდგომარეობა, ქრისტიანული რწმენის სახელმწიფოებს, ისევე, როგორც სხვა რწმენის მიმდევარ ქვეყნებს, ერთნაირი წარმოდგენა აქვთ ღმერთის, უზენაე-

სის შესახებ. ამიტომ ერთმორწმუნე სახელმწიფოებს შორის მტკიცე მეგობრული ურთიერთობა შეიძლება ყოველთვის არსებობდეს, უკეთუ ქვეყნის ცალკეული მოღვაწენი სახელმწიფოზე მალა არ დააყენებენ პირად ინტერესებს და ამით არ ხელყოფენ მის მთლიანობას. სხვათა შორის, სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე მსჯელობისას ანონიმი კოლხი სწავლული იურისტები, განსხვავებით აიეტისაგან, როცა იყენებენ ტერმინს „უზენაესი“, ყოველთვის გულისხმობენ ღმერთს ქრისტიანული წარმოდგენით. კოლხეთის სახელმწიფოს სარწმუნოებრივი მდგომარეობის დახასიათებისას, ისინი საგანგებოდ მიაპყრობენ ბერძენი მოსამართლის ყურადღებას, რომ კოლხები „უზენაესის შესახებაც თქვენაირად მოაზროვნე და თქვენი წესების მიმდევარი“ არიან.

მძიმეა ბერძენი სარღლების მიერ ჩადენილი დანაშაული, რადგან იგი არამართო ბიზანტიის მოკავშირე კოლხეთის სახელმწიფოს მეფის, გუბაზის მკვლელობაში გამოიხატება, არამედ მან არივ-დარია და დაანგრია სახელმწიფოთა საქმეები. ანონიმი კოლხი ბრალმდებლები მხარეთა პაექრობაზე საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ გუბაზის მკვლელები სასამართლო სხდომის დანიშვნამდე ყალბი იურიდიული კონსტრუქციით ცდილობდნენ საზოგადოების წინაშე თავის მართლებას, არასწორად წარმოგვიდგენდნენ განზრახვის ცნებას. ერთმანეთთან აიგივებდნენ განზრახვასა და მოტივს. გუბაზის მკვლელები ამტკიცებენ: „ამ — თუმცა საშინელს — საქმეს კი ნუ უყურებთ, არამედ მხოლოდ ის განზრახვა უნდა გამოიკვლიოთ და მხედველობაში მიიღოთ, რომლითაც ვხელმძღვანელობდითო; და უფრო ამჯობინებენ ზოგიერთი ბუნდოვანი — თითქოს სინამდვილის შესაფერისი — საბუთების საშუალებებით დაგისახონ თავისი მოქმედება, როგორც თქვენ საკეთილდღეოდ ჩადენილი, ვიდრე აღიარონ აშკარა ზარალი, საქმისათვის მიყენებული, ასეთ ტყუილებს ყბედობენ ისინი ზშირად სასამართლოს დანიშვნამდე და ფიქრობენ, თუ კი ისინი საქმის გარჩევის დროსაც ასეთსავე მოსაზრებას წამოაყენებენ, დე იცოდნენ მათ, მსაჯულო, რომ არც რომაელს და არც სამართლიანობას სჩვევია ასეთი ცხადი და აშკარად ჩადენილი უსამართლობა უყურადღებოდ დასტოვოს და თავი მოატყუებინოს ბუნდოვან მიზეზებს, რომლებიც უსაფუძვლოდაა მკვლელების მიერ შეთხზული“.

ანონიმი კოლხი ბრალმდებლები მიუთითებენ, რომ სწორედ „ის განზრახვა უნდა გამოიკვლიოთ“, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ბერძენი სარღლები გუბაზის მკვლელობისას. ფაქტები კი მოწმობენ, რომ დამნაშავე მკვლელთა განზრახვა და მოტივი იყო მხოლოდ პირადი შურისა და მტრობის გამო გუბაზის მოსპობა და არა ბიზანტიის სახელმწიფოს ინტერესების დაცვა. ბერძენმა სარღლებმა მოკლეს ბიზანტიის სახელმწიფოს მოკავშირე, მისი მეგობარი და ერთგული მომხრე სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში და ამავე დროს ამტკიცებენ, რომ განზრახვა ჰქონდათ სარგებლობა მოეტანათ ბიზანტიისათვის. კოლხი ბრალმდებლები ააშკარავენ დამნაშავეთა მტკიცების უსაფუძვლობას და შეურიგებელ წინააღმდეგობას მათ მსჯელობებში. ისინი მიუთითებენ, რომ სარგებლობა მოაქვს კანონიერ მოქმედებას, რადგან სახელმწიფო ადგენს მხოლოდ ისეთ კანონებს, რომელთა მიზანია ადამიანებისათვის სარგებლობის და ბედნიერების მოტანა, ამიტომაც „იმთავითვე ხომ სარგებლობა და უკანონობა ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებს წარმოადგენენ, სიმხეცე და სამართლიანობა ერთიმეორეს დაშორებული იყვნენ და შეურყეველი, მათი ერთად არსებობა არასდროს არ ყოფილა შესაძლებელი... როგორ თავს-

დება მათ თავში ეს წინააღმდეგობა, ან როგორ შეგვიძლია ჩვენ რომლებმაც ამ საქციელს საზიზღარს ვუწოდებთ, შევაქოთ მისი ჩამდენი და ვთქვათ, რომ მისი მიზანი იყო სახელმწიფოსათვის სარგებლობის მოტანა“.

კოლხი სწავლული იურისტები მოსამართლეს მოახსენებენ, რომ განზრახვა, რომელზეც ლაპარაკობენ სასამართლო პასუხისგებაში მიცემული ბერძენი სარდლები და რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობდნენ ისინი გუბაზ მეფის მკვლელობისას, თუ მას გავაანალიზებთ და გამოვიკვლევთ, არსებითად არის განზრახვა, რომელიც ემსახურება არა ბიზანტიისა და კოლხეთის სახელმწიფოების ინტერესებსა და ურთიერთმეგობრობის განმტკიცებას, არამედ იგი მათი საერთო მტრის, სპარსეთის სასარგებლო განზრახვაა, ბრალდებულებს კი ჰყოფნით გამბედაობა ამტკიცონ, რომ „მოკლეს არა მეგობარი, არა მეფე, არამედ მტერი, ტირანი, სპარსელების მომხრე“. გუბაზის ინტერესების დამცველი ბრალმდებლები მოსამართლის ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ „მოწინააღმდეგესა და მტერს ხომ საქმის მიხედვით გამოიცნობ ადამიანი და არა სიშორის მიხედვით. ცხადია მტრად უნდა ჩათვალოს ის, ვინც იმას აკეთებს ხალისით, რაც მოწინააღმდეგეებს ესიამოვნებათ თუნდაც ის შენთან იყოს და შენთან ერთად ლაშქრობდეს და ახლო ნათესაურ კავშირში იყოს შენთან“. ამრიგად, გუბაზი კი არ ყოფილა ბერძენების მტერი, არამედ ბერძენებთან „ნათესაურ კავშირში“ მყოფი რუსტიკე და იოანე ჩანან ჭეშმარიტი მტრები. კოლხი სწავლული იურისტების მტკიცებით, სრულიად დაუსაბუთებელია მკვლელთა მიერ გუბაზის მიმართ წაყენებული ბრალდება, რომ ის თითქოს მოღალატე იყო. სასამართლო პასუხისგებაში მიცემულმა დამნაშავეებმა ვერაგულად მოკლეს კოლხეთის მეფე და ამის შემდეგ მას ბრალი დადეს მოღალატეობაში. ვერცერთი ქვეყნის იურიდიული მეცნიერება ვერ გაამართლებს ამ უაზრობას: „რომელი კანონი — თქვენი ან ბარბაროსებისა — მოიწონებს ასეთ მდგომარეობას, რომ ჯერ განაჩენი გამოუტანოს ადამიანს და მერე წაუყენო ბრალდება? ისინი თვითონ არიან მსაჯულებიც, მტრებიც და ბრალმდებელიც, ყველაფერი ერთად შეასრულეს და საქმის გაურჩევლად უდანაშაულო კაცს ისეთი სასჯელი არგუნეს, როგორიც შეეფერებოდა ტირანობაში გამტყუნებულს. ახლა კი, როდესაც თავის მართლება სჭირდებათ, მოდიან და ბრალსა სდებენ უსამართლოდ დასჯილ კაცს, მანამ მას მოჰკლავდნენ, საჭირო იყო, თუ კი ისინი დარწმუნებული იყვნენ ბრალდებათა სისწორეში, საქვეყნოდ, მიეცათ ის სამართალში და თვით პირველნი გამოსულიყვნენ ბრალმდებლად“.

კოლხელი ბრალმდებლები მიუთითებენ, რომ საყოველთაოდ აღიარებული იურიდიული წესების დარღვევა აკრძალულია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დაზარალებულ მხარეს წარმოვადგენთ და უსამართლოდ მოკლული გუბაზის ინტერესებს ვიცავთ, მაგრამ ამ წესებს ვიცავთ და პატივს ვცემთ. მკვლევლებისათვის რომ მიგვებაძა, შეგვეძლო გუბაზის სიცოცხლის ხელმყოფი ბერძენი სარდლებისათვის სამაგიერო მიგვეზღო, სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე მოგვეკლა ისინი და მათ წინააღმდეგ სასამართლო შემდეგ მოგვეწყო. კოლხელი სწავლული იურისტები გადაჭრით გამობენ თვითგასწორების გზით სამაგიეროს მიზღვევას. ისინი მიუთითებენ, რომ მას შემდეგ, რაც სამართალდარღვევების განხილვა სასამართლოს კომპეტენციას დაექვემდებარა, თვითგასწორება და სამაგიეროს მიზღვევა დაუშვებელია, მას უბედურება მოაქვს ადამიანებისათვის: „არც ჩვენ და არც სხვებმა ამგვარი რამ არ უნდა გავბედოთ, თუ სახელმწიფო კანონების საფუძველზე ვაპირებთ ცხოვრებას.“

წარმოდგინეთ, თუ ყოველ მსურველს ასე ერთბაშად შეეძლება საკუთარი მტრების მოკვლა. ამგვარი საქციელის ხშირად ჩადენა მიგვიყვანდა უსაზღვრო თვითნებობამდე, და როგორღა შეგრჩებოდათ თქვენ შესაძლებლობა თავისუფალი და დაუბრკოლებელი განსჯისა? ყველა რომ ელექტას დაიწყებს და გაელექტილი იქნება და თამამად მიმართავს ერთმანეთის წინააღმდეგ მახის დაგებას, თქვენ ველარ შესძლებთ სასჯელის დადებას და გამოძიების საშუალებას წინასწარ მოსპობს იმათი უკანონო საქციელი, რომლებიც ყოველთვის სამაგიეროს გადახდას მიმართავენ“.

სამაგიეროს გადახდა ეწინააღმდეგება მართლმსაჯულებასა და სამართლიანობას, ყოველი დანაშაული გამოძიებული და დამტკიცებული უნდა იქნეს. მკვლელობის ბრალდებით არაა უბედურება ერთი, ისიც მოლაღატედ მიჩნეული კაცის მოკვლა. რადგან შეიძლება ამის შემდეგ ყველა მოკავშირე გაფრთხილდეს და გონივრულად მოიქცეს. მეფეს ბრალად დებენ მოლაღატეობას, ნეგობრული კავშირის დარღვევას. მოლაღატეობა კი დამტკიცებული არაა და მიუხედავად ამისა, მას მაინც კლავენ, ასეთ შემთხვევაში გაუგებარია „რანაირად შეუწყობს ეს ხელს იმას, რომ მოკავშირეები თქვენ უფრო გონივრად მოგექცენ? იქნებ მათ უფრო ხელშეკრულების დარღვევა დაიწყონ, რა ხან ეფიქრებენ. რომ თქვენ ამ ბოროტმოქმედების მონაწილენი ხართ“? სინამდვილეში კი გუბაზი მოკლეს უღირსებმა და მის მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია „მთელ რომაელ ხალხს და ცალკეულ უღირსთა“ ვერაგული საქციელი ვერც თქვენ შესახებ წინათ არსებულ აზრს მოსპობს, სახელდობრ, რომ თქვენ ერთგულნი ხართ, თქვენი ქცევით და ურყევნი, და სამართლიანი კანონებითაც ხელმძღვანელობთ... მსაჯულო, როდესაც შენი მსჯავრის მიხედვით ისინი მალე მოკლული იქნებიან, უფრო გასაგები შეიქმნება, რომ თქვენ (რომაელები) თავისიანების მოლაღატენი კი არა ხართ, არამედ უსამართლოდ მოქმედთა მომთვინიერებელნი“. პასუხისგებაში მიცემული ბერძენი სარდლები. — მიუთითებენ კოლხი ბრალმდებლები — სიტყვით იცავენ თავს, მაგრამ საქმეები ცხადყოფენ მათ სიცრუეს. იმპერატორ იუსტინიანეს წერილი უბრძანებდა სარდლებს მიჰგვარონ მას ბიზანტიაში გუბაზი რა საშუალებითაც არ უნდა ყოფილიყო ეს. გუბაზის მოკვლის თანხმობას იუსტინიანე მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლეოდა, თუ გუბაზი საბოლოოდ გადაუდგებოდა რომაელებს და მათ მიმართ აშკარად მტრულ მოქმედებას დაიწყებდა. სარდლებმა კი მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, მოკლეს გუბაზი, ისე, რომ „არც კი აჩვენეს მეფის წერილი, რომ ის გასცნობოდა მის შინაარსს და მოქცეულიყო საჭიროებისამებრ... რაც ყველაზე უფრო უკანონოდ უნდა ჩაითვალოს“.

გუბაზი ერთგულად ასრულებდა ბერძნებთან დადებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, იცავდა ბიზანტიის სახელმწიფოს ინტერესებს, თავის თავსა და მის ოჯახს ამის გამო ხშირად აყენებდა საფრთხეში, კატეგორიულად უარს ამბობდა სპარსელთა მიერ შემოთავაზებულ მაცდურ საჩუქრებზე და ამჯობინებდა ბერძნებთან კეთილ განწყობილებას და ა. შ. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე კოლხი იურისტების მიერ ბერძნების მისამართით დასმულმა კითხვებმა, რომელზეც პასუხის ზოელი სისრულით გაცემა შეუძლებელი იყო გუბაზის დამსახურების გახსენების გარეშე: „ვინ იყო, რომ სპარსელთაგან დანაპირებ სიმდიდრესა და ყოველნაირ სიკეთეს ამჯობინა თქვენდამი კეთილი განწყობილება? ვინ იყო, რომ ხოსროს მეგობრობა უკუაგლო და, იმ დროს, როდესაც ეს მეგობრობა უდიდეს სიმდიდრეს უმზადებდა მას, თქვენ-

გან მცირედსაც დასჯერდა? ვინ იყო, რომ წინათ, როდესაც ეს ქვეყანა ხნის განმავლობაში მიდიელების სათარეშოდ იყო გამხდარი და თქვენი დამხმარე ჯარები იგვიანებდნენ, მაშინვე გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და თვით კავკასიონის მწვერვალებზე გადასახლდა, სადაც თითქმის ველურ ცხოვრებას ეწეოდა, და მან ეს უფრო ამჯობინა, ვიდრე მტრის მეგობრობა გამოეყენებინა, შინ მისულიყო და განცხრობით ეცხოვრა. ვინ იყო ეს? ეს იყო გუბაზი, რომელიც არ უშინდებოდა არავითარ გაჭირვებას, თუკი თქვენი გულისთვის იყო ეს აუცილებელი“. კოლხი ბრალმდებელი იურისტები სასამართლოს ყურადღებას ამახვილებენ კოტხვაზე, რა მიიღო გუბაზმა სამაგიერო? აქაც პასუხს თვითონ იძლევიან. კერძოდ, რუსტიკემ და იოანემ თვითნებურად, კანონიერი საბუთის გარეშე გამოაცხადეს იგი მოღალატედ და ვერაგულად მოკლეს. ამ აღმამფოთებელი უსამართლობის იურიდიულ კვალიფიკაციას კოლხი სწავლული იურისტები რომაულ სამართალში საყოველთაოდ გავრცელებული სამართლებრივი სენტენციით გამოხატავენ: „სად ზართ კანონებო, სად არის სამართალი!“

ბერძენმა სარდლებმა წინასწარი განზრახვითა და შედგენილი გეგმებით ამაყური ქცევისა და პირადი შურისძიებით შეპყრობილებმა დიდი ზიანი მიაყენეს თავიანთ ქვეყანას, ბიზანტიას, მოკლეს გუბაზი, კოლხთა მეფე ისე, რომ „არც დროის ვითარებას მიაქციეს ყურადღება, არც კარგად მოიფიქრეს, რადგან ისეთ მძიმე ომში ვიყავით გახვეული, გონიერ კაცს მოეთხოვებოდა ეზრუნა იმაზე, რომ კარგი მოპყრობის საშუალებით თავისკენ მიეზიდა უტბო და ჭერ კიდევ უცნობი ერები. ამათ კი ისინიც რომაელების მტრებად გადააქციეს, რომლებიც წინა მათი მახლობელი მეგობრები იყვნენ, და მათი ბრალია, რომ ჩვენ მტრის მხარეზე გადავედით, ძველ მეგობრებს მზაკვრულად ვეპყრობით, რომ ეს ქვეყანა სპარსელების ხელშია და მშობლიური წესები მივიწყებულა, ერთი სიტყვით, ყველაფერი უწესრიგოდ მიმდინარეობს, რამდენი ზარდამცემი ნიშანია აჯანყებისა და შინაური არეულობისა“.

კოლხმა ბრალმდებლებმა, რომლებიც ბრალდებული რუსტიკესა და იოანეს პირისპირ იდგნენ, დაამთავრეს თავიანთი სიტყვა მოთხოვნით, რომ ბიზანტია-კოლხეთის მეგობრული ურთიერთობის აღსადგენად და გასამტკიცებლად ნურავინ ისარგებლებს ჩვენი გულმომწყალებით და გუბაზის მკვლელებს იმაზე ნაკლებ სასჯელს შეუფარდებს. „ვიდრე მათ მიერ ჩადენილ საქციელს შეეფერება“.

ქართველი ბრალმდებლების მიერ გონივრულად და დიდი ოსტატობით წარმართულმა სასამართლო პროცესმა, გუბაზის მკვლელობის ყველა დეტალის დამაჩერებელმა იურიდიულმა კვალიფიკაციამ, რომაულ-ქართული სამართლის ნორმების უნაკლო ახსნა-განმარტებამ, მოწინავე სამართლებრივი ცნებებისა და ინსტრუქციების მოხერხებულმა მისადაგებამ კონკრეტული სამართლებრივი მოვლენებისადმი, სამართლის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ღრმა ცოდნამ, დიდი ზეგავლენა მოახდინა სასამართლოზე და დამსწრეებზე. ქართველი სწავლული იურისტების სიტყვა იმდენად ნათელი და დამაჩერებელი იყო, რომ კოლხთა ლაშქარი და სასამართლო სხდომაზე დამსწრენი უმალ განეწყნენ მათ სასარგებლოდ. როდესაც ბრალმდებლებმა „ლაპარაკი დაამთავრეს და მსაჯული ცოტა ხნით შეჩერდა დაფიქრებული, იმათ ჩუმად დაიწ-

ყეს ბუზღუნნი და უკმაყოფილებების გამოცხადება, რატომ ახლავე არ მიპყავთ მტრები დასასჯელადო. ხოლო, როდესაც მსაჯულმა მოუწოდა ბრალდებულებს ეთქვათ, რისი თქმაც სურდათ, მაშინ ხალხმა აშკარად იწყო ყვირილი და ბუზღუნნი და ეს ხმები კიდევ უფრო ნათლად ისმოდა“.

სასამართლო პროცესის ერთი მხარის, ბრალმდებლების სიტყვის შემდეგ პაექრობაში ჩაება მოპირდაპირე მხარე, ბრალდებულები, ძმები რუსტიკე და იოანე, რომლებიც არა ნაკლები ყურადღებით და ინტერესით უსმენდნენ კოლხ ბრალმდებლებს, მაგრამ ბრალმდებელთა მიერ წამოყენებული ბრალდების არ-გუმენტთა შერყევა და მისგან თავის დაცვის ის იურიდიული პოზიცია, რომელიც რუსტიკემ და იოანემ აირჩია, მცდარი აღმოჩნდა, რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიის იმპერატორის საგარეო პოლიტიკურ კურსს, ბიზანტია-კოლხეთის ურთიერთობის ოფიციალურად აღიარებულ იურიდიულ საფუძვლებს, ამ ორ სახელმწიფოს შორის დადებული მეგობრული სამოკავშირეო ხელშეკრულების მთავარ პირობებს, კერძოდ, მეგობრული თანამშრომლობისა და თანასწორობის საფუძველზე ურთიერთდახმარებას საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, რუსტიკეს საბასუხო სიტყვაში ჩანდა მხოლოდ ბერძენთა დიდმპყრობელური პოლიტიკა და ქედმაღლობა კოლხი ხალხის მიმართ, რამაც დიდად შეურაცხყო და გააღიზიანა სასამართლოზე დამსწრე კოლხები და მათი ლაშქარი, რუსტიკემ თავისი სიტყვა ასე დაიწყო: „უნდა დავმტკბარიყავით უდიდესი საჩუქრებით და ამის ნაცვლად სიკვდილით დასჯა მოგვეღის. თუმცა ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა ეს სამსჯავრო და უდიდესი სიამაყის მომგვრელი: ამით ყველა გაიგებს, რომ მხოლოდ ჩვენი წყალობით მოხერხდა მოლაღატისა და ტირანის მოსპობა... ასე, რომ კიდევაც რომ სიკვდილი შეგვხვდეს, სიამოვნებით მივეგებებით მას... ვინაიდან გზაზე წაგვეყვება იმის შეგნება, რომ კოლხების ბატონებად რომაელები დავტოვეთ“. რუსტიკეს ეს დიდმპყრობელური სიტყვა პოლიტიკურად სრულიად შეუფერებელი იყო კოლხეთის მეფის გუბაზის მკვლელობით ბიზანტია-კოლხეთის გართულებული ურთიერთობისათვის, ის ამ სიტუაციაში მიუღებელი იყო როგორც ბიზანტიის, ასევე კოლხეთისათვის.

იურიდიული თვალსაზრისით წამგებიანი იყო რუსტიკეს დაცვითი სიტყვის სხვა ნაწილიც, რომელიც ფაქტობრივად წაყენებულ ბრალდებისაგან თავის დაცვას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ იგი წარმოადგენდა კოლხების და საერთოდ, რომაელებისაგან განსხვავებული ყველა ხალხის დაცინვას. რუსტიკე ეთანხმება კოლხ ბრალმდებლებს მტრის ცნების განსაზღვრაში, იგი მიუთითებს: „ბრალმდებლები სამართლიანად ამბობენ, რომ მტრის სახელწოდება შეეფერება არა იმას, ვინც მოშორებით უცხოეთში ცხოვრობს, არამედ იმას, ვინც თუმცა თვისტომია, მაგრამ მტრისათვის სასიამოვნო საქმეს აკეთებს... გუბაზი ჩვენი მტერი იყო, ხოლო თუ ეს დამტკიცებული იქნება ამ გზით, ნათელყოფილი იქნება ისიც, რომ ის მოკლული იქნა სრულიად მართებულად“.

მაგრამ რუსტიკეს ეს მოსაზრება იურიდიული თვალსაზრისით უაზრობას წარმოადგენს. იმის დასამტკიცებლად, რომ გუბაზი მტერი იყო, რუსტიკე ეხება არა თვით გუბაზს, როგორც ამ შემთხვევაში სამართლის კონკრეტულ სუბიექტს, რომლის მიერ ჩადენილი მოქმედების მიხედვით იგი შეიძლება მტრად იქნეს მიჩნეული, არამედ მთელ კოლხ ხალხს, როგორც ბარბაროსებს, რომლებიც რუსტიკეს აზრით ყოველთვის „ისწრაფვის გადატრიალებისა და აჯანყებისაკენ... გუბაზი ყველა ამ თვისებით იყო აღჭურვილი: ის ხომ წარმო-

წობით ბარბაროსი იყო და ამ მოდგმისათვის დამახასიათებელი მზაკვრობის იყო დასწრეობა“.

გარდა ამისა, გუბაზი რომ მტრად წარმოაჩინოს, რუსტიკე ბრალად სდებს მოკლულ მეფეს, რომ მას რომაელთა მიმართ მტრული განზრახვები ჰქონდა, რაც იმაში გამოიხატება, რომ როდესაც ჩვენ მტრებს ვებრძოდით, გუბაზი ამჯობინებდა შინ მკდარიყო თვისტომებთან, თვალყურს ადევნებდა ჩვენს ბრძოლას მტრებთან და დაინტერესებული იყო როგორ დამთავრდებოდა იგი, ჩვენს გამარჯვებას სწორად ბედისწერას მიაწერდა, ბარბაროსებში ავრცელებდა ხმას, რომ „რომაელები ცუდი მეომრები არიან, ბარბაროსები მათ ამარცხებენ“ და ა. შ. გუბაზი ჩვენს განკარგულებას არ ემორჩილებოდა. მეტიც, „მან კი წარმოიდგინა თავი, თითქოს მართლაც მეფე ყოფილიყო და თითქოს მის ხელთ ყოფილიყოს თავისი ნებისაებრ ემართა“ სახელმწიფო, რუსტიკეს ეს მტკიცება აშკარად ლახავდა კოლხთა ეროვნულ ღირსებას და მან სასამართლო სხდომაზე რომაელები, რომლებსაც ხელშეკრულება ჰქონდა კოლხებთან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, წარმოაჩინა დამპყრობლებად, რაც ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიის სამეფო ხელისუფლების ოფიციალურ იდეოლოგიას.

უფრო მეტი უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვია სასამართლოზე რუსტიკეს მტკიცებამ. თითქოს საქმის განხილვისა და ბრალდების იურიდიული შეფასების დროს მნიშვნელობა არა აქვს დამამტკიცებელ საბუთებს და ამიტომ უნდა „თავი დავანებოთ საბუთებს, მითითებებს და საექვო მტკიცებებს; ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ საქმეთა ვითარებას“.

ქართველი ბრალდებულების მიერ გუბაზის მკვლელებისადმი წაყენებული მთავარი ბრალდება რუსტიკემ თავიდანვე პასუხგაუტყემელი დატოვა, თითქოს არ არსებობდა და შეეცადა „ბრალდების წონის“, რაზეც საგანგებოდ ლაპარაკობს ავათია სქოლასტიკოსი. შემსუბუქებას, ამ მთავარ ბრალდებას წარმოადგენდა ბერძენი სარდლების მიერ ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს წერილობითი განკარგულების უხეში დარღვევა. ბრძანების თანახმად, სარდლებს წინადადება უნდა მიეცათ გუბაზისათვის, რომ იგი პირადად ზღებოდა ბიზანტიის იმპერატორს, მხოლოდ თუ გუბაზი ხელიდან გაუსხლტებოდა და იერიშს მიიტანდა ბერძენი სტრატეგოსების წინააღმდეგ, ეს იქნებოდა დამამტკიცებელი საბუთი მისი მტრული განზრახვისა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა გუბაზი ჩათვლილიყო მტრად და მისი მოკლა, როგორც მტრისა, უკანონო აქტად არ ჩაითვლებოდა. რუსტიკემ კი ზედმეტად ჩათვალა იმპერატორის წერილის ჩვენება გუბაზისათვის და წერილში აღნიშნული განკარგულების მიხედვით მოქმედებს და როგორც თვითონ ამბობს, დარწმუნდა გუბაზის ვერაგულ განზრახვაში და მოკლა კოლხეთის მეფე, რითაც ბოლო მოუღო „მთელ რიგ ასეთ უბედურებას, არსებულსა და მოსალოდნელს“.

იმპერატორ იუსტინიანეს წერილში ნათქვამი იყო, რომ გუბაზი მოეკლათ არა იმ შემთხვევაში, როცა სარდლები დარწმუნდებოდნენ მისი მოლაღატური მტრობის განზრახვაში, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც გუბაზის მტრული, მოლაღატური განზრახვა შესაბამის მოქმედებაში იქნებოდა გამოხატული, მაგრამ გუბაზს არ დაუწყია ამგვარი მოქმედება და ცხადია, მართლაც განზრახვის და ისიც დაუსაბუთებელი განზრახვის არსებობისას იუსტინიანეს განკარგულება გამოირიცხავდა გუბაზის მოკლის ნებართვას ბერძენი სარდლების მიერ, რუსტიკემ კარგად იცოდა, რომ არც გამოცდილ ბერძენ მოსამართლეს ათანასის და არც მაღალი იურიდიული განათლების მქონე კოლხ სწავლულ იურისტებს მხედველობიდან არ გამოეპარებოდათ გუბაზის უკანონო მკვლელობა.

ბის იურიდიული კვალიფიკაციის დროს წერილში გადმოცემული იუსტინიანე საგანგებო განკარგულება, რომელიც განსაზღვრავდა იმას, თუ რა ვითარებაში შეედლოთ ბერძენ სარდლებს გუბაზის მოკვლა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იუსტინიანე ნებას იძლეოდა გუბაზი მოეკლათ ბერძენ სარდლებს მხოლოდ ერთ შემთხვევაში, კერძოდ, თუ კი გუბაზი უარს განაცხადებდა ხლებოდა ბიზანტიაში იუსტინიანეს, სარდლებს ხელიდან გაუსხლტებოდა და მეტიც, წინააღმდეგობას გაუწევდა და შეუტევდა ბერძენ სარდლებს. გუბაზის ამგვარი მოქმედების იურიდიული კვალიფიკაცია ამ შემთხვევაში საფუძველს შექმნიდა მტკიცებისათვის, რომ მას აქვს დანაშაულებრივი განზრახვა და იგი ბიზანტიის აშკარა მტერია.

იუსტინიანეს ამ განკარგულების შეუსრულებლობის გამო რუსტიკემ მოსამართლეს განუცხადა: ნუ დაგვძრახავ, რომ არ შევასრულებთ წერილში მოხსენებული დავალება. იმთავითვე ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ წერილი იუსტინიანეს გამოგზავნილი ჰქონდა გუბაზის გამოსაცდელად; კერძოდ, შეასრულებდა თუ არა იგი „თავისი ნებით ბრძანებას და კანონიერად მოიქცეოდა“. „წინანდელი გამოცდილებიდან ვიცოდით. — განაგრძობს რუსტიკე. — რომ გუბაზი ჩვენს არავითარ მოთხოვნას არ ასრულებდა. ქართველი ბრალმძებლები გვისაყვედურებენ, რომ აუცილებელი იყო სამართალში მიგვეცა გუბაზი, მაგრამ ამის საშუალებას არ იძლეოდა შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა. საქმე ისაა, რომ სპარსელები აქვე იყვნენ დარაზმულნი და გამზადებულნი იმისათვის, რომ მთელი კოლხეთი ეგდოთ ხელთ იმის (გუბაზის) დახმარებით“. რუსტიკე კვლავ იმეორებს, რომ გუბაზი იყო ბიზანტიის მტერი და რადგან იგი მოლაღატეა, სულერთი არ არის „კოლხებისათვის, ჩვენ მოვკლავდით მას თუ სხვები? გონიერი მოსაზრება მარტო... ხელისუფლების მქონეთ კი არ ებადებათ, და მოუდით ხოლმე, არამედ ყოველ მსურველს, ჩემის აზრით, უფლება აქვს და შეუძლია გამოექმთაგოს სახელმწიფოს, რომელშიაც ის მოღვაწეობს და შეძლებისამებრ იზრუნოს საზოგადო კეთილდღეობისათვის“. როგორც ჩანს, რუსტიკემ იმპერატორის წერილი ფორმალურ დოკუმენტად აქცია და გუბაზის მოლაღატეობის დასასაბუთებლად შემდეგ ფაქტობრივ გარემოებაზე მიაპყრო მოსამართლის ყურადღება: „სპარსელებს ჰქონდათ დაპყრობილი ონოგურისის ციხე, რომელიც მათ ჩამოეგლიჯათ არქეოპოლისის მიდამოებიდან, და ჩვენთვის აუტანელ სირცხვილს წარმოადგენდა ის, რომ მტრის ჯარი მტკიცედ ჩამჭდარიყო ზღუდის შიგნით ჩვენს მიწა-წყალზე“. სარდლებმა მოვითათბირეთ, განაგრძობს რუსტიკე, რომ მთელი ჩვენი არმიით გაგვედევნა სპარსელები, ამის მისაღწევად კი საჭირო იყო გუბაზის ხელმძღვანელობით კოლხების დახმარება, მაგრამ ასეთ კრიტიკულ მომენტში მან უკმეხი უარი შემოგვითვალა და საჭიროდაც არ ჩათვალა მისი დასაბუთება. რუსტიკე ასკვნის: ყველაფერი ამის შემდეგ განა საჭირო იყო მეტის დაყოვნება ჩვენი მხრით? განა გვეცადა უფრო მეტი საბუთებისათვის და გვეჩვენებინა მეფის წერილი, რათა ბიზანტიონში წასულიყო, იმ დროს, როდესაც საკუთარი მიწა-წყლის ფარგლებში რაღაც მოკლე მანძილის გამოსვლასაც კი არ ღებულობდა? მერე და, განა შესაძლებელი იქნებოდა მოგვეხერხებინა აგრე რიგად ჩვენს წინააღმდეგ განწყობილი გუბაზის გაგზავნა ბიზანტიონში ისე, რომ ამას არ გამოეწვია ათასნაირი შინაური აჯანყება, მრავალი ხოცვა-ჟლეტა, აშკარა გადადგომა, სპარსელთა მოულოდნელი შემოჭრა?“

კოლხი სწავლული იურისტების მიერ ბერძენი სარდლების საწინააღმდეგოდ წამოყენებულ ბრალდებათა დამაჯერებლობისა და დასაბუთებულობის

ნიუხედავად, რუსტიკეს სიტყვამ ჩააფიქრა მოსამართლე და „ათანასი...“
გად შეხვდა რუსტიკეს სიტყვებს“:

ქეშმარიტების დასადგენად საჭირო გახდა ორივე მხარის მონაწილეობით განმეორებითი სასამართლო სჯა-პაექრობა. მოსამართლის მიერ სხვა გარემოებების გამოკვლევა და მათი იურიდიული შეფასება. სამწუხაროდ, არც კოლხი ბრალმდებლების, არც ბერძენ სტრატეგოსთა სიტყვები და არც თვით აგათია სქოლასტიკოსის ცნობები იმის შესახებ თუ მოსამართლემ რის საფუძველზე „ყველაფერი გამოიკვლია და ასწონდასწონა“, ჩვენთვის სრულიად ცნობილი არ არის, არც ის ვიცით თუ როგორ წარიმართა მხარეთა განმეორებითი სასამართლო სჯა-პაექრობა და ა. შ. მაგრამ დაბეჯითებით ვიცით, რომ ჩვენთვის კარგად ცნობილმა მასალებმა და პირველ რიგში, კოლხ სწავლულ იურისტთა ბრალდებებმა ნათელი გახადა, რომ „მკვლელობა ჩადენილი იყო უსამართლოდ და კანონის წინააღმდეგ“. რაც შეეხება რუსტიკეს ბრალდებებს გუბაზის მოღალატეობისა და ტირანობის შესახებ, არ დამტკიცდა. სასამართლო სჯა-პაექრობის შედეგად გაირკვა, რომ „ონოგურისზე ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე მედიზმის გამო კი არ ამბობდა უარს გუბაზი, არამედ იმიტომ, რომ გაჯავრებული იყო სტრატეგოსებზე იმის გამო, რომ მათ დაკარგეს ონოგურისი თავისი უგუნურობისა და დაუდევრობის წყალობით“.

სასამართლომ სიკვდილით დასაჯა მკვლელები და სხვა დამნაშავენი ისე, როგორც ამის შესახებ იმპერატორ იუსტინიანეს წერილში იყო მითითებული.

ანონიმმა ქართველმა სწავლულმა იურისტებმა წარმატებით შეასრულეს ბრალმდებლის მოვალეობა. მათ იმპერატორ იუსტინიანეს მიერ დანიშნულ დიდმოხელის ათანასის ხელმძღვანელობით ჩატარებულ სასამართლოზე, რომელიც გუბაზის მკვლელთა საქმეს იხილავდა არა ეროვნულ, არამედ რომაული სამართლის მიხედვით, თავი გაართვეს ურთულეს საქმეს, კერძოდ, იურიდიული მეცნიერების განვითარების იმდროინდელი დონის მიხედვით ნათლყვეს კოლხეთის სახელმწიფოში იმპერატორ იუსტინიანეს მიერ სტრატეგოსებად დანიშნული ბერძენების რუსტიკესა და იოანეს მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაული და მისი ძნელად გამოსაკვლევი მხარეები, სამართლის მეცნიერების ურთულესი ინსტიტუტები და კატეგორიები მიუსადაგეს და გამოიყენეს დამნაშავეთა ბრალის დასადგენად. იმპერატორმა იუსტინიანემ ბერძენი სარდლების გასამართლება კოლხეთში რომაული სამართლის „წესითა და გარეგნული მორთულობით ბრძანა... იმიტომ, რომ აქ მყოფ ბარბაროსებისათვის კვენხით ეჩვენებინა რომაული წესები და გაეკვირვებინა ისინი ამით“. სასამართლო სხდომა მართლაც გარეგნულად შიშის მომგვრელ სანახაობას წარმოადგენდა. სასამართლოს მოხელეებმა (ბოხნიანი მათწყებელნი, გამმათრახებელნი) მოიტანეს დამნაშავეთა საწამებელი იარაღი (რკინის ჯაჭვები, ბორკილები, ბადესაკრავები და ა. შ.). შეიძლება სასამართლოს ამგვარი გარეგნული ფორმა შთაბეჭდილებას ახდენდა სხდომის ზოგიერთ მონაწილეზე, მაგრამ კოლხი სწავლული იურისტები და კოლხები არ გაუკვირვებია რომის სამართალს და მისი წესებით მოწყობილ სასამართლო პროცესს, პირიქით, ინკვიზიციური სასამართლო პროცესის წესების შესაბამისად, როდესაც სიკვდილმისჯილებს „ყელები გადაუჭრეს, მაშინ ყველანი სიბრალულით აღივსნენ და ბრაზობას თავი დაანებეს“. რაც შეეხება კოლხ სწავლულ იურისტებს მათ სასამართლო პროცესზე გამოამყვანეს რომის სამართლის რომაელ სტრატეგოსებზე უფრო ღრმა ცოდნა და მისი შემოქმედებითი გამოყენების უნარი.

კოლხი სწავლული იურისტები უფრო ჯანსაღად აფასებენ სასამართლოს

ჩატარებას არა კოლხეთის სამართლის, არამედ რომის სამართლის მიხედვით კოლხი სწავლული იურისტები ბერძნებისაგან განსხვავებით სასამართლოს მიუთითებენ: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლანდელი სამსჯავროც ხალხის საერთო დიდებისათვის მოაწყეთ, რათა ყველას გაეგო, რომ თქვენ არასოდეს არ გნდომებიათ კოლხებს ასეთი საშინელი ძალადობა განეცადათ“.

კოლხი სწავლული იურისტები საფუძვლიანად იცნობენ იმდროინდელი მსოფლიოს სამართლის სისტემებს, ერთმანეთისაგან ანსხვავებენ სხვადასხვა ქვეყნის სამართალს და მის თავისებურებებს, გვაძლევენ სამართლის ნორმების მეცნიერულ კლასიფიკაციას და მის კრიტერიუმებს, სამართლის სისტემაში არსებული განსხვავების წარმოსაჩენად, ისინი მიუთითებენ ნორმების კლასიფიკაციის შემდეგ ორ კრიტერიუმზე: პირველი, სამართლის ნორმები მათი ეროვნული კუთვნილების მიხედვით: მეორე, სამართლის ნორმები მათი ბუნების, შინაარსისა და გადმოცემის ფორმების მიხედვით.

ეროვნული კუთვნილების მიხედვით სამართლის ნორმები იყოფა ორ კატეგორიად: პირველი, რომის სამართალი და მეორე, ბარბაროსთა სამართალი ანუ მამა-პაპური სამართლის ნორმები, სამართლის ამ კლასიფიკაციაზე ლაპარაკობენ არა მარტო კოლხი სწავლული იურისტები, არამედ ბერძნებიც, კოლხი სწავლული იურისტები ბერძენი მოსამართლის ყურადღებას ამახვილებენ რომაულ სამართალსა და ბარბაროსთა სამართალს შორის განსხვავებაზე, კერძოდ, ისინი ამბობენ „კანონი თქვენი ან ბარბაროსებისა“, აგათია სქოლასტიკოსი წერს, რომ იმპერატორი იუსტინიანე სწორედ ამ განსხვავებას ემყარებოდა, როცა გასცა ბრძანება ბერძენი სარდლების საქმე გარჩეულიყო რომაული სამართლის მიხედვით: ამ განსხვავებაზე წარმოდგენას გვაძლევს, პირველ რიგში, თვით აგათია სქოლასტიკოსის და აგრეთვე კოლხი სწავლული იურისტების მითითებები, საიდანაც ჩანს, რომ რომაული (ბერძნული) სასამართლო პროცესი არის ინკვიზიციური (გამოიყენება წამება) და ამასთან ერთად, შეჯიბრებითი, საჯარო, კერძოდ, „ორივე მხრით კამათი გაიმართება და, რომლის დროსაც სასამართლოს მოსამსახურეები აქეთ-იქით ივლიდნენ, მოაწესრიგებდნენ, რათა თითოეულ მომთხოვნთაგანს წესრიგი დაეცვა“. კოლხეთში სასამართლო პროცესი კი იმართებოდა „საიდუმლოდ, ბარბაროსთა წესით“, გარდა ამისა, რომის სამართალი, რომლის დამუშავება საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა, გამოირჩეოდა მწყობრი სისტემით, „რომაელთა კანონების სიმწყობრე“ განასხვავებს მათ ბარბაროსთა ადათ-წესებისაგან.

ბიზანტიის სახელმწიფო ცდილობს სამართლებრივი ზემოქმედება მოახდინოს კოლხეთზე, მიაღწიოს იმას, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობები წესრიგდებოდეს არა კოლხური, არამედ რომაული სამართლის მიხედვით, ამ ნიადაგზე მიმდინარეობს ბრძოლა ეროვნულ (ქართულ) და ბიზანტიურ სამართალს შორის, ბიზანტია ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს კოლხთა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ყველა ზომას ღებულობდა იმისათვის, რომ „ისინი უფრო მეტად შეჩვეოდნენ რომაელთა მმართველობას“, თავისუფლებისმოყვარე კოლხებისათვის ძნელი შესაგუებელია უცხო სამართლის მიხედვით ცხოვრება, ამიტომ ისინი ცდილობენ თავი დააღწიონ უცხოელთა ბატონობას, აწყობენ აჯანყებებს და ა. შ. აგათია სქოლასტიკოსი გადმოსცემს რა კოლხთა ამ განწყობილებას, წერს: „მთელი ეს ბარბაროსული მოდგმა, თუმცა ის რომაელთა ქვეშევრდომია, მაგრამ თავისი შეხედულებით ძალიან დაშორებულია მათ... ის ისწრაფვის გადატრიალებისა და აჯანყებისაკენ, სანამ სხვის ზღვრული არის, მას არ შეუძლია მშვიდად ცხოვრება“.

კოლხი სწავლული იურისტები კარგად ერკვევიან რომის სამართლის უანსებში, მოხერხებულად იყენებენ რომის სამართლის დადგენილებებს და წესებს რუსტიკუსა და იოანეს ბრალდების დასასაბუთებლად. კოლხი სწავლული იურისტები სასამართლო პროცესზე აცხადებენ, რომ „ჩვენ მიერ შესრულებული იქნება კანონით დაწესებული... მაგრამ თქვენი კანონების მიხედვით თვით აშკარა და უდიდეს უკანონო მოქმედებათა შესახებაც კი მიღებულია, რომ განაჩენი არ იქნეს გამოტანილი, სანამ საქმე არ იქნება გარჩეული სიტყვიერი პაექრობის მიხედვით“.

ამრიგად, კოლხი სწავლული იურისტების შეხედულებით სამართლის კლასიფიკაციის პირველი კრიტერიუმის, ე. ი. ეროვნული კუთვნილების მიხედვით, სამართალი დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად: პირველი, რომელი სამართალი, რომელიც მოქმედებს კოლხეთის სახელმწიფოსთან პოლიტიკურად დაკავშირებულ ბიზანტიაში და მეორე, სხვა ქვეყნების სამართალი, ბიზანტიის დიდმპყრობელური იდეოლოგიის მიხედვით კი დანარჩენი ბარბაროსული ქვეყნების და კერძოდ, კოლხეთის სამართალი, ანუ მამა-პაპური ადათ-წესები. სამართლის ამ ორ სახეს, რომის სამართალსა და ეროვნულს, ამ შემთხვევაში კოლხეთის სამართალს შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრისას, თითოეული ხალხისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ, მამა-პაპურ სამართალს, რადგან იგი ჩამოყალიბებულია მოცემული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე, ასახავს ამ ქვეყნის ხალხის შეხედულებებს, წარმოდგენებს და ა. შ. კოლხი სწავლული იურისტები მიუთითებენ, რომ იქ სადაც „მშობლიური წესები მიწვეებულია... ყველაფერი უწესრიგოდ მიმდინარეობს“.

ზემოთ აღნიშნული სამართლის ორივე სისტემა მუდამ ვითარდება და სრულყოფილი ხდება. მის განვითარებაზე ზეგავლენას ახდენს არა მარტო მოცემული ქვეყნის საშინაო ფაქტორები, არამედ მეზობელი ქვეყნის სამართალი და მისი პროგრესული ინსტიტუტები, ამიტომ ყველა ქვეყნის სამართალს და კერძოდ, რომელს და კოლხურ სამართალს შორის ყოველთვის შეიძლება საერთო ნიშნები, კერძოდ, ერთნაირი ინსტიტუტების არსებობა, ყველა სახის სამართალში გვხვდება იურიდიული აქსიომები, რომელთა მოთხოვნებს აღიარებენ და იცავენ ხალხები, ამ იურიდიულ აქსიომებზე მიუთითებენ ანონიმი კოლხი იურისტები, „რომელი კანონი — თქვენი ან ბარბაროსებისა მოიწონებს ასეთ მდგომარეობას, რომ ჯერ განაჩენი გამოუტანო ადამიანს, და მერე წაუყენო ბრალდება?“

ასეთივე იურიდიულ აქსიომას წარმოადგენს დანაშაულის და სასჯელის თანაბარზომიერება, რომელზეც საგანგებოდ მიუთითებენ კოლხი იურისტები, არ შეიძლება დანაშაული დაუსჯელი დარჩეს, მაგრამ დამნაშავეს უნდა შეეფარდოს მხოლოდ ის სასჯელი, რომელიც კანონშია მითითებული და საერთოდ, სასჯელის განსაზღვრისას უნდა გამოვიდეთ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროებიდან. სასამართლო პროცესზე ისინი მოსამართლის ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ გუბაზის მკვლელებს სასამართლომ უნდა შეუფარდოს „ღირსეული სასჯელი“, უსამართლობა იქნება დამნაშავეებმა „ჩვენი ჩვილი ხასიათით ისარგებლონ და უფრო ნაკლები სასჯელი მიიღონ, ვიდრე მათ მიერ ჩადენილ საქციელს შეეფერება“.

კოლხი სწავლული იურისტები სასამართლო პროცესზე იყენებენ არამარტო საყოველთაოდ გავრცელებულ იურიდიულ აქსიომებს, არამედ სასამარ-

თლო სჯა-პაექრობაში კონკრეტული შემთხვევის სამართლებრივი კვალიფიკაციის დროს ავითარებენ ცნობილი ინსტიტუტების შინაარსს და ამ ინსტიტუტთა თაობაზე მოწინააღმდეგეთა მიერ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს კრიტიკულად აფასებენ. ზემოთქმულის ნათელსაყოფად საკმარისია შევჩერდეთ ისეთ სამართლებრივ ინსტიტუტზე, როგორცაა განზრახვა. ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს წერილში ლაპარაკია დანაშაულებრივ განზრახვაზე, რომელიც ვლინდება შესაბამის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაში. კერძოდ, განზრახვის კანონსაწინააღმდეგო შინაარსის კრიტერიუმს წარმოადგენს დანაშაულებრივი მოქმედება. მხოლოდ განზრახვა არ იძლევა პირის დასჯის საფუძველს. არამედ იგი უნდა გამოიხატოს მის მოქმედებაში, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით დანაშაულადაა დადგენილი.

ბრალდებულები რუსტიკე და იოანე ამტკიცებენ, რომ ჩვენს მიერ გუბაზის მოკვლის ფაქტს კი ნუ აძლევთ მნიშვნელობას, მთავარია ის განზრახვა, რომლითაც ვხელმძღვანელობდით ჩვენ, კერძოდ, მათი მტკიცებით, თითქოს ისინი ხელმძღვანელობდნენ ბიზანტიის სახელმწიფოს განმტკიცების განზრახვით. კოლხი სწავლული იურისტების მტკიცებით, მაშინ, როდესაც შეუძლებელია ქეშმარიტი განზრახვის შინაარსის დადგენა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობით. ბერძენი სარდლების მიერ გუბაზის მოკვლის ქეშმარიტი განზრახვის დადგენა უნდა მოხდეს სხვა კატეგორიების დახმარებით, კერძოდ, იმის გარკვევით, თუ ვისთვის მოაქვს სარგებლობა გუბაზის მოკვლას, ბიზანტიისათვის თუ ბიზანტიის მტრებისათვის. ასეთი კატეგორია არის სარგებლიანობა. კერძოდ, უნდა დადგინდეს გუბაზის მოკვლა ვისთვის არის სასარგებლო. სპარსეთის წინააღმდეგ მძიმე ომში „გონიერ კაცს მოეთხოვებოდა ეზრუნა იმაზე, რომ კარგი მოპყრობის საშუალებით თავისკენ მიეზიდა უცხო და ჯერ კიდევ უცნობი ერები, ამათ კი ისინიც რომაელების მტრებად გადააქციეს, რომლებიც წინათ მათი მაზლობელი მეგობრები იყვნენ“. კოლხი ბრალმძღვანელები მიუთითებენ, რომ სწორედ რუსტიკეს და იოანეს ბრალია, რომ გუბაზის ვერაგულად მოკვლით კოლხები უარს ამბობენ ბიზანტიის მოკავშირეობაზე, ამდენად, ასკვნიან კოლხი სწავლული იურისტები, თუ რუსტიკეს და იოანეს განზრახვას „გაგაშიშვლებთ და გამოვიკვლევთ, ისინი გამოჩნდებიან უბოროტეს მტრებად სპარსელთა სასარგებლო განზრახვების მქონეებად“.

ბერძენი სარდლების რუსტიკესა და იოანეს მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო მოქმედების კვალიფიკაციის დროს კოლხ იურისტებს არც ის იურიდიული აქსიომა გამოჩენიათ მხედველობიდან, რომ არ შეიძლება ჯერ სიკვდილის განაჩენი გამოუტანო ადამიანს, სისრულეში მოიყვანო იგი და ბრალდება წაუყენო მას შემდეგ, როდესაც იგი უკვე აღარ არი ცოცხალთა შორის. კოლხმა სწავლულმა იურისტებმა სასამართლოს ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ბერძენი სარდლები სწორედ ასე მოიქცნენ, ისინი იყვნენ გუბაზის მტრები და ამავე დროს ბრალმძღვანელები და მოსამართლენიც, საყოველთაოდ აღიარებული ზემოთ აღნიშნული იურიდიული აქსიომის თანახმად, ბერძენი სარდლები „სანამ გუბაზს მოკლავდნენ, საჭირო იყო, თუ კი ისინი დარწმუნებული იყვნენ ბრალდებათა სისწორეში, საქვეყნოდ მიეცათ ის სამართალში“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართლის კლასიფიკაციის მეორე კრიტერიუმს წარმოადგენს ნორმების დაყოფა მისი დადგენის, გადმოცემის ფორმისა და იურიდიული ძალის მიხედვით. კოლხი სწავლული იურისტების მტკიც-

ცებით ამ საფუძვლის მიხედვით სამართალი იყოფა შემდეგ ძირითად სახეობებად: ბუნებითი სამართალი და პოზიტიური სამართალი.

ბუნებითი სამართალი, რომელიც აგათია სქოლასტიკოსის ნაშრომის ქართულ თარგმანში ყველგან მოიხსენიება, როგორც ბუნების კანონი, ემყარება ადამიანთა ბუნებისათვის დამახასიათებელ თვისებებს. ბუნებითი სამართლის მოძღვრების ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, რომელმაც ახალ დროში სრული განვითარება ჰპოვა, თ. ჰობსის ნაშრომებში, ადამიანს ბუნებით აქვს თანდაყოლილი შიშის გრძნობა და იგი ეჭვის თვალთ უყურებს მის გარშემო მყოფთ. ადამიანისათვის დამახასიათებელი ამ თვისების გამო „მტკიცედ ვერავის დაეყრდნობი და მუდამ ეჭვითა და შიშით უნდა იყო აღვსილი თვით ძალიან კარგი მახლობლების მიმართაც კი“. კოლხი სწავლული იურისტები სასამართლო პროცესზე იურიდიულ შეფასებას აძლევენ რა ბერძენი სარღლების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ მოქმედებას, მოსამართლის ყურადღებას მიაპყრობენ ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელ ამ თვისებას, რომელსაც ემყარება ბუნებითი სამართალი და მიუთითებენ, რომ გუბაზის მკვლევლები რუსტიკე და იოანე „უნდა ჩათვალოთ უკიდურეს მტრებად, რომლებიც ჩვენგან გამოთიშა ბუნების კანონმა, თუმცა ეს კანონი თქვენგან ხელმოწერილი არაა“. ქართველი სწავლული იურისტები მტრის ცნებას განსაზღვრავენ ბუნებითი კანონის შესახებ იმ დროს არსებული მოძღვრებით და საყურადღებოა, რომ ისინი მიუთითებენ ბუნებითი სამართლის ახალ მხარეებზე. კერძოდ, მათი მტკიცებით, ბუნებითი სამართლით დადგენილი ქცევის წესები ადამიანთა ნებით არაა დადგენილი, ისინი მოქმედებენ იმისაგან დამოუკიდებლად, იგი აღიარებული, დადასტურებული და „ხელმოწერილია“ თუ არა ადამიანთა მიერ, ბუნებითი სამართალი ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. იურიდიული ძალის მიხედვით იგი უმაღლესია, ამიტომაც ადამიანები ასრულებენ და მიჰყვებიან მის წესებს, რომლებიც, ადამიანების მიერ დადგენილი არაა, მაგრამ „ჩვენ მაინც მივყვებით ბუნების კანონს და ეს არის, რომ ყველაფერში იმარჯვებს“.

ბუნებითი სამართლის უმაღლესი იურიდიული ძალის გამო ადამიანები ხელმძღვანელობენ მის მიერ დადგენილი ქცევის წესებით, რაც გამოიხატება მისი მოთხოვნების მიხედვით სახელმწიფოს მიერ პოზიტიური სამართლის ნორმების დადგენაში.

სამართლის მეორე სახე, კოლხი სწავლული იურისტების მითითებით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალია, მისი ბრძანებების შესრულება აუცილებელია საზოგადოების არსებობისათვის, არავის არ აქვს უფლება საკუთარი შეხედულების მიხედვით მოაგვაროს სადაო საკითხები: „არც ჩვენ, არც სხვებმა ამგვარი რამ არ უნდა გავბედოთ, თუ სახელმწიფო კანონების საფუძველზე ვაპირებთ ცხოვრებას“ სახელმწიფო კანონები ანუ პოზიტიური სამართალი მიუთითებს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესობაზე. კერძოდ, მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლება არის უფლებამოსილი სამართლებრივი გზით მოაგვაროს საზოგადოებრივი ურთიერთობები, იგი უკანონოდ აცხადებს იმათ მოქმედებას, რომლებიც მიმართავენ სამაგიეროს გადახდას საკუთარი ძალებით, ყველა სახელმწიფოს, რომელიც ადგენს სამართალს, იგი ნიაჩნია სამართლიან სამართლად, კოლხი იურისტები მიმართავენ მოსამართლეს, რომ თქვენ სახელმწიფოს „ერთგულნი ხართ თქვენი ქვეით და ურყევი, და სამართლიანი კანონებითაც ხელმძღვანელობთ“.

კოლხი სწავლული იურისტები მსჯელობენ პოზიტიური სამართლის სხვადასხვა სახეებზე, კერძოდ, რომის სამართალზე (უცხოურ სამართალზე), ბარბაროსთა სამართალზე, მამა-პაპურ წესებზე (მამა-პაპის ადათზე) ანუ მშობლიურ წესებზე, სამართალი, რომლითაც ბიზანტიელები ხელმძღვანელობენ, არის რომის სამართალი. იგი როგორც ბერძნები მიუთითებენ აგათია სქოლასტიკოსის ნაშრომში, გამოირჩევა მწყობრი სისტემით, ყველა დანარჩენი სამართალი ბარბაროსთა სამართალია, კოლხეთის სახელმწიფოში არსებული სამართალიც ბარბაროსულია. მაგრამ მას ზოგჯერ მამა-პაპური ადათის, ზოგჯერ კი მშობლიური წესების სახელით მოიხსენიებენ. იუსტინიანე თავის წერილში, როდესაც ბერძენი სარდლების ბეზლობას აფასებებს, კოლხეთის სამართალს მამა-პაპის ადათს უწოდებს: „დაუჯერებელი და უცნაურია ის, რაც თქვენ მაცნობეთ, სახელდობრ, თითქოს გუბაზს სურდეს გადაუდგეს მამა-პაპის ადათს და თავის ძველ, ყველაფერში ერთაზროვნე წინამძღოლებს, ესე იგი, რომაელებს, და გადავიდეს მისადმი მტრულად განწყობილ, სრულიად უცხო და სხვა სარწმუნოების მიმდევარ სპარსელთა მხარეზე“. რუსტიკე და იოანე ქედმაღლურად უპირისპირებენ რომის სამართალს კოლხურს და მას ბარბაროსულს უწოდებენ. კოლხი სწავლული იურისტები კი სათანადოდ აფასებენ რომის სამართალს, მიუთითებენ მის მაღალ თეორიულ დონეზე, სრულებითაც არ მიიჩნიათ მისი ნორმების შესრულება ეროვნული ღირსების დამცირებად, მაგრამ ამასთან ერთად სათანადო პატივს სცემენ და თითოეული ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ მშობლიურ, მამა-პაპურ წესებს. ჰუმანისტი კოლხი სწავლული იურისტები გამოდიან ხალხთა და სახელმწიფოთა სამართლებრივი თანასწორობის პოზიციებიდან და სოციალური ურთიერთობის სფეროში წამოჭრილი საკითხების გადაჭრისას უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანთა ბუნებას და მისთვის დამახასიათებელ როგორც თანდაყოლილ, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებათა შესაბამისად შექმნილ თვისებებს.

შუა საუკუნეებში გაბატონებული რელიგიური წარმოდგენები, რა თქმა უნდა, შეადგენს მათი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ნაწილს, მაგრამ საზოგადოებრივი მოვლენების ახსნისას ისინი არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანის გონებას. ჰუმანიზმი კოლხი სწავლულე მსოფლმხედველობის განმსაზღვრელია. კოლხი სწავლულების ჰუმანისტური მსოფლმხედველობამ სრული განვითარება პოვა მოგვიანებით გაერთიანებულ ფეოდალური საქართველოს რენესანსულ იდეოლოგიაში, რომლის ფუძემდებლები არიან დავით აღმაშენებელი, ყუთლუ-არსლანი, შოთა რუსთაველი და სხვები.

პრტი კაბათის ისტორია

1907 წელს ივანე გომართელმა ურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა წერილების სერია — „ნაწევრები წარსულიდან“, სადაც ასეთი აზრი განავითარა: „ბატონუმობის დროს ევროპაში გავრცელებული იყო კანონი პირველი ღამისა. (ეს კანონი საქართველოშიაც შემოვიდა შემდეგ). კანონი მდგომარეობდა იმაში, რომ ყმა, რომ ცოლს შეირთავდა, ბატონს უფლება ჰქონდა პატარაძალთან დაწოლილიყო პირველ ღამეს. ბევრი არ სარგებლობა ამ კანონით, მაგრამ უმეტესი წილი სარგებლობდა“¹.

მართალი იყო თუ არა ივ. გომართელი „პირველი ღამის უფლების“ კანონის საქართველოში არსებობის შესახებ? ამ საკითხმა თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია. ამის ნათელი დადასტურება ის, რომ ასეთმა შეხედულებამ ერთობ ალაშქოთა აკაკი წერეთელი და ისიც დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ივანე გომართელს. „ბატონო ივანე გომართელო! — წერდა აკაკი — თქვენს წერილს „ნაწევრები წარსულიდან“, რომელიც „ცისკარში“ იბეჭდება, სიამოვნებით ვკითხულობ, მაგრამ ერთმა რამემ კი გამაკვირვა: თქვენ სწერთ: „ბატონუმობის დროს გავრცელებული იყო ევროპაში კანონი პირველი ღამისა. კანონი იმაში მდგომარეობდა, რომ ყმა ცოლს შეირთავდა, ბატონს უფლება ჰქონდა პატარაძალთან დაწოლილიყო პირველ ღამეს“. რასაც ევროპის შესახებ ბრძანებთ, ის სწორედ ისტორიული სიმართლეა, მაგრამ რაც საქართველოს შეეხება ის კი მეუცხოვა: როდის და რომელ საუკუნეში უოფილა ეს არაქრისტიანული მოვლენა დაკანონებული? მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სხვებსავით განზრახ ცილს არ შესწამებთ ჩვენს წარსულს და არც უმეტრებით რასმეს ჩაიდნთ. ალბათ გიკვირავთ ხელში რაიმე უტყუარი, დაზამტკიცებელი საბუთი. მე კი უნდა გამოვცადე, ბევრი სხვადასხვა საუკუნეების გუჯარსაბუთები და ისტორიული ნაკვთები მიკითხავს, მაგრამ არსად არ შევყრივარ, რომ არა ქრისტიანული მოვლინება უოფილიყოს ჩვენში დაკანონებული, და ამიტომაც უმოჩრილესად გთხოვთ სცეთ პატივი ჩემს მოხუცებულობას და მიმითითოთ იმ წყაროზე, რომლითაც თქვენ სარგებლობთ; რომ მეც დავრწმუნდე და თქვენთან ერთად შევიზიწლო ის წარსული, როცა ამისთანა ამბები ხდებოდა“².

თავისი შეხედულების სიმართლეში დარწმუნებულმა ივანე გომართელმა (თუმცა მას საამისოდ არავითარი საფუძველი არ გააჩნდა), აკაკის ასე უპასუხა:

„ღრმად პატივცემულო აკაკი! მე ვერ დაგეთანხმებით, ვითომ კანონი და სამართალი ჩვენში ქრისტეს მოძღვრებაზედ უოფილიყოს აგებული. თვით ვახტანგის ჩაქულის დება საქმაოდ მიმტკიცებს, რომ ჩვენში „არაქრისტიანული მოვლინება“ ბლომად უოფილია დაკანონებული. მე არ შემიძლია ამუჟამად, მიგითითოთ, რომელიმე ისტორიულ ნაკვთზე იმ აზრის დასამტკიცებლად, რომელიც თქვენ სიყალბედ მიგაჩნიათ, სამაგიეროდ ბატონუმობა ჩვენში ბევრ მოხუცს კარგად ახსოვს და მათი გადმოცემა ასეთ ახლობელ წარსულზე იგივე ისტორიული დოკუმენტია. თუ ჩემს სიტუვას ერწმუნებით, მე ბევრი მოხუცისაგან გამიგონია; რომ ზოგ-ზოგი ბატონები ჩვენში სარგებლობდნენ პირველი ღამის უფლებით. ხშირად უოფილხართ ქაიხოსრო წერეთლის ქალთან სალომესთან, იმისაგან მე თვითონ გამიგონია ერთი შემთხვევა; როცა ყმას მოუკლავს თავისი ბატონი, რამდენადაც მახსოვს კალატოზიშვილი, როცა ამას აღნიშნული უფლებით სარგებლობა მოუნდომებია“³.

ჩვენი აზრით, ივ. გომართელი მართალი არ არის, როდესაც საქართველოში „პირველი ღამის უფლების“ კანონს ევროპიდან შემოსულად და დაკანონებულად თვლის. ეს მაშინ, როდესაც ასეთი კანონი ან საკანონმდებლო ნორმა ჩვენში არასოდეს უოფილია. ივ. გომართელი კი ერთმანეთში ურევს კანონსა და ამა თუ იმ მეტატონის მიერ ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულის ცალკეულ შემთხვევას. საკვირველია რატომ არ მოაგონდა ივ. გომართელს სხვა

¹ ურნალი „ცისკარი“, 1907, № 7, გვ. 7.

² გაზ. „ისარი“, 1907, № 247.

³ გაზ. „ისარი“, 1907, № 250.

ყურმოკრულ ამბებთან ერთად ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ და ამ მოთხრობის გავლენით დაწერილი სოფრომ მაგლობლიშვილის „ჯორ-ზაქარა“. სადაც მხატვრული ოსტატობითაა ასახული მეზობრეთა მიერ ქალების გაუპატიურების შემთხვევები.

ფიქრობთ, ივ. გომართელმა კარგად არ იცოდა ვახტანგ ხელმძღვანლის კანონი და მისი მოთხოვნები. თორემ ასეთ რამეს არ იტყოდა.

მართლაც, ისტორიულად მაღალი კულტურის მქონე ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველო იყო, ნამდვილად ვერ მოხდებოდა ევროპაში დამკვიდრებული ბარბაროსული კანონის „პირველი ღამის უფლებას“ რეცეფცია, ქართული საერო და საეკლესიო სამართალი ამას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა. აქ არც დაუშვია, მსგავს რეციდივს ქართული ჩვეულებითი სამართალი არ იცნობს.

ავიღოთ, მაგალითად, ვახტანგის კანონი, რომელიც კი არ აღიარებდა და აკანონებდა „პირველი ღამის უფლებას“. არამედ პასუხისმგებლობისაგანაც ათავისუფლებდა ყველას, ვინც თავის ცოლთან მიუსწრებდა კაცს, თუნდაც თავის ბატონს და მოჰკლავდა.

ვახტანგის კანონის #2-ე მუხლში ნათქვამია: „თუ ბატონმა უმის ცოლს უაშუყოს, ან ღამით და ან დღისით და ცოლთან დაწოლად დაახელოს, რა მას კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ მცირე, სისხლი არ გაუჩნდების“.

მაშასადამე, ვახტანგის კანონი არათუ იწყნარებდა რაიმე უფლებას ბატონისას უმა ქალებთან დანაშაულებრივ დამოკიდებულებაში, არამედ ძირშივე ჰკვეთდა ყოველგვარ ძალმომრეობას. ასეთ პირობებში ივ. გომართელს, რა თქმა უნდა, საფუძველი არ ჰქონდა ხწორი პასუხი ნაცვა აკაკის სამართლიანი მოთხოვნისათვის. სამაგიეროდ აკაკიმ საბოლოო და გამანადგურებელი წერილი დაუწერა. აი ეს წერილიც:

„ბატონო გომართელო!

მე თქვენ მოგმართეთ, როგორც სახელგანთქმულ ექიმს, მწერალს, პუბლიცისტს, წრის თვალსაჩინო წევრს და დეპუტატად ნამუოვს, ერთი ხიტუვით, როგორც გონებაგახსნილსა და სწავლა-განათლებელს განვითარებულს, რომ მიგეთითებიათ ჩემთვის იმ ისტორიულ წყაროზე, რომლითაც ხელმძღვანელობდით მაშინ, როცა სწერდით ბატონუმობის დროს „პირველი ღამის უფლება“ საქართველოშიაც იყო დაკანონებულიო...

დიდად გმადლობთ პასუხისათვის, მაგრამ მე კი ხულ სხვას ველოდი და თქვენმა პასუხმა ვერ დამეკმაყოფილა: სიტუვა „დაკანონება“. როგორც თქვენი პასუხიდან ჩანს, მე და თქვენ სულ სხვაგვარად გვემის: მე ის მიმაჩნია „დაკანონებულად, რაც რჯულისდებაში ნებართვით მიღებულია და ან თვით ხალხის წენ და ჩვეულებათაა გადაქცეული, ესე იგი ადათად“. არც ალბუ-სა სამართალში, არც გიორგი ბრწყინვალის კანონ-დებაში, არც ვახტანგის რჯულისდებაში, არც რომელიმე ისტორიულ ნაკვთში არა გვიხანავს რა და მიტომაც მოვიხურვეთ შეტუობა თქვენგან, მაგრამ თქვენ ბრძანებთ, რომ „ბატონუმობის მომსწრე მოხუცებულებიდან გამიგონა და სალომემაც მითხრაო“: მე კი მგონია, რომ მოხუცებულების გადმონაცემი და სალომეს ნაშბობი იურიდიულ მახალად ვერ უნდა გამოდგეს... ეს არის მხოლოდ სოფლური მითქმა-მოთქმა და ეს მითქმა-მოთქმაც უხერხულია...

რალათქმა უნდა რომ არა! — ამას რომ თქვენ თვითონვე ამტკიცებთ? სალომეს რომ გადმოუცია „კალატოზიშვილი გლენბა მოკლაო“, ეს მკვლელობა რას ნიშნავს სხვას, თუ არა იმას, რომ ამგვარი მოვლინება, როგორც „პირველი ღამე“ ეუცხოებოდა ხალხს, საშინელებად მიაჩნდა და თან იკვდილიც მოხდებოდა? თითო ოროლა შემთხვევა, თუ როდისმე მომხდარა, განა ეს ისტორიული დაკანონება? ძალმომრეობა, ბოროტება და საძაგლობა ყოველ საუკუნეში ყოფილა, იქნება და არის, მაგრამ ეს განა მთელ ხალხს შეეხება?

მართლაც, აკაკი წერეთელამდე „პირველი ღამის უფლების“ საკითხზე არსად არაფერი თქმულა, სახელოვანი პოეტი პირველთაგანი იყო, ვინც ნათელი მოგვინა ამ საჩოთირო აშბავს, გაბედულად, ხწორად გადაწყვიტა იგი და დაასახუთა, რომ საქართველოში „პირველი ღამის უფლება“ არა თუ კანონით, არამედ ჩვეულებითი სამართლის სახითაც კი, არასოდეს არსებულა.

ივ. გომართელი ალბათ მიხვდა შეცდომას და თვად შეწყვიტა კამათი ამ საკითხზე აკაკი წერეთელთან. პოეტის აზრსა და იმ დროინდელ პრესაში გამოქვეყნებულ საგანგებო წერილს კი, რომელიც მთლიანად მოვიყვანეთ, დღესაც არ დაუყარავს თავისი მნიშვნელობა, იგი მართლაც დიდებული პასუხია იმ შოარული, უსაფუძვლო ბმებისა, რომელიც, სამწუხაროდ, ზოგჯერ დღესაც გაისმის ხოლმე აქა-იქ.

ვახტანგ სიღამონიძე

⁴ ვახტანგ VI სამართლის წიგნი თინათინ ენუქიძის რედაქციით, 1955, გვ. 62.

⁵ გაზ. „ისარი“, 1907, № 261.

ნოემბრიდან—მაისამდე

კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ მიღებულ იქნა 1989 წლის 18 ნოემბერს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ. ამ კანონით ცვლილებები განიცადა შემდეგმა მუხლებმა: მე-10 მუხლში აღინიშნა, რომ საქართველოში საკუთრების ფორმებია: სახელმწიფო ანუ საერთო-სახალხო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ინდივიდუალური და შერეული საკუთრება. ამასთან განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოში შეიძლება არსებობდეს სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების, საზღვარგარეთის ქვეყნების, მათი იურიდიული და ფიზიკური პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების საკუთრება. მე-11 მუხლით მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სსრ სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე, შავი ზღვის სანაპიროს მიმდებარე კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსები. ბუნებრივ სიმდიდრესთან ერთად საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს შეადგენს წარმოების ძირითადი საშუალებანი მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, სავაჭრო, კომუნალური და სხვა საწარმოთა ქონება, ძირითადი სამოქალაქო საბინაო ფონდი და სხვა ქონება. 96-ე მუხლით გამოცხადდა, რომ საქართველოს სსრ ინარჩუნებს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას, იგი წმინდათა წმინდა და ხელშეუხებელია. ამ უფლების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან საქართველოს სსრ გასულად ითვლება სსრ კავშირის შემადგენლობიდან. იგივე შედეგი მოპყვება უარს დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოთხოვნა სსრ კავშირიდან საქართველოს თავისუფალი გასვლის უფლების შემზღუდველი საკავშირო აქტის გაუქმების ან შეცვლის შესახებ. საკითხს, იზღუდება თუ არა საქართველოს სსრ უფლება სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის შესახებ, წყვეტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, 77-ე მუხლით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ცნობს, რომ ისინი არ შეესაბამება რესპუბლიკის ინტერესებს. ამასთან, წარუდგენს სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს და შესაბამისი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების გამომცემ ორგანოს, წინადადებებს რესპუბლიკის ინტერესებთან მათი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, ეს აქტები არ მოქმედებენ საქართველოს ტერიტორიაზე, მე-10 თავში — „სახალხო დეპუტატთა საბჭოების სისტემისა და მათი საქმიანობის პრინციპების შესახებ“, გათვალისწინებულია, რომ ყველა რგოლის საბჭოს უფლებამოსილების ვადა 5 წელია, საქართველოს, აფხაზეთის და აჭარის უზენაესი საბჭოები და ადგილობრივი საბჭოები ირჩევენ თავიანთ თავმჯდომარეებს და პრეზიდიუმებს. ქნაიან

სახალხო კონტროლის ორგანოებს. მე-11 თავი — „საარჩევნო სისტემა“, აწესებს არჩევნებს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. მე-13 თავი შეეხება საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს, მის კომპეტენციას, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს. ცვლილებები განიცადა აგრეთვე მუხლებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების და სხვათა შესახებ. 1990 წლის 20 მარტს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ დამატებითი ცვლილებები შეიტანა საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-6, მე-7 და 49-ე მუხლებში. ამ ცვლილებების თანახმად კომპარტია საქართველოში, პროფკავშირები, ახალგაზრდული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მასობრივი მოძრაობები თანაბარ საფუძველზე მონაწილეობენ სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში. ისინი მოქმედებენ საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში. დაუშვებელია ისეთი პარტიების, ორგანიზაციებისა და მოძრაობების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანი იქნება კონსტიტუციური წყობისა და რესპუბლიკის მთლიანობის ძალდატანებითი შეცვლა. მისი უშიშროების ძირის გამოთხრა, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივება. საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ გაერთიანდნენ პოლიტიკურ პარტიებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. მონაწილეობა მიიღონ მასობრივ მოძრაობებში.

კანონი საქართველოს სსრ სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების დემუტატების არჩევნების შესახებ მიღებულ იქნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1989 წლის 18 ნოემბერს. მასში მოცემულია საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლება ფარული კენჭისყრით. კანონი ითვალისწინებს ერთპარტიულ საარჩევნო სისტემას, რომლის დროსაც დემუტატობის კანდიდატებს ასახელებენ არა მარტო პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები, არამედ შრომითი კოლექტივები, ამომრჩეველთა კრებები. ჯარის ნაწილები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები და ა. შ. კანონი აწესებს დემუტატთა რაოდენობას სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოში — 140-მდე, რაიონულ საბჭოებში — 45-დან 75-მდე, რესპუბლიკური და საოლქო დაქვემდებარების საქალაქო საბჭოებში — 50-დან 300-მდე, რაიონული დაქვემდებარების საქალაქო საბჭოში — 25-დან 35-მდე, ქალაქის რაიონულ საბჭოში — 75-მდე, სადაბო და სასოფლო საბჭოში 15-დან 40-მდე. კანონი განსაზღვრავს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის წესს, დემუტატობის კანდიდატის დასახელების და რეგისტრაციის, ხმის მიცემის, არჩევნების შეჯამების წესებს და სხვა.

რეგლამენტი სსრკ სახალხო დემუტატთა ყრილობისა და სსრკ უზენაესი საბჭოსი, მიღებულ იქნა სსრ კავშირის სახალხო დემუტატთა ყრილობის მიერ 1989 წლის 20 დეკემბერს. იგი შესდგება 13 განყოფილების, 10 თავისა და 185 მუხლისაგან. მასში განხილულია ყრილობისა და უზენაესი საბჭოს მუშაობის წესი, მოცემულია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგანიზაციული საქმიანობა, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებები, სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის არჩევნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შექმნის პროცედურა, საკანონმდებლო აქტების პროექტების განხილვისა და მიღების თანმიმდევრობა, სახელმწიფო გეგმებისა და უმნიშვნელოვანესი პროგრამების, სახელმწიფო ბიუ-

ჯეტისა და მათი შესრულების ანგარიშების განხილვა, ყრილობისა და უზენაესი საბჭოს მიერ საკონტროლო უფლებამოსილების განხორციელება და სხვ.

სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები მიღებულ იქნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ 1989 წლის 13 ნოემბერს. იგი შესდგება 32 მუხლისაგან და მასში მოცემულია მართლმსაჯულების განხორციელების ისეთი პრინციპები, როგორცაა: მოქალაქეთა თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე, მოქალაქეთა სასამართლო დაცვის უფლება, მართლმსაჯულების განხორციელება კანონის ზუსტი შესაბამისობით, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დაქვემდებარება, ყველა სასამართლოს შექმნა არჩევითობის საფუძველზე, სასამართლო წარმოების ენა, საქმეთა ღიად გარჩევა, ექვემდებარების დაცვის უფლება და უდანაშაულობის პრეზუმფცია და სხვ. საფუძვლები განსაზღვრავს აგრეთვე სასამართლოში საქმეთა კატეგორიებს (სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს), ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული წარმოების მოსამართლეთა საქმიანობას, სასამართლო აპარატის და სხვა საკითხებს. საფუძვლები აწესებს საქმეთა განხილვის კოლეგიურ წესს მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით, ხოლო იმ დანაშაულთა საქმეების განხილვისას, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა ან თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით, განსასჯელის დამნაშავეობის საკითხი შეიძლება გადაწყვიტოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ (სახალხო მსაჯულთა გაფართოებულმა კოლეგიამ).

კანონი სასამართლოს უპატივცემულობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ მიღებულ იქნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ 1989 წლის 2 ნოემბერს. ამ კანონით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა დაწესებული (გ. ს. 1 წლამდე ან ჯარიმა 1000 მან.) მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებზე ზემოქმედებისათვის (რა ფორმითაც უნდა იყოს იგი), კონკრეტული საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვისათვის ხელის შეშლის ან უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მიღწევის მიზნით. ასევე ისჯება მკვლელობის, ძალმომრეობის ან ქონების მოსპობის მუქარა მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის მიმართ, ასევე მათი ახლო ნათესავების მიმართ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით (თ. ა. 2 წლამდე ან გ. ს. იმავე ვადით), მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის შეურაცხყოფა მართლმსაჯულების განხორციელებისას, (გ. ს. 1 წლამდე ან ჯარიმა 300 მან), თანამდებობის პირის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების ან დადგენილების განზრახ შეუსრულებლობა ან მათი შესრულებისთვის ხელის შეშლა (ჯარიმა 300-1000 მანეთამდე). ამ კანონით დაწესებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაც სასამართლოს უპატივცემულობისათვის, რომელიც გამოიხატა სასამართლოში მოწმის, დაზარალებულის, მოსარჩელის, მოპასუხის გამოცხადებაზე ბოროტად თავის არიდებით ანდა თავმჯდომარის განკარგულებისადმი ამ პირების და სხვა მოქალაქეების დაუმორჩილებლობით, ან სასამართლო სხდომის დროს წესრიგის დარღვევით ან სასამართლოში დადგენილი წესების აშკარა უგულვებელყოფით (ადმ. პატი. 15 დღემდე ან ჯარიმა 100 მან.). ასევე ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას იწვევს თანამდებობის პირის მიერ ხელის შეშლა სასამართლოში სახალხო მსაჯულის გამოცხადებისათვის თავისი მოვალეობის შესასრულებლად (ჯარიმა 100 მან.), თანამდებობის პირის მიერ სასამართლოს კერძო განჩინების (დადგენილების)

ან მოსამართლის წარდგინების განუხილველად დატოვება, ან მათში აღნიშნული ღონისძიებების გაუტარებლობა, ისევე როგორც კერძო განჩინებაზე (დადგენილებაზე) ან წარდგინებაზე დაგვიანებული პასუხი (ჯარიმა 200 მან).

1990 წლის იანვრიდან სსრ კავშირში მიღებულ იქნა მრავალი კანონი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრებისათვის. მათგან შევეჩებით ზოგიერთ მნიშვნელოვან აქტს.

კანონი სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ მიღებულ იქნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 8 აპრილს. კანონი აწესებს, რომ მოკავშირე რესპუბლიკის გასვლა სსრ კავშირიდან ხდება მოკავშირე რესპუბლიკაში რეფერენდუმის ჩატარების გზით, რომლის მოთხოვნა შეუძლია როგორც მოკავშირე რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, ისე სრულსაკოვან მოქალაქეთა მეათედ ნაწილს. რეფერენდუმი ავტონომიურ ერთეულებში ცალ-ცალკე ეწყობა, ამასთან მათ უნარჩუნდებათ სსრ კავშირში დარჩენის ან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში ყოფნის საკითხის დამოუკიდებელი გადაჭრის, აგრეთვე თავისი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის საკითხის დაყენების უფლება. იუ მოკავშირე რესპუბლიკაში არის ეროვნული ჯგუფების კომპაქტური ბინადრობის ადგილები, რომლებიც შეადგენენ მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობას. რეფერენდუმის შედეგების განსაზღვრისას ამ ადგილებში კენჭისყრის შედეგები აღირიცხება ცალკე. ამასთან, გამავალმა რესპუბლიკამ უნდა შეათანხმოს საკითხი იმ ტერიტორიების სტატუსისა, რომლებზეც კომპაქტურად ცხოვრობენ ეს ეროვნული ჯგუფები. რეფერენდუმზე მათი ნება-სურვილის გამოხატვის შედეგების გათვალისწინებით. ე. ი. თუ მათ არ სურთ დარჩენა გამავალი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეუძლიათ შეუერთდნენ სსრ კავშირს. გადაწყვეტილება რეფერენდუმის მეშვეობით მიღებულად ითვლება. თუ გასვლას მხარს დაუჭერს ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა სულ ცოტა ორი მესამედი. ამის შემდეგ იწყება 5 წლიანი გარდამავალი პერიოდი სხვადასხვა საკითხების შესათანხმებლად სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან და სსრ კავშირთან. ამ პერიოდის ბოლოს შეიძლება კვლავ მოეწყოს რეფერენდუმი გამავალი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ინიციატივით ან ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა მეათედი ნაწილის მოთხოვნით. თუ რეფერენდუმის შედეგად ვერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება გასვლის შესახებ, ახალი რეფერენდუმი იმავე საკითხზე შეიძლება მოეწყოს წინა რეფერენდუმიდან არაუადრეს 10 წლისა, როგორც ვხედავთ, ეს კანონი სპობს მოკავშირე რესპუბლიკის სსრ კავშირიდან გასვლის უფლებას, ვინაიდან ეს იქნებოდა რესპუბლიკის „ნებაყოფლობით“ თავისი ტერიტორიების ნაწილის ანექსია სსრ კავშირის მიერ, რასაც საქართველო არასოდეს დათანხმდება.

კანონი სსრ კავშირში საკუთრების შესახებ მიღებულ იქნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლი 6 მარტს. იგი უსდგება 6 განყოფილებისა და 34 მუხლისაგან. მასში ცალ-ცალკეა განხილული სსრ კავშირის მოქალაქეთა საკუთრება, კოლექტიური საკუთრება, სახელმწიფო საკუთრება, ერთობლივ საწარმოთა, უცხოელ მოქალაქეთა, ორგანიზაციათა და სახელმწიფოთა საკუთრება. მოქალაქეთა საკუთრებას შეიძლება განეკუთვნებოდეს საცხოვრებელი ბინა, აგარაკი, ნარგავები, სატრანსპორტო საშუალებანი, ფულადი სახსრები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები. საოჯახო მეურნეობის და პირადი მოხ-

მარების საგნები. წარმოების საშუალებები გლეხური და სხვა შრომითი ურნეობის გასაძლელად. წარმოებული პროდუქცია და მიღებული შემოსავალი და სხვა ქონება. კოლექტიურ საკუთრებას განეკუთვნება საიჯარო საწარმოთა, კოლექტიურ საწარმოთა, კოოპერატივების, აქციონერული საზოგადოებების, სამეურნეო საზოგადოებების და ამხანაგობათა, სამეურნეო ასოციაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა გაერთიანებათა საკუთრება, რომლებიც იურიდიული პირები არიან. სახელმწიფო საკუთრებას მიეკუთვნება საერთო-საკავშირო საკუთრება, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრება, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების (კომუნალური) საკუთრება. მე-20 მუხლში ჩაწერილია, რომ მიწა და მისი წიაღი, წყლები, მცენარეული და ცხოველთა სამყარო იმ ხალხის განუყოფელი ქონებაა, რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს, აქ არეულია ხალხისა და სახელმწიფოს საკუთრების ცნება და გატარებულია აზრი მომთაბარე ხალხების მიერ სხვისი ტერიტორიების მშვიდობიანი დაპყრობის შესაძლებლობაზე. სსრ კავშირის საკუთრებად მიჩნეულია არა მარტო თავდაცვის ობიექტები, კოსმოსური სისტემები, სსრ კავშირის ბანკები, არამედ ენერგეტიკული სისტემებიც. მილსადენი ტრანსპორტი, საწარმოები და სამეურნეო კომპლექსები მრეწველობაში, მშენებლობაში, ენერგეტიკაში, ტრანსპორტის ყველა სახეობა (გარდა ავტოტრანსპორტისა), საკავშირო უმაღლესი სასწავლებლები და სხვა ეს ქონება, რომელიც თითქოს მოკავშირე რესპუბლიკებმა უფასოდ გადასცეს სსრ კავშირს. მოკავშირე რესპუბლიკების საკუთრებაში კი რჩება ისეთი ობიექტები, როგორცაა: ისტორიული და კულტურული ძეგლები, სოციალ-კულტურული სფეროს ობიექტები, რესპუბლიკური სადაზღვევო, სარეზერვო და სხვა ფონდები, და სხვა მისთანანი.

კანონი სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ მიღებულ იქნა 1990 წლის 14 მარტს სსრ კავშირის სახალხო დემუტატთა რიგგარეშე III ყრილობაზე. პრეზიდენტის ინსტიტუტი მოსათმენია დემოკრატიულ, მრავალპარტიული სისტემის მქონე ქვეყანაში, სადაც არსებობს სხვადასხვა დაპირისპირებული ძალები, რომლებიც შეაკავებენ პრეზიდენტს ამა თუ იმ საკითხზე თავისუფალი არჩევანის გაკეთებისას. ასეთი ძალები სსრ კავშირში არ არსებობს. პრეზიდენტის ინსტიტუტის გამართლების მიზნით სსრ კავშირის სახალხო დემუტატების ყრილობამ გააუქმა სკკპ ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანოში და ორგანიზაციაში და დაუშვა მრავალპარტიული სისტემის შესაძლებლობა. თუმცა, პარტიების თანაბარი შესაძლებლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში არ გაითვალისწინა, როგორც ეს საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის ცვლილებებშია მოცემული.

კანონმა სსრ კავშირის კონსტიტუციის დაუმატა ახალი 15' თავი — „სსრ კავშირის პრეზიდენტი“, რომლის 127'-127'' მუხლებში გათვალისწინებულია პრეზიდენტის უფლებები. პრეზიდენტი აირჩევა სსრ კავშირის მოქალაქეთა მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით, ხოლო ერთი და იგივე პირი — არაუმეტეს 2 ვადისა. დღეს არ არსებობს კანონი პრეზიდენტის შესახებ, ამიტომ დაუდგენელია, თუ ვის შეუძლია წამოაყენოს პრეზიდენტის კანდიდატურა და როგორ ჩატარდეს არჩევნები. პირველი პრეზიდენტის არჩევნები

ჩატარდა კონსტიტუციის ამ მოთხოვნათა დარღვევით, ხოლო პრეზიდენტის კანდიდატურა წამოაყენა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა. პრეზიდენტის ასარჩევად საჭიროა არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ამომრჩეველთა სულ ცოტა 50 პროცენტმა, ხოლო პრეზიდენტად არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს მთლიანად სსრ კავშირში და რესპუბლიკების უმრავლესობაში ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს. სსრ კავშირის პრეზიდენტი კანონის თანახმად იღებს საჭირო ზომებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის დასაცავად, რაც იმას შეტყვევებს, რომ მოკავშირე რესპუბლიკა სუვერენული არაა, მისი დაცვა სხვაზეა დამოკიდებული. პრეზიდენტს შეუძლია გამოაცხადოს სამხედრო მდგომარეობა ქვეყნის ცალკეულ ადგილებში, ხოლო საგანგებო მდგომარეობას აცხადებს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ან ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს თხოვნით ან თანხმობით. მაგრამ თუ ასეთი თანხმობა არ არის, პრეზიდენტი მაინც აცხადებს საგანგებო მდგომარეობას და ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შეაქვს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში დასამტკიცებლად; პრეზიდენტი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უზენაესი მთავარსარდალია, იგი ნიშნავს და ცვლის სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობას, ანიჭებს უმაღლეს სამხედრო წოდებებს, ნიშნავს სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლეებს. პრეზიდენტი წარუდგენს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს ასარჩევად ან დასანიშნავად, ხოლო ყრილობას დასამტკიცებლად ქვეყნის ისეთი მნიშვნელოვანი თანამდებობის პირების კანდიდატურებს, როგორცაა: სსრ კავშირის მთავრობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი, მთავარი სახელმწიფო არბიტრი; სსრ კავშირის პრეზიდენტს გააჩნია დაყოვნების, ვეტოს (სუსპენზიური ვეტოს) უფლება. კერძოდ, იგი ზელს აწერს რა კანონებს. 2 კვირის ვადაში არ მოაწერს მას ზელს და თავისი საწინააღმდეგო მოსაზრებებით დაუბრუნებს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს ზელახალი განხილვისა და კენჭისყრისათვის. თუ ასეთ კანონს ხმების ორი მესამედის უმრავლესობით პალატები დაადასტურებენ, პრეზიდენტი ვალდებულია ხელი მოაწეროს ასეთ კანონს, მაგრამ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის მეშვეობით მაინც შეუძლია გააპროტესტოს ასეთი კანონი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე; პალატებს შორის უთანხმოებისას ნებისმიერ საკითხზე პრეზიდენტი ჩაერევა მისაღები გადაწყვეტილების შემუშავების მიზნით, ხოლო შეუთანხმებლობისას შეუძლია შეიტანოს წინადადება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევის შესახებ. პრეზიდენტი ქმნის საპრეზიდენტო საბჭოს, რაც მისი სათათბირო ორგანოა; იგი მეთაურობს ფედერაციის საბჭოს; პრეზიდენტს გამოაქვს ბრძანებულებები, რომელთა შესაბამისობა სსრ კავშირის კონსტიტუციისადმი შეუძლია შეამოწმოს კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტმა. პრეზიდენტის გადაყენება შეუძლია მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას, კონსტიტუციისა და კანონების დარღვევისათვის. კომიტეტის დასკვნის გათვალისწინებით ხმების ორი მესამედის რაოდენობით, ყრილობის ან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ინიციატივით, თუ პრეზიდენტს არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება არჩევნებამდე, მისი უფლებამოსილება ეკისრება სსრ კავ-

შორის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს. ხოლო თუ ეს შეუძლებელია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს.

კანონი სსრ კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ მიღებულ იქნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 26 აპრილს. ამ კანონით საბჭოთა ფედერაციის — სსრ კავშირის სუბიექტებია არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკები, არამედ ავტონომიური რესპუბლიკებიც, რაც ეწინააღმდეგება 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულებას სსრ კავშირის შექმნის შესახებ და რომლითაც სსრ კავშირის, როგორც ფედერაციის, სუბიექტებია მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკები. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ფორმირებების ურთიერთობას მოკავშირე რესპუბლიკებთან, რომელთა შემადგენლობაშიც ისინი შედიან, განსაზღვრავს შეთანხმებები და ხელშეკრულებანი, რომლებიც დადებულია კონსტიტუციებისა და ამ კანონის შესაბამისად. როგორც მოკავშირე, ისე ავტონომიურ რესპუბლიკებს და სხვა ავტონომიურ ფორმირებებს შეუძლიათ დაამყარონ ერთმანეთთან ეკონომიკური და სოციალ-კულტურული თანამშრომლობა და დადონ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებანი, მოკავშირე რესპუბლიკას ამ კანონით უფლება აქვს დაამყაროს ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან. დადოს მათთან ხელშეკრულებები, გაუცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში. კანონის მე-6 მუხლში ჩამოთვლილია სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, რომელიც საკმაოდ ვრცელია (შედგება 13 პუნქტისაგან), რომელთა შორის აღნიშნულია ახალი ავტონომიური ერთეულების როგორც შექმნის, ისე არსებულთა სტატუსის შეცვლის დამტკიცება; მაშასადამე, ახალი ავტონომიური ერთეულის შექმნის საკითხი შეიძლება დააყენოს მოკავშირე რესპუბლიკამ, ხოლო ამ ერთეულის სტატუსის შეცვლა ან გაუქმება მას არ შეუძლია სსრ კავშირის თანხმობის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტს. სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური სხვა ფორმირებების, აგრეთვე ეროვნული, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (ეროვნული რაიონებისა და ქალაქების) სამართლებრივი მდგომარეობის ზოგადი საწყისების დადგენა, ავტონომიურ ფორმირებათა და მოკავშირე რესპუბლიკას შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა. სსრ კავშირის შეუძლია მოკავშირე რესპუბლიკასთან შეთანხმების დადების გზით გადასცეს მას თავის ტერიტორიაზე სსრ კავშირის ცალკეულ უფლებამოსილებათა განხორციელება. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს უფლება აქვთ გააპროტესტონ მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებები, მაგრამ არა კანონები, რაც ეწინააღმდეგება კანონს კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ. როგორც ვხედავთ, აღნიშნული კანონი კოლონიისა და დომინიონის უფლებებში აყენებს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს, რაც სხვა ქვეყნებისათვის დიდი ხნის განვლილი ეპოქაა.

კანონი სსრ კავშირის ხალხთა ენების შესახებ მიღებულ იქნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 24 აპრილს. კანონი შედგება 4 განყოფილებისა და 25 მუხლისაგან. კანონი აშკარა პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს რუსულ ენას, რომელსაც სსრ კავშირის ოფიციალურ ენას უწოდებს. რუსული ენა გამოცხადებულია არა რესპუბლიკათაშორისო ურთი-

ერთობის, არამედ ეროვნებათაშორისო ურთიერთობის საშუალებად (მუხლი 4), რაც აბუჩად იგდებს მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ენებს. რუსული ენის შესწავლა სასწავლებლებში სავალდებულოდაა გამოცხადებული (მუხლი 7), ხოლო რესპუბლიკაში დროებით მცხოვრები მოსწავლეები შეიძლება გათავისუფლდნენ რესპუბლიკის ენის შესწავლისაგან. დროებითი ცხოვრება კი ზოგიერთისათვის ათეული წლობით განისაზღვრება. მოქალაქეთა საჩივარზე, წინადადებასა და განცხადებაზე პასუხი სსრ კავშირის სახელმწიფო ორგანოების მიერ გაიგზავნება მოქალაქის მიმართვის ენაზე. მაგრამ თუ არ არის ამის შესაძლებლობა — რუსულ ენაზე. სასამართლო დოკუმენტები ეძლევათ საქმის მონაწილე პირებს სასამართლო წარმოების ენაზე, აგრეთვე მათი მოთხოვნით მშობლიურ ან რუსულ ენაზე. პიროვნების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები გაიცემა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ენაზე და რუსულ ენაზე. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სხდომაზე დეპუტატებს, რომლებიც არ ფლობენ რუსულ ენას, შეუძლიათ გამოვიდნენ სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენაზე თარგმანის უზრუნველყოფით. რესპუბლიკაში აქტები ქვეყნდება რესპუბლიკის ენაზე, მაგრამ მასში მცხოვრები ხალხების ინტერესების სავალდებულო გათვალისწინებით, აგრეთვე რუსულ ენაზეც (მუხლი 16). საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის და სხვა სახეობის მომსახურების მუშაკები მოვალენი არიან მოემსახურონ მოქალაქეებს მათ ენებზე, მომსახურებაზე უარის თქმა ენის არცოდნის საბაბით დაუშვებელია (მუხლი 13). მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკებში, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ბლანკები, ბეჭდები, შტამპები, შტამპელები, დასაწვლებების აბრები ფორმდება შესაბამის მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების ენებზე და რუსულ ენაზე. უცხოენოვანი მოსახლეობის კომპაქტური ბინადრობის ადგილებში, მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკების ენასთან ერთად სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში, დოკუმენტაციის გაფორმებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ამ ადგილას მოსახლე უმრავლესობის ენა (მუხლი 19). საკავშირო მნიშვნელობის ენერგეტიკულ და სატრანსპორტო სისტემებში გამოიყენება მხოლოდ რუსული ენა.

კანონი სსრ კავშირში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ მიღებულ იქნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 9 აპრილს. კანონი შედგება 4 კარისა და 27 მუხლისაგან. იგი განმარტავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა მოიცავს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებს (მიკრორაიონის, საცხოვრებელი კომპლექსების საბჭოებს და კომიტეტებს, სახლის, ქუჩის, უბნის, სადაბო, სასოფლო კომიტეტებს და სხვა ორგანოებს), აგრეთვე ადგილობრივ რეფერენდუმებს, კრებებს, მოქალაქეთა ყრილობებს, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებს, სოფლებს, დასახლებულ პუნქტებს, დაბებს, ქალაქებს, თავიანთი უფლებებისა და ინტერესების უფრო ეფექტიანი განხორციელების მიზნით, შეუძლიათ გაერთიანდნენ ასოციაციებად. ადგილობრივი საბჭოები თავიანთ ტერიტორიაზე კოორდინაციას უწევენ ადგილობრივი თვითმმართველობის მთელი სისტემის საქმიანობას. კანონის მე-6 მუხლი აწესებს, რომ საბჭოებს შეუძლიათ თავიანთი უფლებამოსილების ნაწილი გადასცენ ტერიტორიულ-საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებს. თუმცა, კონკრეტულად ამ საკითხზე კანონში არაფერია ნათქვამი და სინამდვილეში მათ არა-

ვითარი სახელმწიფოებრივი ფუნქცია არ გადაეცემათ. ამიტომ საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები სსრ კავშირში გაურკვეველ მდგომარეობაში არიან. კანონი ყურადღებას ამახვილებს სამეურნეო საქმიანობაში მოსახლეობის ჩაბმაზე, სადაც ადგილობრივი საბჭო სამეურნეო ურთიერთობათა რეგულატორად გვევლინება. იგი განსაზღვრავს, რომ ადგილობრივ საბჭოს რჩება ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი და გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხები. გარდა ამისა, ადგილობრივი საბჭოები ქმნიან არასაბიუჯეტო ფონდებს, რომლებშიც შედის: დაზოგვილი საფინანსო რესურსები, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა შეწირულობანი, ფულისა და ნივთების ლატარიების, აქციების და სხვა საშუალებებით მიღებული შემოსავალი, ჯარიმა საწარმოებზე ფასების წამატების გამო, ჯარიმა ბუნების გაქუჩყიანების, არარაციონალურად გამოყენებისა და ბუნების დაცვის კანონმდებლობის სხვა დარღვევების გამო. ჯარიმები ადგილობრივი საბჭოს ტერიტორიაზე ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, სახალხო კონტროლის მიერ დაკავებული ფულადი დანარიცხები. ადგილობრივ საბჭოებს კანონი უფლებას ანიჭებს ჩამოაყალიბონ სავალუტო ფონდები საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა სავალუტო ამონაგებისაგან სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების მიხედვით მიღებული ანარიცხების ხარჯზე. საბჭოებს უფლება აქვთ თავიანთი საფინანსო რესურსების ნაწილი გადასცენ ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

კანონი საგანგებო წესების სამართლებრივი რეჟიმის შესახებ მიიღო სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 8 აპრილს. კანონი განმარტავს, რომ საგანგებო წესები ცხადდება მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის სტიქიური უბედურების, დიდი ავარიების ან კატასტროფების, ეპიდემიების, ეპიზოტტიების, აგრეთვე მასობრივი არეულობის დროს. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ადგილებში საგანგებო წესებს აცხადებს მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ან მისი პრეზიდიუმი, რასაც ატყობინებს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს, სსრ კავშირის პრეზიდენტს. ამ უკანასკნელს დამოუკიდებლად შეუძლია გამოაცხადოს რესპუბლიკაში საგანგებო წესები, ხოლო მთელს სსრ კავშირში მის უზენაეს საბჭოს. კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საგანგებო წესების პირობებში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს შეუძლიათ: გააძლიერონ საზოგადოებრივი წესრიგისა და ობიექტების დაცვა, დროებით გაასახლონ მოქალაქენი საცხოვრებლად საშიში რაიონებიდან, შემოიღონ შესვლა-გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი. გააძევენ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვეენი, რომლებიც მოკემულ ტერიტორიაზე არ ცხოვრობენ, დროებით ჩამოართვან მოქალაქეებს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი, აკრძალონ კრებები, მიტინგები, დემონსტრაციები და სხვა მასობრივი ღონისძიებები, დააწესონ საწარმო-დაწესებულებათა მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი, აკრძალონ მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნა სამუშაოდან საპატიო მიზეზის გარეშე, ჩააბან შრომისუნარიანი მოქალაქენი საწარმო-ორგანიზაციათა მუშაობაში, აგრეთვე საგანგებო ვითარების ლიკვიდაციაში, შეზღუდონ ან აკრძალონ იარაღის, შხამიანი ნივთიერებების, სპორტიანი სასმელებით ვაჭრობა. შემოიღონ, კარანტინი, შეზღუდონ ან აკრძალონ გასამრავლებელი აპარატების, რადიოს, ტელევიზიის და სხვა ტექნიკის გამოყენება. შემოიღონ კავშირგაბმულობის განსაკუთრებული წესები. შეზღუ-

ღონ ტრანსპორტის მოძრაობა და მოაწყონ მათი გასინჯვა, შემოიღონ კომენ-
დანტის საათი. რომლის შინაარსსაც კანონი არ იძლევა. კომენდანტის საათის
დროს კანონის მე-7 მუხლით მოქალაქეებს აკრძალული აქვთ სპეციალური საშ-
ვეებისა და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე იყვნენ
ქუჩებში ან სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ან გამოვიდნენ თა-
ვიანთი ბინის ფარგლებს გარეთ. ამ წესის დამრღვევნი შეიძლება დააკავონ
კომენდანტის საათის დამთავრებამდე ან მათი პიროვნების დადგენამდე, მაგ-
რამ არა უმეტეს 3 დღისა. ამ დროს ისინი შეიძლება პირადად გასინჯონ. გა-
უსინჯონ ნივთები, აღნიშნული დარღვევები გამოიწვევს ჯარიმას 1000 მანე-
თამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე. ყოველივე ეს ეწინა-
აღმდეგება სსრ კავშირის ადმინისტრაციული კანონმდებლობის 1980 წლის
23 ოქტომბრის საფუძვლებს. პროვოკაციული ხმების გავრცელება, ეროვნუ-
ლი შუღლის ჩამოგდება, ჯიუტად დაუმორჩილებლობა და სხვა მისთანანი, იწ-
ვევს 1000 მანეთის ჯარიმას ან 30 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას, ხო-
ლო აკრძალული გაფიცვის ხელმძღვანელობა, საწარმო-დაწესებულების მუშა-
ობისადმი წინააღმდეგობა — სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას 10000
მანეთის ჯარიმის ან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთის სახით. გამონაკლის
შემთხვევებში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ან პრეზიდენტის გადაწყვეტი-
ლებით შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებთან ერთად შეიძლება
გამოყენებულ იქნენ, აგრეთვე, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და
სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარის ნაწილები. თუ სახელმწიფო ხე-
ლისუფლებისა და მმართველობის ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ საგან-
გებო წესების პირობებში თავიანთი ფუნქციების ჭეშოვან განხორციელებას,
სსრ კავშირის პრეზიდენტს შეუძლია შემოიღოს დროებითი საპრეზიდენტო
მმართველობა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამისი
ორგანოების უფლებამოსილებათა შეჩერებით. სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს
ენიჭება უფლება საგანგებო წესების პირობებში შეცვალოს სამოქალაქო და
სისხლის სამართლის საქმეთა კანონით დადგენილი ტერიტორიული განსჯა-
ლობა.

ვალერი ლორია.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვაჟა ჯაოუვილი

სასამართლო ექსპერტიზის პროცესუალური ინსტიტუტის სრულყოფისათვის

სასამართლო ექსპერტიზის ინსტიტუტის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის შემადგენელი ნაწილის სრულყოფა უნდა ეფუძნებოდეს დემოკრატიულ პრინციპებს, მათ შორის შეჯიბრებითობის პრინციპს.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიმაჩნია, საქართველოს სამართალწარმოების კანონმდებლობის რეფორმისას გათვალისწინებული იქნეს შემდეგი გარემოებანი.

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ექსპერტიზის დანიშვნის დროს ბრალდებულს უფლება აქვს აცილებას მისცეს ექსპერტს, მაგრამ, როდესაც ექსპერტიზა ინიშნება საექსპერტო დაწესებულებაში, გამოძიებელი და სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას ბრალდებულს გააცნოს ექსპერტის ვინაობა, რადგან იგი არც მათ იციან. საქმე ისაა, რომ კანონმდებელმა კონკრეტული ექსპერტის ამორჩევის ფუნქცია მიაკუთვნა საექსპერტო დაწესებულების უფროსს, რაც ლოგიკურია. თუ გაეთვალისწინებთ იმას, რომ ექსპერტიზების ძირითადი რაოდენობა სწორედ სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებებში ტარდება, გასაგები ხდება ამ საკითხის მნიშვნელობა: ბრალდებულის უფლების რეალურად განსაზღვრელობად მიზანშეწონილი იქნებოდა გამოგვეყენებინა სხვა ქვეყნების გამოცდილება, მაგალითად, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 157-ე მუხლი ითვალისწინებს სიის არსებობას სასამართლო ორგანოებში¹. ჩვენც შეგვეძლოს შემოგვეტო წესი, რომლის თანახმადაც საექსპერტო დაწესებულებები გადასცემდნენ ექსპერტიზის დანიშნავ ორგანოებს ექსპერტების სიებს, რაც შესაძლებლობას მისცემდა წინასწარი გამოძიების ორგანოს ექსპერტიზის დანიშვნისას გაეცნო ბრალდებულისათვის ამა თუ იმ სპეციალობის ექსპერტების სია, რომელთაც უნდა დაევალოთ ექსპერტიზის ჩატარება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბრალდებული აცილებას მისცემდა რომელიმე მათგანს, ცხადია, აქ არ გვაქვს საქმე უშუალოდ აცილებასთან, ვინაიდან კონკრეტული ექსპერტი ჯერ არ დანიშნულა, მაგრამ ფაქტიურად ასეთი წესი უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლების დარღვევის თავიდან აცილებას.

ასეთი წესი შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც ახალ მუხლში, ასევე და-

¹ საფრანგეთის კანონმდებლობით წინასწარ გამოძიებას აწარმოებს სასამართლოს თანამდებობის პირი — საგამოძიებო მოსამართლე.

მატების სახით ექსპერტის აცილების მომწესრიგებელ საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლში

2. სასამართლო ექსპერტიზის პროცესუალურ ინსტიტუტში საჭიროა გამოიკვეთოს შეჯიბრებითობის და მხარეთა პროცესუალური თანასწორუფლებიანობის ფუძემდებლური პრინციპი.

ამ თვალსაზრისით, საჭიროდ მიმაჩნია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლის მესამე ნაწილში ჩამოთვლილ პირებს მიეცეთ უფლება დამოუკიდებლად მიიღონ და წარუდგინონ სასამართლოს მტკიცებულება, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა სპეციალურ კვლევაზე². ეს შეიძლება იყოს ექსპერტის დასკვნა, სპეციალისტის ცნობა, კონსულტაცია თუ სხვა დოკუმენტი — მთავარია, რომ ამ საბუთს ჰქონდეს სასამართლო მტკიცებულების სტატუსი და კანონით დაშვებული იყოს მისი მიღების წესი. კარდინალური ნაბიჯი იქნებოდა ზემოთჩამოთვლილი პირებისათვის უფლების მინიჭება მოიწვიონ თავისი ექსპერტი, როგორც ეს ზოგიერთ ქვეყანაშია მიღებული.³ ვფიქრობ შეჯიბრებითობა ხელს შეუწყობდა ექსპერტის დასკვნის, როგორც სასამართლო მტკიცებულების ობიექტურ შეფასებას.

საქმე ისაა, რომ საექსპერტო დასკვნის, როგორც მტკიცებულების, შეფასება ითვალისწინებს საექსპერტო კვლევის მეცნიერული საფუძვლებისა და გამოყენებული მეთოდის სისწორის შემოწმებას, რაც თავის მხრივ მოითხოვს ღრმა ცოდნას ექსპერტიზის ამა თუ იმ სახეობაში, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საექსპერტო კვლევისას გამოიყენება სულ უფრო და უფრო რთული მეთოდები, უახლესი ანალიტიკური მანქანა-დანადგარები, მათემატიკური აპარატი და თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკა. დასკვნის არაუმეცხტაციის „ენა“ სულ უფრო ძნელად გასაგები ხდება არასპეციალისტისათვის, მათ შორის პროცესის მონაწილეებისათვისაც, ასეთი ტენდენცია აუცილებლად ბადებს ე. წ. „მეცნიერი მოსამართლის“ ფიგურას, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, იჭმნება სასამართლო ექსპერტიზის დარგში ტექნოკრატიის რეალური საშიშროება, მართალია ექსპერტის გადაზრდას „მეცნიერ მოსამართლის“ ფიგურაში ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი, მაგრამ ეს იძლევა მხოლოდ უფლებას არ მივიღოთ საექსპერტო დასკვნა, მართლმსაჯულებას კი სჭირდება დასკვნის შინაარსის, მისი დასაბუთებულობის შეფასების საშუალება.

აქ, ვფიქრობ, არის ერთადერთი გამოსავალი — შეჯიბრებითობის პრინციპის გავრცელება ექსპერტიზის პროცესუალურ ინსტიტუტზე, ყველა ჩვენი ორგანიზაციული, თუ სხვა ხასიათის ღონისძიება საექსპერტო დასკვნის ხარისხის ამაღლების საკითხში ნაკლებად ეფექტიანი იქნება, სანამ არ იარსებებს რეალური შეჯიბრებითობა ექსპერტებს შორის, როდესაც მხარეებს უფლება ექნებათ ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის მიღებისა, მაშინ სა-

² ასეთი უფლება შეიძლება იქნეს შეზღუდული თუ სასამართლო ჩათვლის, რომ ამით არღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები (თუ ექსპერტიზა დაკავშირებულია პიროვნების მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენებასთან და ა. შ.).

³ სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების დროს შეჯიბრებითობის პრინციპი მოქმედებს ინგლისში, აშშ-ში, ავსტრალიაში, ინდოეთში და სხვა ე. წ. სამართლის ინგლის-ამერიკული სისტემის ქვეყნებში. ასეთი პრინციპის არსი იმაშია, რომ მხარეებს აქვთ უფლება მოიწვიონ სასამართლო პროცესზე თავისი ექსპერტები დასკვნის მისაცემად და მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტის მიერ შედგენილ დასკვნის ობიექტურობის შესამოწმებლად.

სამართლო პროცესზე მხარეების ექსპერტები იძულებულნი იქნებიან ტვიციონ თავისი დასკვნის უპირატესობა და დასაბუთებულობა სასამართლოს წინაშე და ვინაიდან ობიექტებად გამოვლენ თვით მოწინააღმდეგე მხარეების ექსპერტები. ეს გამოირიცხავს ყოველგვარ ზედაპირულობას.

3. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია ე. წ. „განმეორებითი“ ექსპერტიზის დანიშვნა. ასეთი ექსპერტიზა დანიშნება ორ შემთხვევაში: როცა პირველადი დასკვნა დაუსაბუთებელია, ან მისი სისწორე საეჭვოა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განმეორებითი ექსპერტიზის მიზანია გადაამოწმოს არსებული დასკვნა და მას დაუპირისპიროს ალტერნატიული ახალი დასკვნა. თუ ასეა, მაშინ ტერმინი „განმეორებითი“ ვერ გამოხატავს ამ ექსპერტიზის არსს. მეორეს მხრივ, კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებულია ე. წ. დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნა აგრეთვე ორი მოტივით: თუ დასკვნა არ არის საკმარისად ნათელი ან თუ იგი არასრულია. ვფიქრობ, რომ აქ საქმე გვაქვს ფაქტიურად შემდეგ სიტუაციასთან: თუ დასკვნა არ არის ნათელი, ალბათ, გაუგებარი მომენტების განმარტება შეიძლება დაკითხვის სახით, რაც შეეხება მეორე მოტივს, როცა დასკვნა სრული არ არის, აქ ჩემის აზრით, საქმე გვაქვს დაუსაბუთებლობის კერძო შემთხვევასთან. ამ შემთხვევაში სახეზეა განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის მოტივი. ანალიზი ადასტურებს ამ საქმეში არსებულ გაუგებრობას: პრაქტიკაში ე. წ. დამატებით ექსპერტიზას ნიშნავენ მაშინ, როდესაც მოიპოვებენ დამატებით მასალას (დამატებით ნიმუშებს, დამატებით კვლევის ობიექტს და ა. შ.) მაგრამ ეს ხომ ცნებების შეცვლაა — ასეთი ექსპერტიზა ფაქტიურად წარმოადგენს ახალ ექსპერტიზას. ვინაიდან წარმოებს ახალი ობიექტის კვლევა და ამიტომ კანონში არსებული მოტივი — კვლევა არ იყო სრული — ასეთ შემთხვევაში არ არსებობს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნებოდა კანონმდებლობაში შეტანილიყო ცვლილებები, 70-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „თუ სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი ან მომკვლვეი პირი არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას იმ მოტივით, რომ იგი დაუსაბუთებელია ან ეჭვი აქვთ შეტანილი მის სისწორეში, შეიძლება დანიშნოს კონტრექსპერტიზა, რაც სხვა ექსპერტს ან სხვა ექსპერტებს დაევალებათ, ხოლო თუ იგი სათანადოდ ნათელი არ არის, შეიძლება ექსპერტს მოეთხოვოს წერილობითი განმარტება. ასეთი განმარტების მომზადების დროს ექსპერტს ეკრძალება ახალი კვლევის ჩატარება“.

4. როგორც ცნობილია სსრკ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერების და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტმა განიხილა პროექტი კანონისა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალ-წარმოების საფუძვლებში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ. ამ კანონპროექტით, სხვა ღონისძიებათა შორის, გათვალისწინებულია სატელეფონო საუბრების საიდუმლო ყურისგდება პროკურორის სანქციით იმ პირობებში, როცა დასაბუთებული მონაცემებით ცნობილია, რომ ჩადენილია მძიმე დანაშაული. დადგენილია, რომ ასეთი ჩანაწერები დაიშვება სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების სახით. ამგვარ მოქმედებას ზოგიერთ ქვეყანაში პროცესუალური სტატუსი აქვს მინიჭებული. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მიხედვით სასამართლოს აქვს უფლება გაცეს ბრძანება ფარულად ყურის გდებისა და მაგნიტოფონზე ჩაწერის შესახებ, შემდგომში სასამარ-

თლო მტკიცებულების სახით გამოყენების მიზნით. ასეთი ღონისძიებების შემოღება, შესაძლოა, ერთი შეხედვით სადავო იყოს. მაგრამ, ვფიქრობ, აუცილებელია გავითვალისწინოთ რეალური მდგომარეობა, როგორც მძიმე დანაშაულის ზრდის ფაქტი. ასევე მოქმედ პროცესუალურ კანონმდებლობაში არსებული დისბალანსები.

დარწმუნებული ვარ, რომ ყველა შემთხვევაში საჭიროა გარკვეული სიმეტრიის შენარჩუნება ბრალდებისა და დაცვის ფორმებს შორის, კერძოდ კი აუცილებელია ასეთი მტკიცებულების ობიექტურობის გადამოწმების დამატებითი საშუალების გამოძებნა.

ამიტომ მიმაჩნია, რომ ასეთი სერიოზული ცვლილებების შეტანა დამატების სახით კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ უნდა მოხდეს ერთიანი კონცეფციით შემუშავებულ ახალ კოდექსში მისი ბუნებრივი შერწყმა სხვა ნორმებთან. მაგრამ თუ კანონმდებელი გადაწყვეტს ჰაინც და მაინც ამ ნოველის დამატების სახით შეტანას მოქმედ კანონმდებლობაში, ჩემის აზრით, აუცილებელია ასეთი დამატების სხვა ცვლილებებთან ერთიანი პაკეტით შეტანა.

კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლს, სადაც მოცემულია ექსპერტიზის ჩატარების სავალდებულო შემთხვევების ჩამონათვალი, საჭიროა დაემატოს პუნქტი 5 შემდეგი რედაქციით: „ადამიანის მეტყველების მაგნიტოფონზე ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით გაკეთებული ჩანაწერით მისი პიროვნების დასადგენად“.

ასეთ შემთხვევაში შეიძლება აღნიშნულ ფონოგრამაზე არსებული ადამიანის ხმისა და მეტყველების მიხედვით ობიექტურად დადგინდეს მოლაპარაკის პიროვნება. საქართველოში 1982 წლიდან ტარდება სასამართლო ფონოსკოპიური ექსპერტიზა, რომელსაც საფუძვლად უდევს მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკაში აპრობირებული ხმის ჩანაწერით პიროვნების იდენტიფიკაციის მეთოდი. ქართველ მეცნიერებს პრიორიტეტი აქვთ ამ დარგში, აღნიშნული მეთოდით გაცემულია 70-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა¹, რომლებმაც ჰპოვეს თავისი დადასტურება სასამართლო გადაწყვეტილებებში. საერთოდ აღსანიშნავია, რომ ფონოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარების პროცესში გამოიყენება პარლელური კვლევა: მანქანური წესის გამოყენებით იკვლევენ ხმის ფიზიკურ პარამეტრებს, ხოლო აუდიტორიული კვლევით ანალიზი უკეთდება მეტყველების ნიშნებს. შეცდომის გამორიცხვის მიზნით მანქანაში (გამოიყენება ავტომომის სისტემის თანამედროვე ეგმ) შეაქვთ როგორც გამოსაკვლევი და ნიმუშად წარმოდგენილი ფონოგრამები, ასევე საექსპერტო მონაცემების ბანკში არსებული მსგავსი ხმის მქონე პიროვნების ფონოგრამა.

შეჯობრებითობის პრინციპის შემოღება სასამართლო ექსპერტიზის ინსტიტუტში და ფონოგრამის ექსპერტიზის ჩატარების სავალდებულოდ მიჩნევა, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს სამეცნიერო-ტექნიკური შესაძლებლობების ეფექტურ გამოყენებას მართლმსაჯულებაში.

¹ ფონოსკოპიური ექსპერტიზები ტარდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იაპონიაში. მაგალითად იაპონიაში ჯერ კიდევ 1980 წელს პოლიციის მეცნიერებათა ნაციონალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის აქუსტიკურ განყოფილებაში ჩატარებული იყო 296 ფონოსკოპიური ექსპერტიზა.

პირობი ხუზაა

სამართალი და კანონი

სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს სამართლის ზოგად თეორიაში დამკვიდრებული მთელი რიგი შეხედულებების ახლებურ გააზრებას. უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება სამართალსა და კანონს შორის ურთიერთკავშირის საკითხს.

აღნიშნულ პრობლემას გააჩნია ორი ასპექტი: ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური.

ონტოლოგიურ ასპექტში მკვლევარები რამდენადმე ერთსულოვანი არიან და აღიარებენ, რომ კანონი არის სამართლის გამომხატულების ერთ-ერთი ფორმა. ჭერჭერობით სადავოა საკითხი თუ რომელი ცნების ხმარება არის უფრო მიზანშეწონილი — სამართლის წყაროს თუ სამართლის ფორმის.¹

გაცილებით უფრო რთულია საკითხი სამართალსა და კანონს შორის არსებული ურთიერთკავშირის გნოსეოლოგიური მხარის შესახებ. ამ ასპექტში ცალკეული ავტორები სამართალს განიხილავენ საზოგადოების სოციალურ-ნორმატიული რეგულირების საერთო სისტემის შემადგენელი ელემენტის სახით და მიიჩნევენ, რომ სამართალი ყალიბდება მის საკანონმდებლო გაფორმებისაგან დამოუკიდებლად. ადამიანთა სოციალურ-ისტორიული მოღვაწეობის პროცესში.

ამ ავტორების აზრით, კანონი არის სამართლის ყველაზე უფრო კონკრეტული ფორმა, სამართლის ცნების კონკრეტიზაციის ის სტადია, როცა სამართალი, გარდა მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი ნიშნებისა, იძენს ახალ თვისებებს — ლეგულობს კანონიერ ძალას, სახელმწიფო მას ოფიციალურად აღიარებს, რის შედეგადაც იგი წარმოგვიდგება როგორც კანონით დადგენილი სამართალი².

ამ მოსაზრებას პრინციპულად არ იზიარებენ სამართლის ვიწრო-ნორმატიული, ეტატიისტური ანუ ლეგისტური გაგების მომხრეები. მათი აზრით, იურიდიულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით ამ ბოლო პერიოდში, შეიმჩნევა გადახრა წმინდა სახის გნოსეოლოგიისაკენ, რაც არავითარ შემთხვევაში არ უწყობს ზელს იურისპრუდენციისათვის პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე პრობლემების გადაწყვეტას. პროფ. რ. ხალფინა ეკვს გამოთქვამს, რომ სამართალსა და კანონს შორის არსებული განსხვავების აღიარებას არ ძალუძს რაიმე გავლენა იქონიოს მოქმედი კანონების სრულყოფასა და მეცნიერული

¹ იხ. გ. ინჭორველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., თსუ გამომცემლობა, 1979, გვ. 292.

² См.: Нерсесянц В. С., Право в системе социальной регуляции (История и современность), М., «Знание», 1986, с. 47.

დონის ამალღებაზე, მისი აზრით, არაფერი არ შეიცვლება იმით, თუ მოქმედი კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მორალურ ნორმებს, გამოცხადდება ისეთ კანონად, რომელიც არ შეესაბამება სამართალს³.

პროფ. რ. ლევშიცის აზრით, სამართლებრივ სახელმწიფოში კანონი უნდა შეესაბამებოდეს სამართალს და, რომ სამართლის ცნება უფრო ვიწროა, ვიდრე კანონის, რადგანაც ყველა კანონი არ არის სამართლიანი. მეორე მხრივ კი სამართალი უფრო ფართოა კანონზე, რამდენადაც იგი მოიცავს კანონით რეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემასაც⁴.

გფიქრობთ, რომ პრობლემის მსგავსი სახით განხილვა, როდესაც სამართალსა და კანონს შორის მიმართების საკითხი არსებითად დაყვანილია კანონის მართლზომიერების, მისი სამართლიანობისა თუ უსამართლობის კრიტერიუმამდე და როცა მთლიანად სამართლის ცნება (კანონთან მიმართებაში), მხოლოდ ამ კრიტერიუმის პოზიციებიდანაა გააზრებული, არ უნდა იყოს მართებული.

მით უფრო მიუღებელია სამართალსა და კანონს შორის არსებული თვისობრივი ხასიათის განსხვავებათა იგნორირება, რაც დამახასიათებელია საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში დამკვიდრებული პოზიტივისტური აზროვნებისათვის. ასეთი მიდგომა სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგად კონცეფცი-აში წარმოშობს მრავალ თეორიულ, ხასიათის სიძნელეს.

კერძოდ, სამართლის ვიწრო-ნორმატიული ცნებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების ერთობლიობა. შეუძლებელია ლოგიკურად დასაბუთდეს სახელმწიფოს იურიდიულ შესაძლებლობათა საზღვარი, სახელმწიფოს მიმართ სამართლის დამოუკიდებელი, ავტონომიური ღირებულების უარყოფა კი, ფაქტობრივად, გამოორიცხავს სამართლის მიერ სახელმწიფოს შებოჭვის შესაძლებლობას, ან, უკეთეს შემთხვევაში, უშვებს მხოლოდ სახელმწიფოს თვითშებოჭვას გარდა ამისა. ასეთი მიდგომა თეორიულად ამართლებს საზოგადოებისადმი სახელმწიფოს პატერნალისტურ დამოკიდებულებას, ე. წ. ოქტროირებული, პიროვნებისათვის სახელმწიფოს მიერ „ნაჩუქნი“ უფლებების არსებობას.

სამართლისა და კანონის ცნებათა გაიგივებისას უნდა ვალიაროთ სამართლებრივი სახელმწიფოსა და კანონიერების სახელმწიფოს იდენტურობაც, მაშინ, როცა, სინამდვილეში, ისინი დიამეტრალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი მთელი რიგი პარამეტრები ვერ ექცევა კანონის შედარებით რაციონალური კატეგორიის ჩარჩოებში. არც კანონებისადმი სახელმწიფო საქმიანობის სრული შესაბამისობა არის ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართლებრივად აღიარების ქეშმარიტი კრიტერიუმი. თუკი საწინააღმდეგოს დავუშვებთ, მაშინ სამართლებრივად უნდა ვალიაროთ დიქტატორული რეჟიმის ქვეყნებიც, რადგან აქაც, სახელმწიფო ბელისუფლება სწორედ იურიდიული ფორმების მეშვეობით, „კანონიერი“ გზებით ანორციელებს თავის დიქტატს.

სამართალსა და კანონს შორის არსებული განსხვავება რელიეფურად იკ-

³ См.: Халфина Р. О., Право как средство социального управления, М., «Наука», 1988, с. 45.

⁴ См.: Лившиц Р. З., Право и закон в социалистическом правовом государстве, «Советское государство и право», 1988, № 3, с. 17.

გეტება სისტემაში; საზოგადოება — სამართალი — სახელმწიფო, ეკვარეში რომ კანონის (და საერთოდ სამართლის ნებისმიერი წყაროს) ცნება აუცილებლობით მოიცავს სახელმწიფოს მომენტს. როგორც კანონშემოქმედების მთელი პროცესი მიმდინარეობს სახელმწიფო ორგანოებში, ასევე მისი შესრულების უმთავრეს გარანტიად ყოველთვის სახელმწიფო გამოდის. სახელმწიფოს გარეშე არსებული იურიდიული კანონის აღიარება არის სამართლებრივი ნონსენსი.

მაგრამ შეუძლია თუ არა სახელმწიფოს შექმნას სამართალი? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გავცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართალს წარმოვიდგენთ ნორმათა უბრალო ერთობლობად. მაგრამ ასეთი განმარტება არ იქნებოდა მართებული, „როგორც ფრაზა: საზოგადოება შედგება ინდივიდებისაგან, რომელიც ემპირიული ცოდნის თვალსაზრისით, სავსებით სწორია, თავისი უშინაარსობის გამო არაფერს არ გვეუბნება არც საზოგადოებაზე და არც ინდივიდებზე, ასევე იმის მტკიცება, რომ სამართალი შედგება ნორმებისაგან, არ არის არც მარქსისტული სოციოლოგიის და არც მარქსისტული იურისპრუდენციის დებულება“⁵.

✓ ამ თვალსაზრისით, მეტად ნიშანდობლივია ცნობილი ფრანგი კომპარატივისტის რენე დავიდის შენიშვნა, რომ თუ რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნებში კანონი არის სამართლის ნორმათა გამოხატვის ყველაზე მოსახერხებელი და ნათელი საშუალება, სოციალისტური ქვეყნების სამართლის მეცნიერება კანონში ხედავს სამართლის შექმნის ყველაზე უფრო ბუნებრივ საშუალებას⁶, ხოლო, როცა კანონი თავის თავზე იღებს სამართლის ქმნადობის არაბუნებრივ, პრაქტიკულად განუხორციელებელ ფუნქციას, მას აუცილებლად მოჰყვება არსებითი ხასიათის დეფორმაციები მთელს პოლიტიკური იურიდიულ ზედნაშენში.

იურიდიული კანონისაგან განსხვავებით სამართლის ფორმირება ხდება უშუალოდ საზოგადოების მიერ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში მოქმედი ობიექტური კანონზომიერებების გავლენით ჩამოყალიბებული არა-იურიდიული სამართალი, საზოგადოებაში არსებობს ქცევის გარკვეული სტერეოტიპული სტრუქტურების, ადამიანთა საერთო ცხოვრების შედარებით სტაბილური ფორმების სახით. მისი ძირითადი ფუნქციაა წინ აღუდგეს სოციალური დეზორგანიზაციის ცალკეულ გამოვლინებებს საზოგადოებაში. იგი ასრულებს ერთგვარი ორიენტირის ფუნქციებსაც, რის შედეგადაც საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეებს რეალურად განსაზღვრული აქვთ (ან შეუძლიათ განსაზღვრონ) ამ ურთიერთობათა განვითარების პროცესი და მისი საბოლოო შედეგებიც. ამ კავშირების არსებობა ბევრად განაპირობებს თვითრეგულაციის შესაძლებლობას, რომელიც, რა თქმა უნდა, მეტნაკლები ინტენსივობით, დამახასიათებელია, როგორც მთლიანად საზოგადოებისათვის, ასევე მისი ცალკეული მხარეებისათვისაც.

ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია იბადება კითხვა, რამდენად მართებულია ამ კავშირებს ვუწოდოთ სამართლებრივი, ხომ არ ხდება მათი აღრევა

⁵ См.: Денисов П. И., Спиридонов Л. А., Абстрактное и конкретное в советском правоведении, Изд. ЛГУ, 1987, с. 86—87.

⁶ См.: Рене Давид, Основные правовые системы современности, М., «Прогресс», 1988, с. 198.

იმ მორალურ თუ სხვა სოციალურ ნორმებში, რომლებიც გარკვეულ რეგულაციურ ფუნქციებს ასრულებენ საზოგადოებაში.

თუ კი ვალიარებთ, რომ საკანონმდებლო საქმიანობის პროცესში მოხდებოდა მორალური, რელიგიური, ესთეტიკური თუ სხვა სახის ნორმათა გადაქცევა სამართლებრივ ნორმებად, მათთვის მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს სანქციის მინიჭების გამო, მაშინ საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა სამართლებრივ და არასამართლებრივ ნორმათა შორის არსებული განსხვავების რაიმე ობიექტური კრიტერიუმის არსებობაზე ლაპარაკი კი, როგორც პროფ. ვ. ნერსესიანცი წერს, ეს მოასწავებდა იმას, რომ სამართლის თეორიის ნეცნიერება უძლური იქნებოდა დაედგინა სოციალურ ნორმათა ის სპეციფიკური ობიექტური ნიშნები, რომლის განსაზღვრაც, ამავე დროს, მთლიანად დამოკიდებული იქნებოდა კანონმდებლის ნებაზე⁷.

ცხადია, რომ ამა თუ იმ სოციალური ნორმის იურიდიულ ფორმაში მოქცევა არ იძლევა ნორმის სამართლებრივად აღიარების საფუძველს. მისი საკანონმდებლო გაფორმების მიუხედავად, იგი მაინც ინარჩუნებს იმ სოციალურ (სამართლებრივისაგან განსხვავებულ) შინაარსს, რომელსაც ის ადრე ატარებდა. მაშასადამე, სახელმწიფო სანქციას არ ძალუძს მიანიჭოს მას სამართლებრივი ხასიათი, თუ ეს ნორმა იმთავითვე არ არსებობდა საზოგადოებაში, როგორც სამართლებრივი ბუნების მქონე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სამართლის ბუნება დედუციურებული იქნებოდა უზენაესი ღირებულებებიდან, მაშინ საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი სამართლის რაციონალურობაზე, იგი არამოტივირებადი, არამტკიცებადი გახდებოდა. ეს კი წმინდა წყლის ირაციონალიზმი⁸.

ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის მეტად მნიშვნელოვანია ვ. დ. პლანოვის მიერ ჩამოყალიბებულ ნორმათა სოციალური გენეზისის მექანიზმიც. ნეცნიერის აზრით, მისი ფორმირების მთელი ციკლი ვითარდება უარყოფის უარყოფის კანონით. საწყის სტადიაზე, ნორმა არის ობიექტურად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტრუქტურა. მეორე სტადიისას ხდება რეალური ნორმის ასახვა სპეციფიკურ იდეალურ ფორმაში (იგი მოიცავს ცალკეულ მატერიალურ ელემენტებსაც: ენა, ასო, და ა. შ.), რომელიც ახდენს სუბიექტური ქცევის მოდელირებას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმირებას და სხვ. აქ რეალური ნორმა დიალექტიკურად იხსნება და გნოსეოლოგიური ნიმუშის სახეს იძენს. მესამე სტადიაზე ხდება უარყოფის უარყოფა, ნორმის მოძრაობა ქრება სუბიექტთა ქცევებში, მოქმედებებში და ნორმის შინაარსი ერთგვარად უბრუნდება საწყის მდგომარეობას, მაგრამ უკვე წინა სტადიათა დიალექტიკური სინთეზის სახით. მთელი ეს ციკლი კი დეტერმინირებულია ამ საწყისი სტრუქტურით. რომელიც არის ნორმა — რეალობის (პირველი სტადიის) შინაარსი⁹.

თუ ამ პროცესს გავიაზრებთ არა ერთეული ნორმის, არამედ საზოგადოების მთელი ნორმატიული სისტემის დონეზე, მაშინ, სამართლებრივი სახელმწიფოსადმი საზოგადოების მიერ წაყენებული ერთ-ერთი ძირითადი იმპე-

⁷ См.: Нерсисянц В. С., Право и закон, М., Юридическая литература, 1983, с. 347.

⁸ См.: Герман Кленнер, От права природы к природе права (пер. с немецкого), М., «Прогресс», 1988, с. 237.

⁹ См.: Плахов В. Д., Социальные нормы: философские основания общей теории, М., «Мысль», 1985, с. 30 и далее.



რატევი მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი სისტემა რაც შეიძლება სრულყოფილად უნდა ასახავდეს უშუალოდ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროცესში ჩამოყალიბებულ სტრუქტურებს, ანუ ნორმა-რეალობის მოთხოვნებს.

თავისთავად ცხადია, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში უნდა გვექონდეს სამართალსა და კანონს შორის შესაბამისობის თვისობრივად განსხვავებული დონე, რამდენადაც სრული შეუსაბამობის შემთხვევის დაშვება, ნებისმიერ საზოგადოებაში, მხოლოდ ჰიპოთეტურად თუ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისტემა: სახელმწიფო — სამართალი — საზოგადოება საერთოდ დაირღვევა. აქ გარკვეულ როლს ასრულებენ ყოველ სისტემაში ობიექტურად მოქმედი სისტემა — წარმომქმნელი ფაქტორებიც.

სახელმწიფო არის საზოგადოებისადმი დაპირისპირებული უცხო ძალა. მაგრამ, ამავე დროს, მას არ შეუძლია საზოგადოების მიმართ იყოს „სრულიად სხვა“. შესაბამისად, სახელმწიფო იძულებულია დააკანონოს ნორმათა ის გარკვეული მინიმუმი, რომელიც არ გამომდინარეობს მისი კლასობრივი ინტერესებიდან, მაგრამ, რომელიც აუცილებელია საზოგადოებაში გარკვეული სტაბილური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად. სამართალი არ შეიძლება გავიგოთ წმინდა კლასობრივი ფენომენის ხაზით. იგი არის „სოციალური, კულტურული, ისტორიული, ზოგადსაკაცობრიო ღირებულება“.¹⁰

თვითონ სახელმწიფოს მონოპოლია სამართალშემოქმედებით პროცესზე, მხოლოდ შეფარდებით შეიძლება ვალიართ „აბსოლუტურად“. სახელმწიფოს სუვერენიტეტი ერთგვარად შეზღუდულია სამართლის სუვერენიტეტით¹¹, რომელიც გარკვეულ საზღვრებში აქცევს სახელმწიფო ხელისუფლების ფაქტობრივ შესაძლებლობებს, ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, უფრო კორექტული იქნებოდა, რომ გველიარებინა სახელმწიფო ხელისუფლების შებოჰვა არა კანონის, არამედ სამართლის მიერ.

რა თქმა უნდა, ეს პროცესი, მიუხედავად მისი რამდენადმე ობიექტური ხასიათისა, ავტომატურად როდია უზრუნველყოფილი. სამართლის მიერ სახელმწიფოს შებოჰვის ხასიათი ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმაზე, ერის სახელმწიფოებრივ ტრადიციებზე, მის პოლიტიკურ კულტურაზე, ეკონომიკურ წყობაზე და ა. შ.

ანგარიშგასაწევა, აგრეთვე, როგორც ნორმატიულ-შეფასებითი, ასევე ლოგიკურ-შემეცნებითი პროცესისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი წინააღმდეგობები¹², რაც იწვევს უშუალოდ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მოქმედ კანონზომიერებათა არაადეკვატურ ასახვას პოზიტიური სამართლის სისტემაში.

აღამიანთა შორის სამართლებრივი ხასიათის მქონე კავშირების ფორმირების რთული პროცესი არ შეიძლება ლოკალიზირებული იყოს მარტოოდენ საკუთრებისა და პოლიტიკური ხელისუფლების სფეროთი. ისტორიულად იგი ყა-

¹⁰ См.: Кудрявцев В. Н.: На пути к правовому государству, «Правда», 11 января 1990 г.

¹¹ ეს ცნება პირველად შემოიღო პოლანდიელმა იურისტმა კრაბემ, სამართალი მისი აზრით არ ეფუძნება არც საზოგადოების და არც სახელმწიფოს ძალას, მას თავისთავად, თვითონ გააჩნია საკმარისი საფუძველი. იხ.

Дорогини В., Суверенитет в советском государственном праве, М., 1948, с. 23—25.

¹² См.: Васильев А. М., Правовые категории: Методологические аспекты разработки системы категорий теории права, М. Юридическая литература, 1976, с. 84.

ლიბდებოდა ადამიანთა საზოგადოების გაჩენასთან ერთად, ე. წ. მონო-ნორმების სახით¹³, და გარკვეულ ევოლუციას განიცდიდა ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად.

თუ ჩავთვლით, რომ სამართლებრივი ხასიათის მქონე კავშირების ჩამოყალიბება შესაძლებელი იქნებოდა მარტოოდენ კერძო საკუთრების გაჩენასთან ერთად, მაშინ ძნელია ლოგიკურად დავასაბუთოთ იურიდიულ ნორმათა ექსტრაპოლაციის ისეთი ფართო მასშტაბები, როდესაც ისინი იჭრებიან საზოგადოებრივ ურთიერთობათა თითქმის ყველა სფეროში.

ვფიქრობთ, მოსაზრება, რომ ნორმათა ასეთი ექსპანსიის მდგომარეობა განპირობებულია გაბატონებული კლასის მისწრაფებით თავის კონტროლზე აიყვანოს საზოგადოებაში მიმდინარე ყველა პროცესი საერთოდ¹⁴, არ უნდა იყოს მართებული.

გაბატონებული კლასი თვითონაა იძულებული შეურიგდეს იმ მდგომარეობას, რომ სამართლებრივ რეგულირებას გააჩნია თავისი ობიექტურად განპირობებული საზღვრები, რომელიც გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს კანონმდებლის ნებას, არსებობს ურთიერთობები, რომელთა რეგულირება, კანონით საერთოდ შეუძლებელია¹⁵, საზოგადოებრივი ურთიერთობა უკვე თავის თავში მოიცავს ისეთ მომენტს, რომელიც განსაზღვრავს ასეთი რეგულირების შესაძლებლობას. ამასთან ეს შესაძლებლობა არის იმ ურთიერთობის ობიექტური მახასიათებელი და არ არის დამოკიდებული კანონმდებლის ნებაზე. საკითხის არსს არსებითად ვერ ცვლის ის გარემოება, როცა ნორმა ადგენს ისეთ ურთიერთობებს, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ ანალოგი ობიექტურ სინამდვილეში. იმ ურთიერთობათა ხასიათიც, რომლებიც არსებობენ მხოლოდ მათი იურიდიული გაფორმების წყალობით, ობიექტურად დეტერმინირებულია სამართლებრივი რეგულირების შესაძლებლობით. და თუ კანონმდებლის მიერ ხელოვნურად კონსტრუირებული სინამდვილე ანგარიშს არ გაუწევს მათ, ეს მნიშვნელოვნად დასცემს მის ეფექტიანობას.

როდესაც ვაღიარებთ, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში კანონი უნდა იყოს სამართლებრივი, ე. ი. საზოგადოების მიერ გაცნობიერებული სოციალური აუცილებლობის გამოვლენა, აუცილებელია დადგინდეს ის მთავარი კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ამ შესაბამისობის ხარისხი. სამართლიანობის კატეგორია ასეთი კრიტერიუმის ფუნქციებს ვერ შეასრულებს, ისევე როგორც სხვა მორალური კატეგორია. ეს შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოებაში რეალურად მოქმედი განსხვავებული, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხველი ღირებულებებით — შეფარდებითი სისტემის არსებობის პირობებში¹⁶. ასეთ ვითარებაში თვით ყველაზე რაციონალური პოლიტიკური გადაწყვეტილებაც კი, სამართლიანობის თვალსაზრისით, შეიძლება უმართებულად მივიჩნიოთ.

ვფიქრობთ, რომ სამართალსა და კანონს შორის არსებული შესაბამისობის ძირითადი, განმსაზღვრელი კრიტერიუმი იქნება ის, თუ როგორ ვარდაიქმნება პოზიტიური სამართალი დადგენილი ქვეყნის იდეალური მოდელი

¹³ См.: Лукашева Е. А., Право, мораль, личность, М., «Наука», 1986, с. 47.

¹⁴ Лукашева Е. А., Социалистическое право и личность, М., «Наука», 1987, с. 12.

¹⁵ См.: «XXVII съезд КПСС и развитие теории государства и права», Свердловск, 1987, с. 54.

¹⁶ См.: Рабинович П. М., Социалистическое право, как ценность, Львов, 1985, с. 43.

რეალურ სოციალურ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტთა უფლებებად და მოვალეობებად, ანუ თუ რამდენად ინტენსიურად მოხდება მათი გადასვლა იურიდიული შესაძლებლობების სფეროდან ფაქტიური რეალიზაციის სფეროში, თვით ყველაზე სრულყოფილი ნორმაც კი, თუ იგი არაა ჩართული სამართლებრივი რეგულირების პროცესში, ფაქტობრივად მკვდარი ნორმაა. ასეთი ნორმები არის სახელმწიფოს სოციალური მიმიკრიის ნაცადი საშუალება, როდესაც ხელისუფლებას სურს შექმნას მისი დემოკრატიული ბუნების ერთგვარი იმიტაცია.

მაშასადამე, სამართალსა და კანონს შორის არსებული ურთიერთკავშირი გააზრებულ უნდა იქნას სისტემაში; სამოქალაქო საზოგადოება — სახელმწიფო, კანონში სამართლის მოთხოვნათა რეალიზაცია უზრუნველყოფს დინამიკური წონასწორობის დამყარებას პირად ინტერესსა და საზოგადოებრივ აუცილებლობას შორის, ხდება კლასობრივ ამოცანათა კორექტირება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პოზიციებიდან; სამართალი კანონმდებლობას სრულყოფს სხვადასხვა პრინციპებით, პრეზუმფციებით, იურიდიული გარანტიებით¹⁷.

საერთოდ კი, საზოგადოებაში ფაქტობრივად ჩამოყალიბებული სამართლებრივი ფორმების სრულყოფილი ასახვა მოქმედ კანონმდებლობაში შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც განხორციელდება თვისობრივი ხასიათის გარდატეხა ზემოაღნიშნულ სისტემაში, როდესაც სახელმწიფო გახდება არა „საზოგადოებისადმი დაპირისპირებული, არამედ მისდამი დაქვემდებარებული ძალა“.

ცხადია ისიც, რომ არ უნდა გაგვიტაცოს მარტოოდენ სასურველის კატეგორიებით მსჯელობამაც, სამართლის უდაო პრიორიტეტი კანონის წინაშე, აგრეთვე სამართლისა სახელმწიფოს მიმართ, არ უნდა განვიხილოთ ჩვენს პოლიტიკურ და იურიდიულ სინამდვილეში არსებული რეალობისაგან მოწყვეტით, სამართლის ზოგად თეორიაში კი, სამართლის ფართო, სოციალურ კონტექსტში განხილვისას დაუშვებელია იურიდიული ფორმისაგან მისი ხელოვნური გამიჯვნა, რა თქმა უნდა, სამართლის არაიურიდიული ყოფიერების¹⁸ პრობლემა დღეს, ისე როგორც არასდროს, მეტად აქტუალურია, მაგრამ მისი კვლევა არ უნდა ხდებოდეს სამართლის სპეციფიკურ-იურიდიული პრობლემების ხარჯზე, ამის საშიშროებაზე უკვე აღინიშნა ლიტერატურაში¹⁹. მსგავსი ტენდენციების განვითარებას შეუძლია მიგვიყვანოს იქამდე, როცა სამართლის მეცნიერება მთლიანად დაკავებული იქნება მარტოოდენ მეტაიურიდიული პრობლემატიკის შესწავლით და მთლიანად დაკარგავს თავის შესწავლის ძირითად ობიექტს — პოზიტიური სამართლის ნორმათა სისტემას.

ჩვენ შევეცადეთ მხოლოდ ფრაგმენტალურად მიმოგვეხილა სამართლისა და კანონის ურთიერთმიმართების ცალკეული ასპექტები. ამ ურთიერთობის ქეშმარიტი არსის დადგენა ერთ-ერთი ყველაზე სადაო და ურთულესი საკითხია სამართლის მეცნიერებაში. მისი მართებული გააზრება შეუძლებელია სამარ-

¹⁷ См.: Разумович Н. Н., Источник и форма права, «Советское государство и право», 1988, № 3, с. 21.

¹⁸ См.: Мицкевич А. В., Научная ценность определения понятия права, как единого целого (логический аспект), В кн.: «Проблемы совершенствования советского законодательства», Труды ВНИИСЗ, 1987, № 87, с. 13.

¹⁹ См.: Лейст О. Э., Актуальные проблемы соотношения права и закона, Вестник Моск. университета, Серия «Право», 1988, № 5.

თლის თეორიისათვის ისეთი ფუნდამენტალური მნიშვნელობის მქონე პრობ-
ლემებისაგან იზოლირებულად, როგორცაა თვითონ სამართლის ცნება, სამარ-
თლის სუბსტანციის, არსისა და ჯერარსის, სახელმწიფოსა და სამართლის ურ-
თიერთმიმართების საკითხები და სხვ.

ამავე დროს, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში
ეს პრობლემა მარტოდენ აკადემიურ ინტერესს როდი იწვევს. იმაზე, თუ რა
შინაარსს ჩავდებთ „სამართლის“ და „კანონის“ ცნებებში, ბევრად არის და-
მოკიდებული როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიული მოდელის
სახე. აგრეთვე მისი პრაქტიკული რეალიზაციის პერსპექტივებიც.

საქართველოში
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

თეორიული მართლებრივი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის სოციალური კონტროლი და მისი ადგილი დანაშაულებრივი რეციდივის აღკვეთაში

ადმინისტრაციული ზედამხედველობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავის-
უფლებულ პირებზე მოქმედებს 1966 წლიდან. ამ ბრძანებულების გატარების ირგვლივ არა
ერთი ურთიერთ საწინააღმდეგო მოსაზრება გამოითქვა. მაგრამ ცხადია, რომ მისი მიღება გა-
ნაპირობა ჯერ ერთი იმან, რომ დანაშაულებრივი რეციდივი მტეი იყო აღრე ნასამართლებ
პირებს შორის და მეორეც, რეციდივისტ პირთა მყარი ანტისოციალური ხასიათი გვევლინებოდა
და დღესაც გვევლინება საზოგადოებრივად საშიში დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის სე-
რიოზულ საფრთხედ. ამდენად, რეციდივულ დანაშაულებრივ ქმედებათა აღკვეთის და გამაფრ-
თხილებელი ღონისძიებების გატარების მიზნით, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული დღეი-
სათვისაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა მიმართ, დამა-
ტებითი ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიებათა გამოყენება. საყურადღებოა, რომ ზედამ-
ხედველობის დაწესება არ გულისხმობს, როგორც ზოგიერთს ჰგონია, მხოლოდ მათი ქცევის
გაკონტროლებას. კანონმდებელი, ამ კონტროლში გულისხმობს, პირის აღზრდა-გამოსწორების
ღონისძიებას; მისდამი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ყურადღების და დახმარების გა-
წევას; რადგან აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემო, სადაც ზედება მსჯავრდადე-
ბული საზოგადოებიდან მისი იზოლაციის შემდეგ. განსაკუთრებულ სიმწვავეს ეს საკითხი აღ-
წევს იმ პირებში, რომლებსაც არ გააჩნიათ რჩახი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და სამუ-
შაოზე მოწყობის რეალური პერსპექტივა. ეს განაპირობებს სწორედ ასეთი პირებისადმი გან-
საკუთრებულ ყურადღებას, ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული ზე-
დამხედველობა უნდა მიეყუთვნოს იმ სოციალურ საშუალებათა სისტემაში შემავალ ღონისძიე-
ბას, რომელიც ეფექტურად გამოიყენება საშიშ დანაშაულთა ჩადენის თავიდან ასაცილებლად.
დღეისათვის ადმინისტრაციული ზედამხედველობის გატარების ზოგიერთი მუხლი, ჩვენი აზ-



როგორც ცნობილია, აღმინისტრაციული ზედამხედველობა გამოიყენება თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებული ორი კატეგორიის პირთა მიმართ; პირველი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების და განზრახ მძიმე დანაშაულებრივი ქმედებისათვის ნასამართლებთათვის; და მეორე, იმ პირების მიმართ, რომლებიც ორჯერ და მეტჯერ იყვნენ ნასამართლები განზრახი დანაშაულისათვის.

ამდენად, თუ ავიღებთ პირველ კატეგორიას, აღმინისტრაციული ზედამხედველობის დანიშვნისათვის, საკმარისია პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობა. მიუხედავად იმისა, როგორ იქცეოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილას თუ სასჯელის მოხდის შემდეგ თავისუფლებაში ყოფნისას. ამ პირობიდან გამომდინარე, მილიციის ორგანო ვალდებულია ასეთ პირებს დაუნიშნოს აღმინისტრაციული ზედამხედველობა განთავისუფლებისთანავე, ასეთი მოთხოვნის არსებობა ჩვენ გვესახება არასრულყოფილად, რადგან როგორც ვხედავთ, ზედამხედველობა ზემო აღნიშნული პირების მიმართ დგინდება არა დანაშაულებრივი ქმედებისათვის, არამედ როგორც სამართლებრივი შედეგი მიზეზობრივი კავშირისა წარსულში არსებულ ნასამართლობასა და პირის ცნობასთან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად. ამიტომაც, რომ თუ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტს მოეხსნება ნასამართლობა, მას აღმინისტრაციული ზედამხედველობის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, აღმინისტრაციული ზედამხედველობაც ეხსნება, რაც არასწორად მიგვაჩნია. ჩვენის აზრით, აღმინისტრაციული ზედამხედველობის დანიშვნა და მოხსნა ნასამართლობასთან კი არ უნდა იყოს დაკავშირებული, არამედ პირის ქცევასა და მის საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობასთან.

მოკმედი წესით, აღმინისტრაციული ზედამხედველობის შესაძლებლობანი პირის აღზრდა-გამოსწორების საქმეში შეზღუდულია განსაზღვრული ვადებით. კერძოდ, მე-1 მუხლის შესაბამისად, აღმინისტრაციული ზედამხედველობა არ შეიძლება დაინიშნოს პირის თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლების არა უმეტეს სამი წლის გასვლის შემდეგ. ჩემის აზრით, ეს მოთხოვნაც მოითხოვს შესწორებას, რადგან სწორედ ამ პერიოდში გვხვდება რეციდივის გამოვლინების მნიშვნელოვანი შემთხვევები. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ზედამხედველობა ინიშნება ექვსი თვიდან ერთ წლამდე, მაშინ ნათელი ხდება ამ ღონისძიების ეფექტურობა¹.

გარდა აღნიშნულისა, დღეისათვის, მიუღებლად მიმაჩნია აღმინისტრაციული ზედამხედველობის გატარების ის წესიც, რომლის შესაბამისად ზედამხედველობის გაგრძელება აკრძალულია ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვადის გასვლის შემდეგ განთავისუფლებული პირი გაფრთხილების მიუხედავად, აგრძელებს ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას, რა თქმა უნდა, ასეთი პირების მიმართ ზედამხედველობის გაგრძელება უფრო დროული და ეფექტური საშუალება იქნებოდა მათი აღზრდა-გამოსწორებისათვის. ჩვენ შეიძლება გვიპასუზონ, რომ ასეთ შემთხვევებში ზედამხედველობა ინიშნება თავიდან, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზედამხედველობის ხელახალი დანიშვნა შეიძლება არა ყოველთვის, არამედ ორი პირობის არსებობისას: პირველი, როდესაც ზედამხედველობის ქვეშ მყოფნი და მათ შორის განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მხრივ აღმინისტრაციული ზედამხედველობის გატარების მთელ პერიოდში ადგილი ჰქონდა ანტისაზოგადოებრივ საქციელს და მეორე, ზედამხედველობის სამი წლის გასვლის შემდეგ, იმ პირთათვის, რომლებსაც ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არა იქვით.

მიგვაჩნია, რომ აღმინისტრაციული ზედამხედველობა უნდა დაენიშნოს ყველა იმ პირს, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლების შემდეგ, განსაზღვრული ვადისა და ნასამართლობის მიუხედავად ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევა და არ დაადგა გამოსწორების გზას.

რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება გამოიწვევს დავას და აზრთა სხვადასხვაობას, მაგრამ სწორედ ასეთ პირობებშია შესაძლებელი სწორი გადაწყვეტილების მიღება.

¹ ცალკეულ შემთხვევაში აღმინისტრაციული ზედამხედველობა შეიძლება გაგრძელდეს ექვსი თვით, მაგრამ არა უმეტეს იმ ვადისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ამ დანაშაულებრივი ქმედებისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნისათვის (მუხლი მე-4).

ფაკულტატური ოქმი

საერთაშორისო პაქტთან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

მიღებულია და ღია ხელმოწერისათვის, რატიფიკაციის და შეერთებისათვის გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200 A (XVI) რეზოლუციით. ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს.

ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც

ითვალისწინებენ, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის (შემდგომი „პაქტი“) მიზნების მისაღწევად და მისი დადგენილებების განსახორციელებლად მიზანშეწონილი იქნებოდა პაქტის IV ნაწილის საფუძველზე დაარსებულ ადამიანის უფლებათა კომიტეტს (შემდგომში „კომიტეტი“) მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს და განიხილოს, როგორც ამ ოქმშია გათვალისწინებული, შეტყობინებები ცალკეული პირებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი პაქტში აღნიშნული რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლნი არიან.

შეთანხმდნენ:

მუხლი 1

პაქტის მონაწილე სახელმწიფო, რომელიც ამ ოქმის მონაწილე ხდება, აღიარებს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს ცნობა მისი იურისდიქციის ქვემდებარე პირებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აღნიშნული მონაწილე სახელმწიფოს მიერ პაქტში მოყვანილი რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლნი არიან. არც ერთი ცნობა არ მიიღება კომიტეტის მიერ, თუ იგი ეხება პაქტის მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც არ არის ამ ოქმის მონაწილე.

მუხლი 2

1-ლი მუხლის დებულებების დაცვის შემთხვევაში პირები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პაქტში ჩამოთვლილი მათი რომელიმე უფლება დაირღვა, და რომლებმაც ამოწურეს სამართლებრივი დაცვის ყველა არსებული შინაგანი საშუალება, შეუძლიათ წარადგინონ კომიტეტის განსახილველად წერილობითი ცნობა.

* არაოფიციალური თარგმანი

კომიტეტს შეუძლია მიუღებლად მიიჩნიოს ამ ოქმის შესაბამისად წარდგენილი ყოველივე ცნობა, რომელიც ანონიმურია ან, რომელიც, მისი აზრით, არის ასეთი ცნობების წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენება, ან იგი შეუთავსებელია პაქტის დებულებებთან.

მუხლი 4

1. მე-3 მუხლის დებულებათა დაცვის შემთხვევაში კომიტეტი ამ ოქმის თანახმად წარდგენილ ნებისმიერ ცნობას ატყობინებს ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც მტკიცების თანახმად, არღვევს პაქტის რომელიმე დებულებას.

2. შეტყობინების მიმღები სახელმწიფო ექვესი თვის მანძილზე წარუდგენს კომიტეტს წერილობით განმარტებებს ან განცხადებებს, სადაც განმარტებული იქნება ეს საკითხი და ნებისმიერი ღონისძიება, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა, რომელიც ამ სახელმწიფოს მიერ შეიძლება მიღებული იყო.

მუხლი 5

1. კომიტეტი განიხილავს ამ ოქმის შესაბამისად მიღებულ ცნობებს ცალკეული პირების და დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისთვის წარდგენილი ყველა წერილობითი მონაცემების გათვალისწინებით.

2. კომიტეტი არ განიხილავს პირთა არც ერთ ცნობას, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ:

a) იგივე საკითხი არ განიხილება საერთაშორისო გარჩევის ან მოწესრიგების სხვა პროცედურის შესაბამისად;

b) მოცემულმა პირმა ამოწურა სამართლებრივი დაცვის ყველა მისაწვდომი შინაგანი საშუალება;

ეს წესი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა ამ საშუალებათა გამოყენება გაუმართლებლად ჰქონებოდა.

3. ამ ოქმით გათვალისწინებული ცნობების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომას.

4. კომიტეტი აცნობებს თავის მოსაზრებებს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს და პირს.

მუხლი 6

კომიტეტი პაქტის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ თავის ყოველწლიურ მოხსენებას ურთავს მოკლე ანგარიშს ამ ოქმის შესაბამისად თავისი საქმიანობის შესახებ.

მუხლი 7

კოლონიური ქვეყნების და ხალხების დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1960 წლის 14 დეკემბერს მიღებული 1514 (XV) რეზოლუციის მიზნების მიღწევამდე, ამ ოქმის დებულებები არანაირად არ

ზღუდავენ პეტიციების წარდგენის უფლებას, რომელიც ამ ხალხებს მინი-
ჭებული აქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით და გაერთი-
ანებული ერების ორგანიზაციის სხვა საერთაშორისო კონვენციებით და დო-
კუმენტებით. მისი სპეციალიზებული დაწესებულებებით.

მუხლი 8

1. ამ ოქმს შეუძლია ხელი მოაწეროს პაქტის ხელმოწერმა ყველა სა-
ხელმწიფომ.
2. ეს ოქმი რატიფიცირებული უნდა იყოს ყველა სახელმწიფოს მიერ, რო-
მელმაც პაქტის რატიფიკაცია მოახდინა ან შეუერთდა მას. სარატიფიკაციო
სიგელები შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენე-
რალურ მდივანს.
3. ამ ოქმს შეუძლია შეუერთდეს ყველა სახელმწიფო, რომელმაც პაქტის
რატიფიკაცია მოახდინა ან შეუერთდა მას.
4. შეერთებისათვის საჭიროა შეერთების დოკუმენტის დეპონირება გაერ-
თიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.
5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აცნო-
ბებს ყველა სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერეს ამ პაქტს ან შეუერ-
თდნენ მას, თითოეული სარატიფიკაციო სიგელის თუ შეერთების დოკუმენ-
ტის დეპონირების შესახებ.

მუხლი 9

1. პაქტის ძალაში შესვლის შემთხვევაში, ეს ოქმი ძალაში შედის სამი
თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გე-
ნერალურ მდივანთან დეპონირებული იქნება მეთავე სარატიფიკაციო სიგელი
ან შეერთების დოკუმენტი.
2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ ოქმის რატიფიკაციას
ახდენს ან უერთდება მას მეთავე სარატიფიკაციო სიგელისა ან შეერთების
დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, ეს ოქმი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ
იმ დღიდან, როცა დეპონირებული იქნება მისი საკუთარი სარატიფიკაციო სი-
გელი თუ შეერთების დოკუმენტი.

მუხლი 10

ამ ოქმის დებულებანი ვრცელდება ფედერაციულ სახელმწიფოთა ყველა
ნაწილზე რაიმე შეზღუდვისა თუ გამონაკლისის გარეშე.

მუხლი 11

1. ამ ოქმის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს გას-
წორებანი და წარუდგინოს ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შემდეგ შემოთავაზებულ გასწო-
რებებს უგზავნის ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოებს და თხოვს შეატყობი-
ნონ, მომხრე არიან თუ არა, რომ მოიწვიონ მონაწილე სახელმწიფოთა კონ-
ფედერაცია ამ წინადადების განსახილველად და მასზე კენჭის საყრელად. თუ
ასეთი კონფერენციის მოწვევას მხარს დაუჭერს მონაწილე სახელმწიფოთა

არა ნაკლებ მესამედისა, გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ყველა გასწორებას, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, დასამტკიცებლად წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

2. გასწორებანი ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა და კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა — ორი მესამედი.

3. მას შემდეგ, რაც გასწორებანი ძალაში შევა, ისინი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ პაქტის დებულებანი და მათ მიერ მიღებული ყველა წინა გასწორებანი.

მუხლი 12

1. თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია ამ ოქმის დენონსაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე წერილობითი შეტყობინების გზით. დენონსაცია ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გენერალური მდივანი მიიღებს ამ შეტყობინებას.

2. დენონსაცია ხელს არ უშლის ამ ოქმის დებულებების გამოყენების გაგრძელებას ყოველგვარ ცნობასთან, რომელიც წარდგენილია მე-2 მუხლის შესაბამისად დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღამდე.

მუხლი 13

ამ ოქმის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად შეტყობინებისაგან დამოუკიდებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აცნობებს პაქტის 48-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს შემდეგს:

a) მე-8 მუხლის თანახმად, ხელმოწერების, რატიფიკაციებისა და შეერთებების შესახებ;

b) მე-9 მუხლის თანახმად, ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღს და მე-11 მუხლის თანახმად, ყოველგვარი გასწორების ძალაში შესვლის თარიღს;

c) მე-12 მუხლის თანახმად, დენონსაციების შესახებ.

მუხლი 14

1. ეს ოქმი, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები ერთნაირად აუტენტურია, შესანახად უნდა გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივს.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ ოქმის დამოწმებულ პირებს უგზავნის პაქტის 48-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.

მილიცია რომ თავად იყოს დასული

გასული წლის მოვლენებმა აფხაზეთში, ქვემო ქართლსა და სამხრეთ ოსეთში, გვიჩვენეს და დღის წესრიგში მთელი სიმკაცრით დააყენეს მილიციის დანაყოფების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების, თანამშრომელთა პროფესიონალიზმის ამაღლებისა და მათი სოციალურ-სამართლებრივი დაცვის პრობლემები.

შეუძლებელია აულელებლად გაეცნო მასალებს სისხლის სამართლის სამსახურის ოპერატიული ფილარეტ ზვისტანის, ავთანდილ მარლიშვილისა და აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების სხვა თანამშრომელთა დაღუპვის შესახებ. ამ ბოლო წლებში გახშირდა დამნაშავეთა თავდასხმის შედეგად მილიციის თანამშრომელთა დაღუპვისა და მათთვის სხეულის დაზიანების შემთხვევები.

გასული წლის აპრილის თვიდან მოყოლებული, მიმდინარე წლის იანვრის ჩათვლით, რესპუბლიკაში დამნაშავეთა ხელით დაიღუპა 5 თანამშრომელი, სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო 122 მუშაკმა. ადგილი ჰქონდა ასზე მეტ შემთხვევას. როდესაც მილიციის თანამშრომლებს მიაყენეს შეურაცხყოფა და გაუწიეს წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობის შესრულების დროს, ასევე მოახდინეს მათზე თავდასხმა სიცოცხლის ხელყოფის მიზნით. ამრიგად, იკვეთება ნეგატიური ტენდენცია, რომელმაც რესპუბლიკაში სისხლის სამართლის დანაშაულის ზრდისა და საზოგადოებაში მიმდინარე რთული პროცესების კვალობაზე, შეიძლება გარკვეული საგანგაშო მიმართულებაც კი მიიღოს.

დღეისათვის ჩვენს კანონმდებლობაში მოქმედი, ამ საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ მილიციის მუშაკებს არ გააჩნიათ მათი ღირსების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის საიმედო სოციალურ-სამართლებრივი პირობები და გარანტიები.

თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მილიციის მუშაკებს, მოსახლეობის გარკვეულ სამართალდამრღვევ პირებთან ურთიერთობისას, ხშირად ექმნებათ კონფლიქტური სიტუაციები, რაც მეტწილად სიტყვიერ შეურაცხყოფაში გამოიხატება: „ძაღლები“, „ჯალათები“, „ნაგავი“ და სხვა. ასეთია დაახლოებით მილიციის მუშაკთა შეურაცხყოფელი სიტყვების არასრული ლექსიკონი.

აღსანიშნავია და დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ბევრი რიგითი მილიციის თანამშრომელი და თვით მათი ზოგიერთი ხელმძღვანელიც კი, მიუხედავად მძიმე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა, თითქოს ამას შეეჩვია და არ რეაგირებენ მათი პიროვნებისა და ღირსების ამგვარ შეურაცხყოფაზე, რომელიც გარკვეულ ვითარებაში შეიძლება ცნობილი იქნეს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

* რედაქციისგან: ამ რუბრიკით დაბეჭდილი წერილები, როგორც ამ ნომერში, ისე ხაერთოდ, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 208¹ მუხლის თანახმად მილიციის მუშაკის შეურაცხყოფა, მათზე დაკისრებულ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით — ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ექვს თვემდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით — ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით — ას მანეთამდე. თუმცა პრაქტიკა მოწმობს, რომ გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული მილიციის თანამშრომელთა შეურაცხყოფის ფაქტების დამტკიცება. გასულ წელს სულ რესპუბლიკაში რეგისტრირებული იყო მხოლოდ 17 ისეთი სისხლის სამართლის დანაშაული, რომელთა უმრავლესობა დამთავრდა დამნაშავეთა მცირე ფულადი ჯარიმებით, ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გატარებით.

ცალკეულ შემთხვევაში ადგილი აქვს სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებისა და თვით მილიციის თანამშრომელთა მიერ საზოგადოებრივად საშიში ქმედების არასწორ შეფასებას. მილიციის მუშაკთა ასეთი შეურაცხყოფის მრავალი ფაქტი რჩება რეაგირების გარეშე, რაც ავტორიტეტს ულახავს მთლიანად რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს და ხელს უწყობს არაჩანსალი საზოგადოებრივი აზრის წარმოქმნას, ეს კი უფრო ათავსებებს და აქეზებს სამართალდამრღვევებს. — მილიციის მუშაკების მიმართ უფრო საშიში დანაშაულისაკენ უბიძგებს მათ. მიუხედავად სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომი ჰუმანიზაციისა, რაც ბოლო დროს შეიმჩნევა და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი მართლწესრიგის განმტკიცებას, არ შეიძლება იგივე შედეგათი გავრცელდეს იმ დამნაშავეებზე, რომლებიც ხელყოფენ მილიციის მუშაკთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. შეურაცხყოფას აყენებენ მათ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სასჯელის გარდაუვალობის საკითხს, რათა საკადრისი მიეზღოს ყველას, ვინც მილიციის მუშაკის პიროვნების პატივისა და ღირსების დისკრედიტაციას ცდილობს.

აქვე ისიც უნდა იღინიშნოს, რომ გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული მილიციის მუშაკთათვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტის (მოკმედი სისხლის სამართლის კოდექსის 207¹ მუხლი) იურიდიული კვალიფიკაცია და დანაშაულის დამამტკიცებელ გარემოებათა დადგენა.

სისხლის სამართლის კანონი არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება კონკრეტულად, წინააღმდეგობის გაწევაში. აღნიშნული მუხლის I ნაწილით, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1963 წლის 3 ივნისის დადგენილებით, წინააღმდეგობის გაწევის ცნებაში, ბოროტი დაუმორჩილებლობისაგან განსხვავებით, იგულისხმება მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, რაც გამოიხატება მილიციის თანამშრომელთა მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით კანონით მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებისას. მათთვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევაში.

ასეთი არაკონკრეტული განმარტების გამო, პრაქტიკული მუშაკებისათვის, ზშირად, ძნელი ხდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 207¹ მუხლით გათვალისწინებული წინააღმდეგობის გაწევის გამიჯვნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისაგან. კერძოდ, მილიციის მუშაკის კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობისაგან (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173 მუხლი).

პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ საჭიროა ახალი კანონის შემუშავებისას, ასევე უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ დადგენილების მიღებისას, მიეცეს უფრო კონკრეტული განმარტება წინააღმდეგობის გაწევის ცნებას.

გარდა ამისა, დღევანდელი დაძაბული ოპერატიული ვითარებიდან გამომდინარე, სრულყოფას მოითხოვს აგრეთვე ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ მილიციის თანამშრომლების მიერ იარაღის გამოყენების საკითხს. ეს პრობლემა დღეისათვის არის ძალიან აქტუალური და საჭიროებს დეტალურ შესწავლას.

გავამახვილებთ ყურადღებას ზოგიერთ საკითხებზე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 8 ივნისის ბრძანებულებით, გამოიწვეა შემთხვევაში, უკიდურესი აუცილებლობის დროს, მილიციის თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ იარაღი თავდასხმის მოსაგერიებლად, როდესაც მათ სიცოცხლეს ემუქრება პირდაპირი საფრთხე.

ამასთანავე, აღნიშნული ბრძანებულებით, მილიციის თანამშრომელს ეძლევა უფლება გამოიყენონ იარაღი მოქალაქეთა დასაცავად, როდესაც საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ სხვა ხერხებით დასაშუალებით დაცვა არ ხერხდება.

ამ ორი დებულების შედარებისას ირკვევა, რომ მილიციის თანამშრომლებსა და სხვა მოქალაქეებს კანონი ერთნაირად როდი იცავს. თუ მილიციის თანამშრომლის ჯანმრთელობას, დამნაშავის თავდასხმის შედეგად, ემუქრება საფრთხე, მას არა აქვს უფლება გამოიყენოს იარაღი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მისი უფლებები უფრო შეზღუდულია სხვა მოქალაქეებთან შედარებით.

აქედან გამომდინარე, სრულიად უდავოდ შეიძლება გამოითქვას აზრი იმის შესახებ, რომ თუ დამნაშავის თავდასხმის შედეგად მილიციის თანამშრომლის ჯანმრთელობას ემუქრება საფრთხე და ამას შეიძლება მოჰყვეს მძიმე შედეგი, მაშინ მისი მხრიდან იარაღის გამოყენებაც კანონიერად უნდა ჩაითვალოს.

ბრძანებულებით, ასევე ნებადართულია მილიციის თანამშრომლებს მიერ იარაღის გამოყენება დამნაშავის დაკავებისას, როდესაც ის უწევს მათ შეიარაღებულ წინააღმდეგობას.

შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის ცნება, პრაქტიკულ მუშაკებს შორის იწვევს აზრთა სხვაობას და ხშირ შემთხვევებში გაუგებრობასაც. საერთოდ მიღებულია შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევად ჩაითვალოს ცეცხლმსროლელი იარაღის გამოყენება. სამართლიანად მიმაჩნია არსებული აზრი, იმის შესახებ, რომ გარდა ცეცხლმსროლელი იარაღისა, დამნაშავის მიერ მათი დაკავებისას საოჯახო — სამეურნეო ნივთების (ნაჯახი, ფიწალი, ძალაყინი და ა. შ.) გამოყენებაც ჩაითვალოს შეიარაღებულ წინააღმდეგობად.

ამ ზოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როდესაც მილიციის თანამშრომლებს აქტიურ ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევენ ცალკეული დამნაშავენი, — სპორტსმენები (კარატისტები, მოჭიდავეები, საბრძოლო უშუს სპეციალისტები და ა. შ.), რომლებიც ფაქტიურად არაფრით არ ჩამოუვარდებიან შეიარაღებულ საშიშ დამნაშავეებს.

ამიტომაც, გამართლებულად უნდა ჩაითვალოს ცვლილებების შეტანა ნორმატიულ აქტებში, იმის შესახებ, რომ წინააღმდეგობის გაწევა დამნაშავეების მხრიდან, რომლებიც ფლობენ ხელჩართული ბრძოლის მომაკდინებელ

ხერხებსა და მეთოდებს, გაუთანაბრდეს სისხლის სამართლის კოდექსით გაწესებული, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის ცნებას.

შეიძლება გამოითქვას სხვა აზრიც, მილიციის თანამშრომლის მიერ იარაღის გამოყენების უფლებამოსილების შესახებ.

ზემოხსენებული ბრძანებულებით, მილიციის თანამშრომლებს აკრძალული აქვთ იარაღის გამოყენება არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ. განაჯილდოს წარმოადგენს მხოლოდ მათი მხრიდან შეიარაღებული თავდასხმა.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეპოქაში, დაჩქარებულ აქსელერაციასთან დაკავშირებით, ძალიან ძნელია ვიზუალურად განისაზღვროს არასრულწლოვანის ასაკი (ვინ 14, ვინ 16 და 18 წლისაა). ამდენად, საჭიროდ მიგვაჩნია შეტანილი იქნეს ცვლილება ნორმატიულ აქტში და იარაღის გამოყენება არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ, ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, ჩაითვალოს კანონიერად, თუ მილიციის თანამშრომლებმა არ იციან მათი ასაკი, ხოლო გარეგნული ფიზიკური მონაცემებით კი წლოვანების დადგენა შეუძლებელია.

როგორც ცნობილია, გასულ წელს, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, ადგილი ჰქონდა აგრესიულად განწყობილი არასრულწლოვანების დიდ ჯგუფურ თავდასხმებს რაიონულ განყოფილებებზე და მილიციის თანამშრომლებზე, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა. შესაძლებლად მიგვაჩნია იარაღის გამოყენების უფლებამოსილება, ასეთ შემთხვევაში, ჩაითვალოს არა მხოლოდ შეიარაღებული, არამედ ასევე დიდი ჯგუფური თავდასხმა, რომელსაც მასობრივი არეულობის ხასიათი აქვს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამართლიანად მიგვაჩნია, ამ საკითხებზე კანონის მომზადებისას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა სოციალურ-სამართლებრივ დაცვას, რაც ზელს შეუწყობს მათი მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას და სასურველ გავლენას მოახდენს რესპუბლიკაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაზე.

ზაურ აშილახვარი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსის
მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

სოფლის მეურნეობაში საარენდო იჯარის ფორმების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხისათვის

პრაქტიკული საქმიანობის სფეროში ხშირად ისმება საკითხი: როგორ და სისხლის სამართლის კოდექსის რა მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულობები საარენდო იჯარებში მომუშავე პიროვნებების მიმართ?

ეს პრობლემა აქტუალურია, რადგან სამართალდამცავი ორგანოები რატომღაც თავს არიდებენ მოიჯარეების სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემას და იქ არსებულ დარღვევებზე მხოლოდ ხელშეკრულების გაუქმებით ან ფულადი ჯარიმების სანქციებით კმაყოფილდებიან. სინამდვილეში კი, საიჯარო ბრიგადებში დანაშაულებრივი ქმედების მრავალ სახეს აქვს ადგილი. მაგალითად:

1. სახელშეკრულებო წესების დარღვევა (იჯარით გადასცემენ ვთქვათ 10 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს და დოკუმენტალურად კი უფორმებენ 5 ჰა-ს).

2. ზეგეგმიური პროდუქციის აღრიცხვის წესის დარღვევა (გეგმის შესრულებამდე ან შესრულების შემდეგ შექმნილი პროდუქციის გატაცება ან არასწორი განაწილება და სხვ).

ჩვენი აზრით, მოიჯარეთა მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მუხლები, კერძოდ: სოციალისტური ქონების გატაცება-მითვისება, გაფლანგვა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, დაუდევრობა და სხვ. ამასთანავე, აუცილებელია გადაწყდეს საკითხი: ჩაითვალოს თუ არა არენდულ იჯარაში მომუშავე პიროვნებები თანამდებობის და მატერიალურ პასუხისმგებელ პირებად. ამიტომ, მთავარია გავერკვეთ არენდულ იჯარებში თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის ცნებაში.

საქართველოს სსრ სსკ განსაკუთრებული ნაწილის მეშვიდე თავში, რომელსაც ეწოდება „თანამდებობრივი დანაშაული“, შეტანილია მართოდენ წმინდა, ისეთი ზოგად თანამდებობრივი დანაშაულის ამსახველი მუხლები, რომელთა ჩადენა შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო და საზოგადოებრივი მართვის სისტემაში მომუშავე გარკვეული უფლება-მოვალეობით აღჭურვილ ნებისმიერ თანამდებობის პირს.

აქედან გამომდინარე, იმის გამო, რომ მოიჯარე თვითონ აწარმოებს საიჯარო საფინანსო საქმიანობას, ასევე საიჯარო ბრიგადის თითოეული წევრი სარგებლობს თანაბარი უფლებებით, თვითონ არის გამგებელი წარმოებული პროდუქციისა, ამიტომ ისინი უნდა ჩაითვალოს მატერიალურ პასუხისმგებელ პირებად და მათ ყოველგვარ დანაშაულებრივ ქმედებაზე გავრცელდეს

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე თავში შეტანილი თანამდებობრივი დანაშაულის ამსახველი მუხლები.

ზეპოთ აღნიშნულის საფუძველზე საიჯარო ბრიგადაში დანაშაულის ქმედების დაკვალიფიცირებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანამდებობის პირის ცნება სსკ 185-ე მუხლში ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „თანამდებობის პირად ითვლებიან პირები, რომლებიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მართვის სისტემაში მუდმივად ან დროებით, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, დანიშვნის ან ცალკეული დავალებების ძალით ასრულებენ ადმინისტრაციულ-საგანმკარგულებო ან საორგანიზაციო-საკონტროლო მოვალეობებს და განაგებენ მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობას“.

თანამდებობის პირის ცნების ამგვარი სრულყოფა, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს იჯარებში და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მომხდარ დანაშაულობათა სწორ კვალიფიკაციას.

მერაბ დარბაიძე.

შინაგან საქმეთა გორის რაიგანყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროსი, შილიციის მაიორი.

ქართული კონსტიტუცია

დასავლეთგერმანულ პრესაში ბევრი იწერება მომავალი ერთიანი გერმანიის კონსტიტუციაზე, მაგალითად, „ფრანკფურტერ ალტგემაინემ“ დაბეჭდა ჰამბურგელი მეცნიერის ჰაინერ ადამსკის წერილი, რომელიც ამ თემას ეხება.

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულაციის პერიოდში მოწოდებამ იჩვენა ხალხი ვართ“. უპირველეს ყოვლისა, უმნიშვნელო სემანტიკური ცვლილება განიცადა. „ჩვენ ერთი ხალხი ვართ“. ასე იწყებს თავის წერილს ადამსკი. ამას მოსდევს გერმანიის კონსტიტუციის პრეამბულის განხილვა, სადაც ნათქვამია: „თავისუფალი თვითგამორკვევა გერმანელი ხალხისა, მათი ერთიანობითა და თავისუფლებით უნდა დასრულდეს“. ეს კი ნიშნავს იმას, რომ გერმანიის გაერთიანება შიდაგერმანულ სამართლებრივ ფარგლებში უნდა მოხდეს. ადამსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პრეამბულას, რადგან მის გარშემო წარმოშობილმა დისკუსიამ გერმანიის როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში ხალხს არ დაავიწყა დიადი ერთიანობის იდეა.

გერმანიის კონსტიტუციის მიხედვით მომავალი გაერთიანებული გერმანიის ახალი ძირითადი კანონის მიღების ორი გზა არსებობს: პირველია ამ კონსტიტუციის 23^ე მუხლის მიხედვით, სადაც ნათქვამია: „გერმანიის მეორე ნაწილში ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი ძალაში შევა მისი შემოერთების შემდეგ“. ხოლო 146-ე მუხლში, რომელიც წარმოადგენს ძირითადი კანონის მიღების მეორე გზას, ნათქვამია: ეს ძირითადი კანონი (რეგულირება გერმანიის კონსტიტუცია ს. გ.) კარგავს თავის ძალას იმ დღიდან, რა დღესაც შევა ძალაში კონსტიტუცია, რომელსაც გერმანელი ხალხი თავისი ნებით შექმნის“.

გერმანიის კონსტიტუციაში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. მოსახლეობის უმრავლესობა მოითხოვს დაუყოვნებლივ შეერთებას და გერმანიის კონსტიტუციის გავრცელებას გერმანიის ტერიტორიაზე (23-ე მუხლი). სხვები მოითხოვენ გაერთიანების „თანდათანობით განვითარებას“ და ახალი კონსტიტუციის მიღებას ორივე გერმანიის შეერთების შემდეგ (146-ე მუხლი).

გერმანიის კონსტიტუციის 23-ე მუხლის ცხოვრებაში გატარებას, სოციალისტური პარტია კი მოითხოვს ახალი კონსტიტუციის მიღებას 146-ე მუხლის საფუძველზე.

გერმანიის კონსტიტუციის 116-ე მუხლი „ბონის ძირითად კანონს“ უყურებენ როგორც იმპერიალიზმის გამოვლინებას. ისინი ეწინააღმდეგებიან რა 23-ე მუხლს, თავიანთი პოზიციის გასამაგრებლად გერმანიის კონსტიტუციის 116-ე მუხლს იშვებენ. რომელიც ყველა გერმანელს განიხილავს გერმანიის მოქალაქედ და გერმანიის საზღვრებს სცნობს 1937 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის მიხედვით. გერმანიის კონსტიტუცია ამტკიცებენ, რომ ეს კონსტიტუცია მიუღებელია იმის გამოც, რომ მასში მინიმუმამდეა დაყვანილი ადამიანის უფლებები. ადამსკი, გადმოგვიცემს რა აღმოსავლელი კოლეგების პოზიციას, აგრძელებს: „მიუ-

ხედავად იმისა, რომ ძირითადი კანონი იძლევა ბურჟუაზიულ დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს. მას მაინც კოსმეტიკური ხასიათი აქვს, რადგან ასეთი უფლებების შექმნა არავითარ გარანტიას არ იძლევა მათი განხორციელებისათვის, უფრო მეტიც, ისე გამოდის, რომ გფრ-ის პოლიტიკურ და ეკონომიკურ წყობას ამ უფლებების ყველა მოქალაქისთვის გარანტირება არ შეუძლია და არც სურს“, ისინი ასეთ რეალურად „განუხორციელებელ“ უფლებებად თვლიან ბინის ხელშეუხებლობასა და განათლების სისტემის სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ ყოფნას, რომლის გარანტიასაც გფრ-ის კონსტიტუციის მე-13¹ და მე-7¹ მუხლები იძლევა.

გდრ-ის იურისტები აკრიტიკებენ გფრ-ის ძირითადი კანონის 38¹ მუხლსაც, სადაც ნათქვამია, რომ ბუნდესტაგის დეპუტატები არ არიან ანგარიშვალდებულნი ამომრჩევლების მიმართ და ემორჩილებიან მხოლოდ თავიანთ სინდისს. მათ მიუღებლად მიაჩნიათ პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონების კონსტიტუციურობის შემოწმება კონსტიტუციური სასამართლოს მეშვეობით და ეს აქტი მიაჩნიათ საპარლამენტო სუვერენიტეტის შელახვად, არ ეთანხმებიან 51-ე და 54-ე მუხლებს. პირველში ნათქვამია, რომ ბუნდესრატი შედგება მხარეების მთავრობების წევრებისგან, რომლებსაც ირჩევენ და გამოიწვევენ კიდევ. მეორის მიხედვით ფედერალური ყრილობა შედგება ბუნდესტაგის წევრებისგან და მხარეთა მიერ არჩეული სახალხო წარმომადგენლების თანაბარი რიცხვისგან. ამრიგად, ბუნდესრატი და ფედერალური ყრილობა გამოცხადებულია არადემოკრატიულ ორგანოებად, რადგან ისინი არ არიან პირდაპირ ხალხის მიერ არჩეულნი.

არავინ იფიქროს, თითქოს გფრ-ის კონსტიტუცია უნაკლო იყოს. ალბათ, მასაც აქვს თავისი სუსტი მხარეები, მაგრამ იმის დაუნახაობა თუ რამდენად უსუსურია გდრ-ის მეცნიერთა პოზიცია, ნამდვილად არაობიექტურობა იქნებოდა. ახლა ამ უსუსურობის წარმოჩენა მთავარი აღარ არის, მთავარი ისაა, რომ გამოიკვეთა ორი პოზიცია, რომლებიც არსებითად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. პირველი, ბონის ოფიციაოზის მხარდაჭერით, მოითხოვს 23-ე მუხლის საფუძველზე გფრ-ის კონსტიტუციის იურისდიქციის გდრ-ის ტერიტორიაზე გავრცელებას, მეორე კი, გდრ-ის კონსერვატორთა მხარდაჭერით გადაჭრით უარყოფს ამას.

თავისთავად 23-ე მუხლის საფუძველზე გფრ-ის კონსტიტუციის იურისდიქციის გდრ-ის ტერიტორიაზე გავრცელება არ არის დემოკრატიული აქტი, რადგან გდრ-ის მოქალაქეებს იგი არ მიუღიათ. ბონის ხელისუფალნი შეუძლებელია ამას ვერ ხედებოდნენ, მაგრამ მათ ეშინიათ გაერთიანების პროცესის გაჭიანურებისა, 23-ე მუხლი კი ამ პროცესს აჩქარებს. გდრ-ის კონსერვატორებს კი სწრაფი გაერთიანება ხელს არ აძლევთ, რადგან ისინი ამით კარგავენ თავიანთ პოზიციებს. ამრიგად, საბოლოო აზრი არც ამ საკითხშია გარკვეული.

«САХЕЛМЦИПО ДА САМАРТАЛИ» («Государство и право») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 22 / 95

ზანი 60 კპპ.

ინფორმაცი 76185

